



ფიროსმანის დაბადების და
გარდაცვალების მისტერია

მანანა ხომერიკი

**ფიროსმანის დაბადების და
გარდაცვალების მისტერია**

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023

UDC (უაკ) 75. 071.1(479. 22) (ფიროსმანი)
ს-716

თვითნასწარი მხატვრის, ნიკო ფიროსმანაშვილის დაბა-
დებისა და გარდაცვალების განსხვავებული ვერსიები არსე-
ბობს, რაც დოკუმენტურად დამოწმებული ცნობების სიმ-
ცირით არის განპირობებული. ნაშრომში განხილულია ძირითა-
დი ვერსიები, ფაქტები, დოკუმენტები. დადგენილია მიზეზები,
რის გამოც არ არსებობს მხატვრის დაბადების და გარდაცვა-
ლების ჩანაწერები.

ავტორი განიხილავს რა წინამორბედი მკვლევრების მო-
საზრებებს, მკითხველს სთავაზობს ფიროსმანის დაბადებისა
და გარდაცვალების საკუთარ ვერსიებს, რომლებიც საარ-
ქივო დოკუმენტებზე, ფაქტების შეჯერებასა და ლოგიკურ
დასკვნებზეა დაფუძნებული: 1. მირზაანელ ასლან ფიროს-
მანაშვილს ნიკალა შულავერში შეეძინა. 2. ფიროსმანი 1918
წლის 4 მაისს, „ზედ აღდგომა ღამეს“, გარდაიცვალა მიხეილის
საავადმყოფოში. 9 მაისს მას წმ. მიქაელ მთავარანგელოზის
ეკლესიაში აუგეს წესი და დაკრძალეს საავადმყოფოს სასა-
ფლაოზე, რომელიც კუკიის სასაფლაოს გაგრძელებას წარ-
მოადგენს.

ტექნიკური რედაქტორი: მარიამ მალლაკელიძე

© მანანა ხომერივი, 2023
გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-306-3

სარჩევი

ნინათქმა	4
I თავი. ფიროსმანის დაბადება.....	6
I.1. ასლან ფიროსმანაშვილის ოჯახი	6
I.2. ფიროსმანის დაბადების ვერსიები.....	23
I.3. მირზაანელ ასლან ფიროსმანაშვილს ნიკალას შულავერში შეეძინა.....	35
II თავი. მხატვრის გარდაცვალება და დაკრძლვა	55
II.1. ცნობები და მოგონებები.....	55
II.2. ვასო ჩაჩანიძის ვერსია.....	58
II.3. ნელი კობიაშვილის ვერსია	61
II.4. ერეკლე ლუკაშვილის ვერსია.....	73
II.5. მანანა ხომერიკის ვერსია.....	78
პოლოთქმა	88

წინათქმა

ფიროსმანის დაბადებისა და გარდაცვალების კვლევა 2003 წლიდან დავიწყე [მ. ხომერიკი, „ფიროსმანი გარდაიცვალა 1918 წლის 4 მაისს, დაკრძალეს 9 მაისს“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 მაისი, თბ., 2003]. 2004 წლის 25 ივნისს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა ჩემი ნაშრომი და რეკომენდაცია გასცა დასაბეჭდად. იმავე წელს დაიბეჭდა ჩემი ბრომურა [მ. ხომერიკი, „გენერალოგიურ-ბიოგრაფიული ძიებანი 1 ფიროსმანი“, თბ., 2004]. რედაქტორი იყო ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი. ამის შემდეგ განვაგრძე კვლევა [მ. ხომერიკი, „წერილები“, თბ., 2006; მ. ხომერიკი, „ახალი საარქივო მასალები ფიროსმანისა და მისი ოჯახის შესახებ“, წიგნში: ი. აბესაძე, „ყველაფერი ფიროსმანზე“, თბ., 2013]. 2014 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიმარიას ინიციატივით და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის, პროფესორი ზაზა აბაშიძის თავმჯდომარეობით, შეიქმნა ფიროსმანის საფლავის დამდგენელი კომისია, რომლის შემადგენლობაში მეც ვიყავი. კომისიის მუშაობის დროს, წარმოჩინდა სხვადასხვა ვერსიები. როგორც ჩანს, კომისიის თავმჯდომარისთვის ჩემი ვერსია მისაღები აღმოჩნდა, რადგან 2017 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა ჩემი ნაშრომი „ფიროსმანზე და არა მხოლოდ...“. სამეცნიერო-პოპულარული წიგნების სერიის რედაქტორია პროფესორი ზაზა აბაშიძე, ხოლო წიგნის რედაქტორი – ლანა გრძელიშვილი.

მხატვრის უკანასკნელი განსასვენებლის ძიებისას, მომიხდა

ისეთ შეუსწავლელ საკითხებში გარკვევა, როგორიცაა თბილი-სის სასაფლაოების ისტორია, საავადმყოფოებს, ეკლესიებსა და სასაფლაოებს შორის არსებული კავშირები, რის გარეშეც შეუძლებელია გავაცნობიეროთ უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის საავადმყოფოებისთვის დადგენილი წესი. 2019 წელს, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა კვლავ გამოსცა ჩემი ზემოაღნიშნული ნაშრომი, მაგრამ კიდევ ბევრ მკითხველს აქვს ნიგნის გაცნობის სურვილი.

ამჯერად, მკითხველს ვთავაზობ უფრო შემოკლებულ ვერსიას, რომელშიც მხოლოდ ორი საკითხია წარმოჩენილი – მხატვრის დაბადება და გარდაცვალება. ამავე დროს, ნაშრომი გამდიდრებულია ახალი დეტალებით.

I თავი. ფიროსმანის დაბადება

I.1. ასლან ფიროსმანაშვილის ოჯახი

გამოჩენილი ქართველი თვითნასწავლის, ნიკო ფიროსმანაშვილის, აღმომჩენლად ითვლებან მხატვრები ლე-დანტიუ და კირილ ზდანევიჩი [ა. ჩხეიძე, „ვინ აღმოაჩინა ფიროსმანი?“, გაზ. „სახალხო განათლება“, 18 იანვარი, 1989], თუმცა მის შესახებ პირველი წერილი გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის [ტ. ტაბიძე, „ნიკო ფიროსმანი“, გაზ. „ბახტრიონი“, 1922, №8]. ფიროსმანის ბიოგრაფიის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1922 წელს, გაზეთ „ბახტრიონმა“, რომელიც გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოიყოდა, ფიროსმანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება ითავა. მხატვრის დას, ფეფე ასლანის ასულ ბარამაშვილისას, 1922 წელს, შალვა დადიანისთვის მოუყოლოა: „მე „ნიკალას“ და ვარ, 57 წლის ვიქენები და მასზე 2-3 წლით უფროსი ვარ... მეცა და ნიკოლაც აქ მირზაანში ვართ დაბადებულნი. მამა ჩვენს ასლანი ერქვა და სულ სამი შვილი ვყავდით: ნიკოლა, მე და ერთი ქალი, ჩვენზე უფროსი, რომელიც ერთ იმერელს ცოლად ჰყავდა ქალაქში. სიძეს გვარი არ მახსოვს. დედა ზემომაჩხანელი იყო ტოკლიკიშვილის ქალი – თეკლე. მამა უბრალო სოფლის კაცი იყო და ადრე გარდაიცვალა. ამავე დროს შიმშილობაც ჩამოვარდა და ჩვენმა იმერელმა სიძემ ობლები დედასთან ერთად ქალაქში წაგვასხა. მაშინ მე დაახლოებით 9 წლისა ვიქენებოდი და წავალ (ალბათ, საწყალი – მ. ხ.) ნიკოლა – 7 წ. ქალაქში სიძეს ცოლი მოუკვდა და დედაჩვენი თეკლეც გარდაიცვალა. ამის გამო, მე სოფლად დავბრუნდი და ნიკოლა კი იქ დარჩა“ [შ. დადიანი, „ფიროსმანი. ახალი ბიოგრაფიული ცნობები“, გაზ. „ბახტრიონი“, 1922, №10].

შესაძლოა, ფეფეს ბევრი რამ მართლაც არ ახსოვდა, მაგრამ იმის თქმა, რომ ასლანს სულ სამი შვილი ჰყავდა – დიდი უსამართლობაა! თუ მკვლევრებისთვის დღემდე ასლანის სამი შვილის არსებობა იყო ცნობილი, მე კიდევ ოთხი შვილის დაბადების ჩანაწერებს მივაკვლიე. ფეფოს რამდენიმე ნახევარდა ჰყავდა. სამწუხაროდ, მას არავინ ჰქითხა, დედ-მამისა და

დის გარდაცვალების შემდეგ, როგორ დაბრუნდა სოფელში 9 წლის გოგონა, ვინ ზრდიდა? სავარაუდოდ, მას სწორედ ეს ნახევარდები ზრდიდნენ, რისი გამხელაც თავად არ ისურვა. ამის მიზეზი მხოლოდ ანგარება შეიძლებოდა ყოფილიყო. როდესაც ფეფემ რამდენიმე წლის უნახავი ნიკალას გარდაცვალების შესახებ შეიტყო, სხვა მემკვიდრეები არ გამოაჩინა! კიდევ ერთ დეტალზე უნდა გავამხვილო ყურადღება. ფეფეს არც სიძის გვარი ახსოვს და არც დის სახელი. დას ამგვარად მოიხსენიებს: „ქალაქში სიძეს ცოლი მოუკვდა“. ისმის კითხვა – საიდან ჩნდება სახელი „მარიამი“, რომლითაც მკვლევრები ფეფეს დას მოიხსენიებენ? მარიამის დაბადების ჩანაწერი დღემდე მოკვლეული არ არის. იმავე 1922 წელს, ფეფესგან ნინა თარიშვილმაც ჩაიწერა მოგონება: „შვიდი წლისა იქნებოდა ნიკო (მე იმაზე უფროსი ვარ 4 წლით), როცა დედ-მამა დაგვეხოცა. მამა ჩვენი ასლანი შინაური მიწის მომუშავე გლეხი იყო, სხვა არაფერი ხელობა იცოდა... დედას თეკლეს ეძახდნენ. მხნე და გამრჯე ადამიანი იყო. რვა წლის ნიკო ჩვენმა სიძემ, ალექსიმ წაიყვანა ქალაქში (თბილისში) და მიაბარა პურის ჭამაზე ერთს სამხედრო პირს გვარად ქალანთაროვს. ამასთან დარჩა თექსმეტ წლამდე. 16 წლისა რომ გახდა ქალანთაროვს ეკითხა, რომელი ხელობა უფრო მოგწონს, რომ შეგასწავლოო. ნიკოს ეთქვა: მხატვრობა მინდაო, მაგრამ ქალანთაროვს არ ერჩივნა და ბოლოს რკინის გზის კონდუქტორად შეუყვანია. 7-8 წლიწადი მსახურობდა, მაგრამ ავად გახდა, სამსახურს თავი დაანება და ლვინის სარდაფი (პადვალი) გახსნა“ [ნ. თარიშვილი, „ნიკო ფიროსმანი, წერილი ქიზიყიდან“, გაზ. „ბახტრიონი“, 1922, №23]. შ. დადიანს და ნ. თარიშვილს ნიკალას უფროსი ნახევარდების არსებობა რომ სცოდნოდათ, ალბათ, მეტ უტყუარ ინფორმაციას შეიტყობდნენ მათგან.

შევადაროთ ფეფეს ორი მოგონება. ის ჯერ ამბობს ნიკოლაზე 2-3 წლით უფროსი ვარო, შემდეგ კი ასაკობრივ სხვაობას 4 წლამდე ზრდის. პირველი მოგონების თანახმად, იმერელ სიძეს ობლები დედასთან ერთად წაუყვანია თბილისში. ფეფე 9 წლის ყოფილა, ნიკო კი შვიდის. მეორე მოგონების მიხედვით, სიძეს, ალექსის, მხოლოდ 8 წლის ნიკო წაუყვანია თბილისში და ქალანთაროვისთვის მიუბარებია. მეორე მოგონებაში უკვე

ქალანთაროვის გვარიც ჩნდება, რომელსაც ფეფე პირველ მოგონებაში არ ახსენებს. ცხადი ხდება, რომ მთლიანად მის ვერც ერთ მოგონებას ვერ ვენდობით. ყველაზე ღირებული მაინც ის არის, რომ ფეფემ დედ-მამის სახელები მოგვაწოდა – ასლანი და თეკლე. უტყუარი ასევე ის ფაქტი ჩანს, რომ ფეფე ნიკა-ლაზე უფროსი იყო, თუმცა როდესაც მკვლევრები ფორმსმანის დაბადების წლად 1862 წელს ასახელებენ, ამ ფაქტსაც შლიან, რაშიც მკითხველი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, თავად დარწმუნდება.

ფორმსმანზე დაწერილ მონოგრაფიაში თემო ჯაფარიძე მხატვრის დაბადების თარიღად 1856 წელს აცხადებს [თ. ჯა-ფარიძე, „ნიკო ფიროსმანი. ცხოვრება და შემოქმედება“, თბ., 1999, გვ. 6], მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ცნობებს ემყარება ავტორი.

ნ. ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის ყოფილი დირექტორი ანზორ მაძლარაშვილი წერს: „მხატვრის მშობლები ასლან ფიროსმანაშვილი და თეკლე ტოკლიკიშვილი ღარიბი გლეხები იყვნენ. ნიკოს გარდა, მათ კიდევ ჰყავდათ ორი ქალიშვილი – მარიამი და ფეფო. რვა წლის ნიკო მამით დაობლდა.... ნიკოს უფროსი და მარიამი მოსწონებია თბილისიდან მირზაანში ჩა-სულ მიწათმომწყობს ალექსის, რომლის გვარიც ჩვენთვის უც-ნობია“ [ა. მაძლარაშვილი, „ნ. ფიროსმანაშვილი“, თბ., 1972]. აი, საიდანლაც უფროსი დის სახელიც გამოჩნდა. ჩვენ ვნახეთ, რომ თავად ფეფოს უფროსი დის სახელი არ ახსოვდა. ამიტომ ა. მაძლარაშვილს უნდა განემარტა, თუ რა გზით მოიპოვა ეს ინფორმაცია, მით უმეტეს, რომ მარიამის დაბადების ჩანაწერი დღემდე არავის უნახავს. შეიძლება ითქვას, რომ ა. მაძლარაშ-ვილი თავად გვევლინება ფეფეს უფროსი დის ნათლიად. ეს სახ-ელი სხვა მკვლევრებმაც აიტაცეს და დააკანონეს.

თავის სხვა ნაშრომში, „ფიროსმანის გარემო“, ა. მაძლარაშ-ვილი ფეფოს ქალიშვილის, თამრო პარამაშვილის მოგონებებზე დაყრდნობით, წერს: „ნიკო ფიროსმანაშვილის მამა ასლან მიხას ძე ფიროსმანაშვილი მირზაანის მკვიდრი იყო“ [ა. მაძლარაშვი-ლი, „ფიროსმანის გარემო“, თბ., 1992]. ასლანის მამის სახელი ფეფომაც არ იცოდა და მის ქალიშვილს საიდან ეცოდინებო-

და? ა. მაძლარაშვილს კი, საარქოვო მასალებში უნდა ჩაეხედა. ასლანი ნიკოლოზის, ანუ კიკოს ძე იყო. დოკუმენტებში ორჯერ არის დაშვებული შეცდომა – ასლანი ერთხელ რევაზის ძედ არის დაფიქსირებული, მეორედ დავითის ძედ, მაგრამ მისი დედის, ბების და მეუღლის სახელები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ერთი და იგივე ასლანი იგულისხმება. სახელი „ასლანი“ სოფელ მირზანში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, მაგრამ XIX საუკუნეში, მირზანში მხოლოდ ერთადერთი ასლან ფიროსმანაშვილი ცხოვრობდა, რაც სხვადასხვა დოკუმენტების შეჯერებით დასტურდება. ა. მაძლარაშვილის მიერ ნახსენები „ასლან მიხას ძე ფიროსმანაშვილი“ კი, არც ერთ დოკუმენტში არ გვხვდება.

ცენტრალურ საისტორიო არქივში მივაკვლიე ყველაზე ადრინდელ დოკუმენტს, რომელშიც მხატვრის წინაპრები არიან დაფიქსირებული: 1817 წლის კამერალურ აღწერაში ერთ კომლად არიან შეყვანილი ხარება ფიროსმანაშვილი, როგორც თავისი, ისე ორი გარდაცვლილი ძმის ცოლ-შვილით. ამათგან ერთ-ერთ გარდაცვლილ ძმას, ვითომდა, რევაზი რქმევია, მის ცოლს – ელისაბედი, შვილს – ასლანი. აქვეა ბებია თამარი [სეა, ფ. 254, ან. 1, ს. 499] (სურ. №1). სხვა ასლან ფიროსმანაშვილი არ ჩანს.

მირზანში შემდგომი კამერალური აღწერა 1832 წელს ჩატარდა. მამია ჩორგოლაშვილმა გაგვაცნო ამონარიდი ამ აღწერის წიგნიდან. იმ დროს მხატვარი, ცხადია, ჯერ დაბადებული არ ყოფილა, ხოლო მამამისი, ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილი 26 წლის იყო. ჰყავდა 21 წლის მეუღლე მართა, 50 წლის დედა – ელისაბედი, 90 წლის ბებია თამარი და ორი მცირენლოვანი ქალიშვილი: 3 წლის კონია და 1 წლის სოფიო [მ. ჩორგოლაშვილი, „ცხოვრება მხატვრისა“, გაზ. „კომუნისტი“, 17 იანვარი, 1979; სეა, ფ. 254, ან. 1, ს. 1326, ფ. 542] (სურ. №3). როგორც ჩანს, ასლანი რომ დაოჯახდა, ბიძას გამოეყო და დედა და ბებია თავისთან დაასახლა, რომელთა სახელები მიგვანიშნებენ, რომ ეს სწორედ ის ასლანია, რომელსაც პირველ დოკუმენტში გავეცანით. ამასვე ამტკიცებს ცოლის სახელი მართა, რომელსაც მომდევნო წლების დოკუმენტებშიც ვხვდებით. ასლანი 1806 წელს უნდა იყოს დაბადებული.

მ. ჩორგოლაშვილმა ასევე მოიძია ასლანის ერთ-ერთი ქალიშვილის დაბადების მეტრიკული ჩანაწერი: 1831 წლის 15 „აგვისტოს ხუთმეტსა სოფელს მირზაანშივე მცხოვრების სახ-ელმწიფო ყმას, ფიროსმანაშვილს ასლან კიკოს ძესა, და სჯუ-ლიერსა ცოლსა მისას მართა გოგიას ქალისაგან დაებადა ქალი მაია“ [მ. ჩორგოლაშვილი, „ცხოვრება მხატვრისა“, გაზ. „კომუ-ნისტი“, 17 იანვარი, 1979; სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 134] (სურ. №2). აქ უკვე ნათლად ჩანს, რომ ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილის ცოლი – მართა გოგიას ქალია, ანუ ის მართა, რომელიც კამერ-ალურ აღნერაში შეგვხვდა. უკვე მცირედი ეჭვიც აღარ რჩება იმაში, რომ 1817 წლის აღნერაში ასლანის მამის სახელი შეც-დომით იყო ჩაწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ მ. ჩორგოლაშვილი, რომელმაც ასლანის ქალიშვილის, მაიას დაბადების ჩანაწერს მიაკვლია, ფიქრობდა, თითქოსდა, მაიას სახელის ინტერპრეტაცია უნდა ყოფილიყო შემდგომში დამკვიდრებული სახელი – მარიამი. მე ჯერ კიდევ 2004 წელს განვმარტე, რომ მაია – მარიამი არ არის. მაია რეალურად არსებული პიროვნებაა, მარიამი კი გამოგონილი. მიუხედავად ამისა, მაიას და მარიამის იგივეობის მცდარ ვერსიას დღესაც სთავაზობენ მკითხველს. მწერალი გიორგი კაკაბაძე წერს: „1831 წლის 15 აგვისტოს ასლანსა და მის რჯუ-ლისმიერ ცოლს, მართა გოგიას ასულს, შეეძინათ ქალიშვილი მაია (მარიამი)“ [გ. კაკაბაძე, „ნიკო ფიროსმანი – დაკარგული უბრალოების ძიება“, თბ., 2012, გვ. 47].

ასლანისა და მართას მომდევნო შვილის დაბადების მეტრიკულ ჩანაწერს კი მე მივაგენი. ირკვევა, რომ 1837 წელს „მაი-სის ათსა, სოფელ მირზაანს მცხოვრებს სახაზინო ყმას ფიროს-მანაშვილს ასლან ნიკოლოზის ძეს და სჯულიერსა ცოლსა მისასა, მართა გოგიას ქალს დაებადა ბარბარე...“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 300] (სურ. №4). ჩვენ ვნახეთ, რომ მაიას დაბადების ჩანაწერში ასლანი კიკოს ძედ მოიხსენიება. კიკო – ნიკოლოზის შემოკლე-ბული ფორმაა, რომელიც კახეთში იყო მიღებული. ამდენად, ასლანის იდენტურობა ცხადია. ასლანის პირველი ცოლის, მარ-თას და მისი ნაშობი შვილების არსებობას არ აღიარებს „მკვლ-ევარი“ ა. მაძლარაშვილი, რომელიც საარქივო დოკუმენტებთან

თავად მწყრალად არის და სხვა მკვლევრების მიგნებების გაბიაბრუებასაც ცდილობს. არადა, ჩემ მიერ მოკვლეული საარქივო დოკუმენტებიდან ერთ-ერთი პირდაპირ გვაუწყებს, რომ 1839 წლის მაისში, გარდაიცვალა მირზაანის მცხოვრებლის ასლან ფიროსმანაშვილის მეუღლე მართა [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 350] (სურ. №5).

მართას გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, ასლან ფიროსმანაშვილმა ცოლი შეირთო, მაგრამ ვინ? ჩვენ ფეფოს მოგონებებიდან ვიცით, რომ ნიკალას დედა თეკლე ტოკლიკიშვილი იყო. მე კი დავადგინე, რომ 1840-იან წლებში ასლან ნიკოლოზის ძე ფიროსმანაშვილს თავის კანონიერ მეუღლე სალომე იოსების ქალთან კიდევ ორი შვილი შესძნია. 1844 წელს დაბადა მელანია. მშობლები: „სოფელს მირზაანში მცხოვრებელი სახაზინო ყმა ასლან ფიროსმანაშვილი ძე ნიკოლოზისა და სჯულიერი ცოლი ამისი სალომე იოსების ქალი“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 531] (სურ. №6). შესაძლოა, სწორედ 1844 წელს დაბადებული მელანია ყოფილიყო ნიკალას ის უფროსი და, რომლის სახელიც ფეფომ არ იცოდა, მაგრამ დღეს მარიამად მოიხსენიებენ და მაისათან აიგივებენ. გაგაცნობთ კიდევ ერთ ჩემ მიერ მიკვლეულ დოკუმენტს. 1847 წელს დაბადა ივანე. მშობლები: „სოფელს მირზაანში მცხოვრებელი სახაზინო ყმა ასლან ფიროსმანაშვილი ძე ნიკოლოზისა და სჯულიერი ცოლი ამისი სალომე იოსების ქალი, ორნივე მართლმორწმუნებინი“ [სეა, ფ. 489, ან. 6, საქმე 661] (სურ. №7). სალომე ორჯერ არის ნახსენები. გამორიცხულია, რომ მლვდელს 1844 და 1847 წლებში ერთნაირი შეცდომა დაეშვა და თეკლეს ნაცვლად მეტრიკულ წიგნებში სალომე ჩაეწერა. ამდენად, უნდა ვალიაროთ, რომ სალომე იოსების ქალი ასლან ფიროსმანაშვილის მეორე მეუღლე იყო. უტყუარი ფაქტია: ნიკოს გაჩენამდე, ასლანს ეყოლა უფროსი ვაჟი, სახელად ივანე, რომელსაც დღეს სხვადასხვა ბუნდოვან მოგონებებზე დაყრდნობით, გიორგის სახელით მოიხსენიებენ [გ. კაპაბაძე, „ნიკო ფიროსმანი – დაკარგული უბრალოების ძიება“, თბ., 2012, გვ. 55].

გ. კაპაბაძე მოგვითხრობს, რომ ფიროსმანაშვილების ოჯახში ერთხელ ლხინის სუფრაც გაშლილა, რადგან ასლანს უფრო-

სი ქალიშვილი მარიამი (კაკაბაძის ინტერპრეტაციით, იგივე მაია) „ერთ იმერელზე გაუთხოვებია. სიძეს ალექსი ერქვა“ [გ. კაკაბაძე, „ნიკო ფიროსმანი – დაკარგული უბრალოების ძიება“, თბ., 2012, გვ. 47]. უნდა განვაცხადო, რომ მაია ალექსიზე არ გათხოვილა, რაზედაც ჩემ მიერ მოძიებული და 2004 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტი მეტყველებს: 1849 წლის 10 ნოემბერს „სოფელს მირზაანში მცხოვრებლის სახაზინო ყმის ასლან ფოროსმანაშვილის ქალი მაია“ სოფელ ოზაანში მცხოვრებ სახაზინო ყმა იოვ სოლომონის ძე ოზაშვილზე გათხოვილა [მ. ხომერიკი, „გენეალოგიურ-ბიოგრაფიული ძიებანი I ფიროსმანი, თბ., 2004; სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 772] (სურ. №8). საკითხავია, როდესაც მაია იოვ ოზაშვილს გაჰყვა ცოლად, ან როდესაც ასლანის სხვა ქალიშვილები გათხოვდნენ, მაშინ სუფრა არ გაშლილა?

შესაძლოა, მკითხველს დაებადოს კითხვა: ნუთუ, ასეთი მნიშვნელოვანია ფიროსმანის დების სახელების დაზუსტება? – დიახ, მნიშვნელოვანია და ამის დამადასტურებელ მაგალითს მოვიყვან. 2010 წელს, სოფელ ოზაანში მარნის კარზე გაკეთებული XIXს-ის წარწერა ფიროსმანს მიაკუთვნეს. დაისვა კითხვა, თუ რატომ და რა მიზნით ჩადიოდა ფიროსმანი სოფელ ოზაანში? მე უკვე დიდი ხნის გამოკვლეული მქონდა, რომ ნიკალას უფროსი ნახევარდა მაია ასლანის ასული ფიროსმანაშვილი 1849 წელს, იოვ სოლომონის ძე ოზაშვილზე გათხოვდა, რომელიც სოფელ ოზაანში ცხოვრობდა. აქედან, დასკვნა: ფიროსმანი სოფელ ოზაანში დას სტუმრობდა ხოლმე. ეს ცნობა კიდევ ერთხელ გავასაჯაროვე ექსპერტების საყურადღებოდ, რომელთა რიცხვში ა. მაძლარაშვილიც შედიოდა. ის კი წლების მანძილზე იმეორებდა, თითქოსდა, ფიროსმანის მშობლებს სულ სამი შვილი ჰყავდათ: „ნიკოს გარდა, მათ კიდევ ჰყავდათ ორი ქალიშვილი – მარიამი და ფეფო“ [ა. მაძლარაშვილი, „ნ. ფიროსმანაშვილი“, თბ., 1972 წ., გვ. 3]. სხვა შვილების არსებობას უარჲყოფდა. მაია მის სქემაში არ ეწერებოდა. ა. მაძლარაშვილი დაბრკოლებას არ შეუშინდა და გამოსავალიც ადვილად იპოვა: თურმე, ფეფოს ქალიშვილი ყოფილა ოზაანში გათხოვილი და ნიკალაც მასთან ჩადიოდა ხოლმე! 2011 წელს დაიდო დასკვნა. პირველი არხითაც

გადაიცა: „ექსპერტებმა დასკვნა მოამზადეს. თავდაპირველად მკვლევარების ვარაუდს, რომ წარწერა ფიროსმანის შესრულებული იყო, ისიც ამყარებდა, რომ ოზაანში მხატვრის დისტვილი იყო გათხოვილი. გადმოცემით, ფიროსმანი მას ხშირად სტუმრობდა...“ ამ თემას „მოამბემ“ არაერთი რეპორტაჟი მიუძღვნა [<http://1tv.ge/ge/news/view/23825.html>].

ვინ იყო მხატვრის დისტვილი? როგორც ა. მაძლარაშვილი თავის წიგნში „ფიროსმანის გარემო“, ზეპირსიტყვიერ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა, ფეფოს ათი შვილი ჰყოლია. აქედან ოთხი გოგო: ოლა, თამრო, თინა და სოფო [ა. მაძლარაშვილი, „ფიროსმანის გარემო“, თბ., 1992, გვ. 16]. კამერალური აღწერიდან კი ჩანს, რომ 1901 წელს, ფეფოს ორი ქალიშვილი ჰყავდა: 4 წლის თამარი და 2 წლის ანა [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 280, ფ. 118] (სურ. №12), რომელიც ა. მაძლარაშვილის ჩამონათვალში არ გვხვდება. დავუშვათ, ფეფოს 1901 წლის შემდეგ კიდევ შეეძინა 2-3 ქალიშვილი. ფეფოს ქალიშვილებიდან რომელი გათხოვდა ოზაანში და ვისზე? რომელ წლებში ჩადიოდა მასთან მხატვარი, რომელსაც გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი ფეფოს ოჯახთან? ცნობილია, რომ მიზაანში ფიროსმანზე ცნობების შესაკრებად ჩასული შალვა დადიანი ფეფოს თავისი ძმა ეგონა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ ჰყავდა ნანახი. მას უთქვამს: „9 წელიწადი არ მინახავს და არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი“ [შ. დადიანი, „ფიროსმანი, ახალი ბიოგრაფიული ცნობები“, გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ., №10]. მარნის კარზე არსებული წარწერა XIX საუკუნის აღმოჩნდა, ფეფოს ქალიშვილები კი 1910-იან წლებზე ადრე ვერ გათხოვდებოდნენ, მაგრამ ამას ა. მაძლარაშვილისთვის რა მნიშვნელობა აქვს? მისთვის მთავარია, რომ მ. ჩორგოლაშვილის მიერ მოძიებული მაიას არსებობაც დამალა და ჩემ მიერ მოძიებული დოკუმენტიც, რომელიც ნიკალას ოზაანთან კავშირს ხსნის. ნუთუ, ფიროსმანი ასეთი დილეტანტური კვლევის ლირსია? სამწუხაროდ, თუ ის თავის სიცოცხლეში უყურადღებობის მსხვერპლი იყო, გარდაცვალების შემდეგ, ზოგიერთი მკვლევრის ამბიციურობის და ფაქტების არეა-დარევის მსხვერპლი გახდა.

კვლავ ასლანის შვილებს დავუბრუნდეთ. არქივში ასლან ფიროსმანაშვილის კიდევ ერთი ქალიშვილის დაბადების ჩანაწერს მივაკვლიე. 1857 წლის იანვარში მას ქალიშვილი შეეძინა. ბავშვის მშობლები: „მირზაანს მცხოვრები სახაზინო გლეხი ასლან ძე დავითისა ფიროსმანაშვილი და სჯულიერი ცოლი მისი თეკლა იოსების ასული“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 1209] (სურ. №9). ახლა კი, ნამდვილად მდვდლის დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. კამერალური აღნერების მასალებიდან ხომ ვიცით, რომ XIX საუკუნეში მირზაანში მხოლოდ ერთი ასლან ფიროსმანაშვილი ცხოვრობდა. მეტრიკულ ჩანაწერებში, ის ხან კიკოს ძედ მიოხესნიება, ხან ნიკოლოზის ძედ. ახლა კი ასლანი დაფიქსირებულია დავითის ძედ, რაც, ჩემი აზრით, აშკარა შეცდომაა. დავაკვირდეთ ცოლის სახელს, თეკლეს. მირზაანში სხვა ასლან ფიროსმანაშვილი კიდევაც რომ ყოფილიყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ მის ცოლსაც თეკლე რქმეოდა. ახალშობილ ქალიშვილს ასლანმა თავისი დედის, ელისაბედის, სახელი დაარქვა. დაუდევრობა თან სდევდა მეტრიკულ ჩანაწერებს და კამერალურ აღნერებს. ამის მაგალითად გამოდგება დოკუმენტი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ შედარებით უფრო მაღალი წოდების პირს შეეხება, მაინც უყურადღებოდ არის შედგენილი: „მირზაანის პრივილეგირებული წოდებების პირთა საოჯახო ნუსხაში“, შეცვანილია თბილისში მცხოვრები, სახელმწიფო ბანკის თანამშრომელი, ტიტულარული მრჩეველი, აზნაური ილია სიმონის ძე გომელაური (ბებიაჩემის მამა), რომელიც მირზაანში იყო დაბადებული. მამის სახელი შეცდომით არის მითითებული. დაფიქსირებულია ილია სოლომონის ძე [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 1591], ნაცვლად სიმონის ძისა, რაც მეტრიკული წიგნითაც დასტურდება [სეა, ფ. 489, ა, 6, ს. 1333]. ასლანის შემთხვევაშიც იგივე დაუდევრობა გამეორდა.

მ. ჩორგოლაშვილმა, მირზაანის 1860 წლის კამერალური აღნერის წიგნში მიაკვლია ჩანაწერს, საიდანაც ირკვევა, რომ ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილი ყოფილა 55 წლის, ხოლო მისი ოჯახის წევრებს შეადგენდნენ 2 მამაკაცი და 5 ქალი [სეა, ფ. 254, ან. 2, ს. 247] (სურ. №10). ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მამაკაცები თავად ასლანი და ივანე არიან, ქალები კი –

თეკლე, ბარბარე, მელანია, ელისაბედი და ასლანის დედა ელის-აბედი, რომელიც 78 წლის იქნებოდა. უფროსი ქალიშვილები, რომლებიც 1832 წლის აღნერაში ჩანან, ამ დროისთვის გათხოვილები იქნებოდნენ.

ფიროსმანის დაბადების ჩანაწერი არ მოგვეპოვება. ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს ფეფეს დაბადების წლის დადგენა, როგორც ზღვრული თარიღისა, რომელზე ადრე ფიროსმანი დაბადებული ვერ იქნებოდა. 1979 წელს, ისტორიკოსმა მ. ჩორგოლაშვილმა, სოფელ ზემო მირზაანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1863 წლის მეტრიკულ წიგნში მიაკვლია ჩანაწერს, რომლის თანახმად, 1863 წლის 21 მარტს, სოფელ მირზაანში მცხოვრებ სახაზინო გლეხ ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილს სჯულიერ ცოლთან, თეკლა იოვის ქალთან შეეძინა შვილი – ნატალია [სუა, ფ. 489, ან. 6, ს. 1610] (სურ. №11).

ნიკალას დას, ფეფე ბარამაშვილისას ბევრი რამ არ ახსოვდა, ან არ იცოდა, მაგრამ მშობლების სახელები კი მაინც სწორად ემახსოვრებოდა – ასლანი და თეკლე. თავად ფეფეს, იმავე ნატალიას, დაბადების მეტრიკულ ჩანაწერში, რომელსაც მ. ჩორგოლაშვილმა მიაკვლია, მშობლებად დასახელებული არიან „ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილი და თეკლა იოვის ქალი“. ცხადია, რომ ეს თეკლა იოვის ქალი იგივე თეკლა იოსების ქალია. მ. ჩორგოლაშვილმა საგაზითო წერილში „ცხოვრება მხატვრისა“ გამოთქვა მოსაზრება, რომ ფეფუცა – ნატალიას შინაური სახელი იყო [მ. ჩორგოლაშვილი, „ცხოვრება მხატვრისა“, გაზ. „კომუნისტი“, 17 იანვარი, 1979]. ეს აზრი კიდევ უფრო დაასაბუთა ჟურნალისტმა ნ. კობიაშვილმა [ნ. კობიაშვილი, „ისევ ფიროსმანზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9-17 მაისი, 1996]. მან მირზაანის 1873 წლის კამერალური აღნერის წიგნის დამატებაში მიაკვლია 1901 წლის მინაწერს, საიდანაც ირკვევა, რომ ივანე ბარამაშვილის ცოლი ფეფე იმ დროისთვის 37 წლის ყოფილა [სუა, ფ. 254, ან. 3, ს. 280, ფ. 118] (სურ. №12). ეს ასაკი იმაზე მიუთითებს, რომ ფეფე – იგივე ნატალია ასლანის ასული ფიროსმანაშვილია, დაბადებული 1863 წელს. აქედან გამომდინარე, 1864 წელი ის ზღვრული თარიღია, რომელზე ადრეც ნიკალა დაბადებული ვერ იქნებოდა. თავის უფროს დაზე

ადრე ხომ ვერ დაიბადებოდა!

ამდენად, ასლან ნიკოლოზის ძე ფიროსმანაშვილს პირველ ცოლთან, მართა გოგიას ქალთან ოთხი ქალიშვილი ჰყოლია: კონია და სოფიო, რომლებიც 1832 წლის კამერალურ აღწერაში არიან შეყვანილი, ასევე მაია (დაბ. 1831 წელს) და ბარბარე (დაბ. 1837 წელს), რომელთა დაბადების ჩანაწერები ხელთ გვაქვს. მეორე ცოლთან, სალომესთან, ასლანს ორი შვილი ჰყავდა: მელანია (დაბ. 1844 წელს) და ივანე (დაბ. 1847 წელს). მესამე ცოლთან, თეკლესთან (თუ ის იგივე სალომე არ არის, რაც ნაკლებად სავარაუდოა), ასლანს სამი შვილი ჰყავდა: ელისაბედი (დაბ. 1857 წელს), ნატალია, იგივე ფეფე (დაბ. 1863 წელს) და ნიკოლოზი, რომლის დაბადების ჩანაწერი, გარკვეული მიზეზების გამო, არ გვაქვს. ასლანი სულ 9 შვილის მამა ყოფილა: 2 ვაჟის და 7 ქალის. აქედან მაიას და ნატალიას დაბადების ჩანაწერები მამია ჩორგოლაშვილმა მოიძია, ხოლო ბარბარეს, მელანიას, ივანეს და ელისაბედის დაბადების ჩანაწერებს მე მივაკვლიე.

48. *Харектер тиражированного текста*

Образец типографии

Сынковская типография

Задворкин и сыновья

дочь Конина

Фондато винчестер Сингапур

Чиршаги британской администрации

Сынков Аксель

Чиршаги британской администрации

Сынков Аксель

Сынков Аксель

№ 1. ამონარიდი ს. მირზაანის 1817 წლის კამერალური აღწერის წიგნიდან [სეა, ფ. 254, ან. 1, ს. 499]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.

Progress in Fisheries Research

№2. ამონარიდი ს. მირზანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1831 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 134]. დოკუმენტი მოიძია მ. ჩირგოლაშვილმა.

Анастасия Николаевна Ульянин. — . — | 26.
Мария Петровна. — . — . —
Дороти Конни.

№ 3. ამონარიდი ს. მირზაანის 1832 წლის კამერალური აღნერის წიგნიდან. დოკუმენტის გაგრძელების გადაღება ვერ მოხერხდა: „София 1. бабка Аслана тамара 90. Мать его же Елизавета 50“ [სეა, ფ. 254, ან. 1, ს. 1326, ფ. 542]. დოკუმენტი მოიძია მ. ჩორგოლაშვილმა.

Doubt 3063. very dark reddish
brownish grey, has brownish grey glassy
area above surface but yellowish
yellowish area below, when ground
it is grey from reddish hue.
Very heavy when it is ground into
yellowish pinkish reddish brownish
yellowish pinkish reddish brownish
yellowish pinkish reddish brownish
yellowish pinkish reddish brownish

№4. ამონარიდი ს. მირზანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1837 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ, 489, ან. 6, ს. 300]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.

№5. ამონარიდი ს. მირზანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1839 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 350]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.


8. 38. 30. 05-26. Ազգային պատմական թանգարան ՀՀ Տիկին ցուլածած ըցրած է Եղիշե Յան, ինչպահի ըցրած առաջնային կառավագական դիմումը առ պատմական թանգարան ՀՀ Տիկին ցուլածած ըցրած է Եղիշե Յան, ինչպահի ըցրած առաջնային կառավագական դիմումը

№6. ამონარიდი ს. მირზანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1844 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ. 489, ან. 6, ს.531]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.

№7. ამონარიდი ს. მირზანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1847 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ. 489, ან. 6, საქმე 661]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.

10.	9.	<p>127 77892 23502 28052 2026 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892</p>	<p>228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892</p>
		<p>228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892</p>	<p>228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892 228892</p>

№8. ამონარიდი ს. მირზანის ღვთასმშობლის მიძინების ეკლესიის 1849 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 772]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.



№9. ამონარიდი ს. მირზაანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1857 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 1209]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.

№ санкცії по до- праві.	№ поїзда котрима- занесена по зо- ству опинки №.	Названіє селеній, імена и прозванія лиць мужескаго пола.	Скілько літь оть роду.	Общее число людей в се- мействі.
250	134	Алсанік Кисевічиро - Сапара ильин	55	25

№10. ამონარიდი ს. მირზაანის 1860 წლის კამერალური აღ-
წერის წიგნიდან [სეა, ფ. 254, ან. 2, ს. 247]. დოკუმენტი მოიძია
მ. ჩორგოლაშვილმა.

ხელი
 თუ უბრაზ სუკი გამოსახ უხურგა
 სტის კუნ არა კურ დ ფას ხედა
 რო է ჩვეულეთ ას იუკ აუგ
 ეს ასაკ მას ავაუგა სამარტინ
 აუკურა. — და და და და

№11. ამონარიდი ს. მირზაანის ღვთისმშობლის მიძინების
 ეკლესიის 1863 წლის მეტრიკული წიგნიდან [სეა, ფ. 489, ან. 6,
 ს. 1610]. დოკუმენტი მოიძია მ. ჩორგოლაშვილმა.

	<u>Дагомишеви</u> Улан Сене-	
род.		44.
	Жена ею Петя	37.
Сыновья	{ Николай	16
	{ Георгий	11.
	{ Константинос	7.
Дочь	{ Мария	4.
	{ Арина	2.

№12. аმონარიდი ს. მირზაანის 1901 წლის კამერალური აღნერის წიგნიდან [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 280, ფ. 118]. დოკუმენტი მოიძია ნ. კობიაშვილმა.

I.2. ნიკალას დაბადების ვერსიები



ახლა კი ისეთ ბურუსით
მოცულ საკითხს მივადექით,
როგორიც მხატვრის დაბადების
თარიღის დადგენაა.

1922 წელს გაზეთ „ბახ-
ტრიონში“ გამოქვეყნებულ ტი-
ციან ტაბიძის წერილს ერთვის
რედაქციის მინაწერი: „ნიკო
ფიროსმანაშვილი დაბადა 1860-
68 წლებში კახეთში. 8 წლიდან
თბილისში ცხოვრობდა“ [გაზ.
„ბახტრიონი“, 1922, №8]. 6.
კობიაშვილი ვარაუდობს, რომ
ალნიშნული წლები ფეფეს ასაკის
გათვალისწინებით იყო მითითე-
ბული და დასძენს, რომ 1930

წელს უურნალ „დროშაში“ №8, გ. ლეონიძე გვაწვდის სხვა ცნო-
ბას: „ჩემგან აღმოჩენილი ცნობით (მირზაანის ეკლესიის მეტრი-
კული დავთრის თანახმად. ცნობა ამოსწია ვ. ალულიშვილმა),
6. ფიროსმანი დაბადებულა 1860 წელს“. საარქივო ნომერი
მითითებული არ არის, რის გამოც 6. კობიაშვილის აზრით, ვ.
ალულიშვილს მხედველობაში უნდა ჰქონოდა 1860 წლის კამერ-
ალური აღწერის წიგნში არსებული ჩანაწერი [6. კობიაშვილი,
„ისევ ფიროსმანზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
9-17 მაისი, 1996]. ჩვენ ამ დოკუმენტს უკვე გავეცანით [სეა, ფ.
254, ან. 2, ს. 247] (სურ. №11).

გიორგი ლეონიძისთვის არქივის თანამშრომელ ვ. ალულიშ-
ვილს მირზაანის 1860-1872 წლების საეკლესიო მეტრიკული
წიგნებიდან ამონანერები გადაუცია. ამ წლებში ოთხი ნიკოლოზ
ფიროსმანაშვილია დაბადებული:

„1. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. დ. 1860 წ. დედა: ირინე
აბრამის ასული, მამა: დავითი ძე ზაქარიასი.

2. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მამა: ზაქარია გრიგოლის ძე,

დედა: ბარბარე გრიგოლის ასული, დაბად. 1869 წ. აგვისტოს 5-6.

3. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მამა: დიმიტრი ივანეს ძე,
დედა: თამარა გიორგის ასული, დაბად. 1871 წ. 27 ივნისს.

4. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი. მამა: სვიმონ დიმიტრის ძე,
დედა: ატატონ ბასილის ასული, დაბად. 1872 წ. 20 იანვარს“ [გ.
ლეონიძე, „ფიროსმანის დაბადების დათარიღებისათვის“, უურნ.
„მნათობი“, 1931 წ., №3, გვ. 218-219].

როგორც ვხედავთ, დაბადებულთა შორის არც ერთი არ
არის ასლანისა და თეკლას შვილი. მირზაანის ეკლესიების
მეტრიკული წიგნები სახეზეა, პირადად მაქვს ნანახი. ფიროს-
მანის დაბადების ჩანაწერი კი არ არის, რაც იმაზე მიგვანიშ-
ნებს, რომ ის, თავისი და-ძმებისგან განსხვავებით, მირზაანში
არ უნდა იყოს დაბადებული. დედამისი, თეკლე ტოკლიკიშვილი
მაჩხაანიდან იყო, ამიტომ ამ სოფლის საეკლესიო წიგნებიც გა-
დავსინჯე, მაგრამ ნიკო არც იქ აღმოჩნდა.

სხვადასხვა საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, სხ-
ვადასხვა ვერსიები იქნა წამოყენებული. 1960 წელს, უურნალ-
ისტმა გ. ბებუთოვმა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართ-
ველოს არქივში აღმოაჩინა ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს
ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილის ფორმულარულ ნუსხ-
ას. 1890 წელს, ის მიხალოვის (ხაშურის) რკინიგზის სადგურის
სატვირთო მატარებლების მემუხერუჭე კონდუქტორად მუშაო-
ბდა, ხოლო იმავე წლის 14 ოქტომბერს, სამუშაოდ გადაუყვა-
ნიათ ელისავეტპოლის (კიროვბადის) სადგურში. სპეციალურ
გრაფაში წლოვანება აღნიშნული არ არის, მაგრამ ნუსხას ერთ-
ვის სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებულია ფიროსმა-
ნის ასაკი – 28 წელი [Г. Бебутов, „Новое о Нико Пиромани“,
გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1960, 4 აგვისტო; მისივე „Тормузной
кондуктор Нико“, წიგნში „Отражение“, თბ., 1973].

ცხადია, ეს სამედიცინო ცნობა ფიროსმანის მონაწილეობით
იქნებოდა შევსებული, მაგრამ ეს უზუსტობას არ გამორიცხავს.
თუ მხატვარი 1890 წელს 28 წლის იყო, მაშინ ის 1862 წელს
უნდა ყოფილიყო დაბადებული და ასეც დაკანონდა. ჩვენ კი
ახლა უკვე ვიცით, რომ მისი უფროსი და ფეფე, იგივე ნატალია,

1863 წელს დაიბადა. რამდენი წელიც არ უნდა ყოფილიყო მათ შორის ასაკობრივი სხვაობა, ნიკალა თავის უფროს დაზე უფრო-სი ვერ იქნებოდა. ზემოხსენებულ არქივში დაცული „ნიკოლოზ ფიროსმანაშვილის საქმე N2167“, უფრო ვრცლად გაგვაცნეს ლეო გაბუნიამ და ივანე ჯავახიშვილმა 1967 წელს [ლ. გაბუნია, ი. ჯავახიშვილი, „დიდი ცხოვრების მივიწყებული ფურცლები“, უურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №8, 1967, გვ. 49-51].

მომდევნო წელს, თ. ქრისტინაშვილმა იმავე საარქივო საქმი-დან ორ დოკუმენტზე გაამახვილა ყურადღება, რაც ფიროსმა-ნის სამსახურიდან დათხოვნასა და შერყეულ ჯანმრთელობას შეეხება. უზუსტობას ვხვდებით ასევე თვით ნიკო ფიროსმანაშ-ვილის მიერ 1891 წლის 6 მაისს დაწერილ თხოვნაში, რომელშიც ის ელიზავეტოპოლის სადგურის უფროსს თბილისში გადაყვა-ნას სთხოვს: „ხანდაზმულობისგან დაუძლურებული ჩემი მშო-ბლები ტფილისში იმყოფებიან“ [ლ. გაბუნია, ი. ჯავახიშვილი, „დიდი ცხოვრების მივიწყებული ფურცლები“, უურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №8, 1967].

სხვა სარწმუნო ინფორმაცია რომ არ გვქონდეს, დავიჯერებ-დით, თითქოსდა, 1891 წელს მხატვრის მშობლები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ამგვარი უზუსტობები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, გ. ბებუთოვის მიერ დამოწმებულ სამედიცინო ცნო-ბაში მითითებული ფიროსმანის ასაკიც – 28 წელი, არ იყოს ზუსტი. ასევე, 1890-იანი წლების დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ ფიროსმანს რკინიგზაზე ადრეც უმუშავია. ასე მაგალითად, რკი-ნიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსის 1893 წლის 1 ივლისის მოხსენებას ერთვის ცნობა: „ფიროსმანაშვილი გზის სამსახურში მუშაობს 1890 წლის 18 აპრილიდან. ხელფასს იღებს 180 მანეთს წლიურად“ [თ. ქრისტინაშვილი, „ორი საბუთი ფიროსმანაშვი-ლის შესახებ“, უურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №12, 1969].

თავად ნიკალა 1892 წლის 18 აპრილს, მოძრაობის უფროსს სწერდა: „ორ წელზე მეტია ამიერკავკასიის რკინიგზაზე ვმუშობ და შვებულებით არ მისარგებლია“, ხოლო 1893 წლის 6 ნოემბერს აცხადებს: „თქვენდამი რწმუნებულ რკინიგზაზე ოთხ წელიწადს ვიმუშავე“ [ლ. გაბუნია, ი. ჯავახიშვილი, „დიდი ცხოვრების მივიწყებული ფურცლები“, უურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №8,

1967]. მ. ჩორგოლაშვილის მიერ მოკვლეული დოკუმენტიდან კი ჩანს, რომ ფიროსმანს ჯერ კიდევ 1880-იან წლებში დაუწყია რკინიგზაზე მუშაობა, საიდანაც იგი 1888 წლის 28 დეკემბერს, №160 ბრძანებით „უკიდურესი უხეშობისთვის“ გაუთავისუფლებიათ [მ. ჩორგოლაშვილი, „ცხოვრება მხატვრისა“, გაზ. „კომუნისტი“, 17 იანვარი, 1979]. ისმის კითხვა: როდესაც ფიროსმანმა მოძრაობის სამსახურში დაიწყო მუშაობა, გაამჟღავნა წინა განთავისუფლების ფაქტი, თუ ისე წარმოაჩინა საქმე, თითქოსდა, პირველად მივიდა რკინიგზაზე. მეორე შემთხვევაში, მას ისეთი პატარა უზუსტობები დაეხმარებოდა, როგორიცაა, ვთქვათ, შეცვლილი დაბადების წელი. ძნელია, რაიმეს გადაჭრით მტკიცება, მაგრამ ერთადერთ უტყუარ საპუთად ისევ უფროსი დის დაბადების თარიღი – 1863 წელი რჩება, რაც ნიკალას დაბადების თარიღად 1862 წლის გამოცხადებას აბათილებს.

იყო დათარილების სხვა მცდელობებიც. გ. ბებუთოვმა გვამცნო, რომ საქართველოს სახელმწიფო არქივის თანამშრომელ გ. გოზალიშვილს აღმოუჩენია სოფელ მირზაანის 1873 წლის კამერალური აღნერის ჩანაწერი: „ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი, 22 წლის, სოფლის სიიდან ამოღებულია თბილისში გადასვლასთან დაკავშირებით“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 280] (სურ. №13 და №13^o). ამ ჩანაწერის თანახმად, ნიკალა 1851 წელს გამოდის დაბადებული. აღნიშნული ვერსია სარწმუნოდ მიაჩნდა მ. ჩორგოლაშვილს, თუმცა, თავის ნაშრომში „ფიროსმანი ანუ სიკვდილით იწყება სიცოცხლე“, წერს: „ვფიქრობთ, ცოდვას არ ჩავიდენთ, თუკი ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების თარიღად მოვიხსენიებთ 1853 წელს და, მხატვრის მოწმობის მოძიებამდე ამ თარიღიდან გამომდინარე, აღვნიშნავთ მხატვრის საიუბილეო თარიღებს...“ [მ. ჩორგოლაშვილი, „ფიროსმანი ანუ სიკვდილით იწყება სიცოცხლე“, თბ., 2011, გვ. 11]. აღნიშნული 1851 და 1853 წლების მეტრიკული წიგნები გულდასმით გადავათვალიერე, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მხატვარი ამ წლებში არ დაბადებულა.

უურნალისტმა ნ. კობიაშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ 1873 წლის კამერალური აღნერის წიგნში ნიკოლოზ ფიროსმანაშვილის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი დათარიღბუ-

ლია 1885 და არა 1873 წლით. ნ. კობიაშვილმა გააკეთა სწორი დასკვნა: „ესე იგი, დამატებითი ინფორმაცია ამ წიგნში შეტანილია 12 წლის შემდეგ – 1885 წელს“ [ნ. კობიაშვილი, „ისევ ფიროსმანზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9-17 მაისი, 1996]. სულ ახლახან მოვიძიე კიდევ ერთი ანალოგიური დოკუმენტი. ეს არის თბილისის კამერალური აღწერა, რომელსაც 1866 წელი აწერია, მაგრამ აქაც 1885 წლის მინაწერებია [სუა, ფ. 254, ან. 2. ს. 391] (სურ. №15). ამ დოკუმენტის მიხედვითაც, 1885 წელს ნიკალა 22 წლის იყო. ის მირზაანიდან გადმოსულა თბილისში საცხოვრებლად. თუ მირზაანში კამერალური აღწერის ჩატარების დროს, თავად ფიროსმანი მირზაანში არ იმყოფებოდა, ამჯერად, ეს მონაცემები მისი მონაწილეობით უნდა იყოს ჩაწერილი. გამოდის, თითქოსდა, ფიროსმანი 1863 წელს ყოფილა დაბადებული. ირინა ძუტოვაც ფიროსმანის დაბადების თარიღად 1863 წელს ასახელებს: „1863, იანვრის ბოლო, ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი) დაიბადა სოფელ მირზაანში, კახეთში, გლეხის ოჯახში. მითითებული თარიღი ყველაზე უფრო სარწმუნოა ყველა სხვა სავარაუდოთა შორის, ვინაიდან ჩაწერილია ილია ზდანევიჩის მიერ მის დღიურში 1913 წელს, თავად ფიროსმანის თქმით“ [Ирина Дзутова, „Пиросмани“, თბ., 2013, გვ. 42]. ახლა, როდესაც უკვე დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1863 წელს ნიკალას უფროსი და დაიბადა, ცხადია, ი. ზდანევიჩის საინტერესო ცნობამ დამაჯერებლობა დაკარგა. რამდენი წელიც არ უნდა ყოფილიყო და-ძმას შორის ასაკობრივი სხვაობა, ნიკალა ვერც 1862 და ვერც 1863 წელს ვერ იქნებოდა დაბადებული. სხვათაშორის, მოგვიანებით, მნერლებთან შეხვედრისას, ფიროსმანმა თავისი ასაკი მიახლოებით დაასახელა. ჩემ მიერ თბილისის კამერალური აღწერის ნიგნის ჩანაწერის ნახვის შემდეგ, კიდევ უფრო გამიმყარდა ის აზრი, რომ ობლობაში გაზრდილმა ნიკალამ თავისი დაბადების ზუსტი თარიღი არ იცოდა. როგორც ჩანს, ასეთი რამ ხშირი იყო XIX ს-ში. ასე მაგალითად, 1832 წლის შეთქმულების აქტიურმა ნევრმა, ბერმა ფილადელფიოს კიკნაძემ, 1833 წლის თებერვალს, საგამოძიებო კომისიისთვის მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ ქართველებს ჩვეულებად

არ ჰქონდათ დაბადების თარილის ჩანერა, ამიტომ ის თავის ასაკს მიახლოებით განსაზღვრავდა და თავი 40 წლისად მიაჩნდა [სეა, ფ. 1457, რვეული VII, ფ. 1223]. სხვადასხვა მკვლევრები მისი დაბადების სხვადასხვა წელს ასახელებენ, რაც განხილული მაქვს ჩემს მონოგრაფიაში ფილადელფიოსის შესახებ [მ. ხომერიკი, „1832 წლის შეთემულების მონაწილე ბერი ფილადელფიოს კიკნაძე“, თბ., 1999]. ჩანერები 1818 წლიდან კი დაიწყეს, მაგრამ ფიროსმანს დაბადების ჩანაწერი საერთოდ არ ჰქონია, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით. მ. ჩორგოლაშვილი მხატვრის 1851 წელს დაბადების არასწორი ვერსიის გამაგრებას სხვა დოკუმენტითაც ცდილობდა. ეს არის 1860 წლის კამერალური აღნერის წიგნი [სეა, ფ. 254, ან. 2, ს. 247] (სურ. №10), რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით და სადაც ასლანის ოჯახის შემადგენლობაში პირველად ჩანს მეორე მამაკაცის არსებობა. მ. ჩორგოლაშვილი ვარაუდობდა, რომ ეს მეორე მამაკაცი მომავალი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილია. მისთვის უცნობი იყო ის ფაქტი, რომ ასლანს უფროსი ვაჟი ჰყავდა. ივანე 1847 წელს იყო დაბადებული. ცხადია, 1860 წლის აღნერაში ის მამრობითი სქესის წარმომადგენლების სიაში იქნებოდა აღნუსხული, რამაც ასეთი დამსახურებული მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა.

ახლა კი, ყველაზე დაუსაბუთებელი ვერსია უნდა განვიხილოთ, რომელიც უურნალისტმა, ლირსების ორდენოსანმა მემედ გიული (ინგილომ) შემოგვთავაზა. მისი წერილიდან ვიგებთ, რომ XIX საუკუნეში ზაქათალის ერთ-ერთ გაქრისტიანებულ სოფელში, თასმალოში, ფიროსმანაშვილების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. ავტორის აზრით, ფიროსმანის მამაც, ასლანი – „წარმომობით ინგილო“, ამ სოფლის მკვიდრი იყო. ავტორი გვაწვდის 1858 წლის მონაცემებს, რის მიხედვითაც, ხუთი თას-მალოელი დაქორწინებული იყო სილნალის მაზრის ქალებზე. მ. გიული ვარაუდობს, რომ ერთ-ერთი მათგანი გახლდათ მაჩხანელი თეკლე ტოკლიკიშვილი, ნიკო ფიროსმანაშვილის დედა. რუსეთის იმპერატორის 1848 წლის განკარგულებით, იმ პირებს, ვინც ქრისტიანობას მიიღებდა, ნებისმიერ ადგილზე ჩასახლების უფლება ეძლეოდათ. ამიტომ ავტორი ფიქრობს, რომ ფიროსმანაშვილებმაც ისარგებლეს ამ უფლებით და თასმალოდან

მირზაანში გადმოსახლდნენ. ის წერს, რომ 1849 წელს, მეფის-ნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მეუღლის კახში ჩასვლის დროს, ბევრი ინგილო მოინათლა. მისი ვარაუდით, მონათლულთა შორის იყო ასლან ფიროსმანაშვილიც, რომელმაც თითქოსდა, 1858 წელს თასმალოში ცოლად შეირთო ხუთი ქიზიყელი ქალიდან ერთ-ერთი – თევკლე ტოკლიკიშვილი. 1859 წელს, თასმალოშივე შეეძინათ გიორგი, 1862 წელს – მარიამი, 1864 წელს – პეპე და 1867 წელს ნიკო. ამის შემდეგ, ვითომდა, „ოთხი შვილის დედ-მამა იძულებული გახდნენ, მირზაანში ჩასახლებულ ნათე-სავ ფიროსმანაშვილებთან ჩასულიყვნენ“ [მ. გიული (ინგილო), „სადაური იყო ნიკო ფიროსმანაშვილი?“, გაზ. „საქართველოს რესუბლიკა“, 24 ოქტომბერი, 2004]. რას ემყარება ეს ინფორ-მაცია? მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდს. ვარაუდსაც აქვს არსე-ბობის უფლება, ოლონდ, უტყუარი დოკუმენტების მოძიებამდე. ასლან ფიროსმანაშვილის ოჯახის შესახებ კი, საკმაო საარქივო მასალა იყო მოძიებული ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მ. გიულის წერილი დაიბეჭდებოდა. უურნალისტი აცხადებს, თითქოსდა, მირზაანის საეკლესიო წიგნებში არ არის არც ერთი ჩანაწერი ასლანის ოჯახის წევრების შესახებ, რასაც იმით ხსნის, რომ ასლანიც და მისი შვილებიც თასმალოში არიან დაბადებული. ეს არის მოუტევებელი ზერელე დამოკიდებულება საკვლევი თემის მიმართ და მკითხველის აბუჩად აგდება! ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ასლანის ოჯახი მირზაანის 1817 წლის კამერალურ აღწერაში არის შეყვანილი. თასმალოში კი, როგორც დავადგინე, ფიროს-მანაშვილების რამდენიმე ოჯახი მირზაანიდან გადმოსახლე-ბულა. თასმალოს საეკლესიო მეტრიკული წიგნიდან ვიგებთ, რომ 1869 წლის 24 სექტემბერს, თასმალოში გარდაცვლილა „სოფელს მირზაანში მცხოვრებლის დიმიტრი ფიროსმანაშვილის ძე გიორგი, 2 წლის, ცხელებით“ [სეა, 489, ან. 6, ს. 1766, ფ. 173]. იმავე წლის წიგნში გვხვდება იმავე სოფლის მცხოვრები სახა-ზინო გლეხი ბასილი ფიროსმანაშვილი [სეა, 489, ან. 6, ს. 1766, ფ. 172]. ჩვენ მიერ მოძიებული ეს ჩანაწერები ასლან ფიროს-მანაშვილის ოჯახს არ ეხება. ამ ოჯახის წევრების მირზაანში დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტები ჩვენ უკვე განვიხ-ილეთ. მ. გიულის ვერსიის უსაფუძვლობა ნათელია. მიუხედავად

ამისა, ყურადსალებია ის ცნობა, რომ ნიკალა ჩადიოდა ხოლმე საინგილოში მცხოვრებ ფიროსმანაშვილებთან. ცნობილია, რომ მხატვარი, რკინიგზაზე მუშაობდა. როგორც დავადგინე, 1880-იან წლებში რკინიგზაზე მისი რამდენიმე მოგვარე იყო დასაქმებული. 1889 წელს რკინიგზის სამსახურიდან განთავისუფლებულთა ერთ სიაში, დაფიქსირებულია ვანო ფიროსმანაშვილი. სახელი შემდეგ ვიღაცას გადაუშლია. ალბათ, შეცდომა ეგონათ.

უსახელის.

შპ.	უსახელი, ფიროსმანი ა ზოგიერთი
III.8.	ჭ. სახელი არის ა. ბ.

იმავე საქმეში მოვიძიე დოკუმენტი, სადაც ხსენებული ვანო სამ ფიროსმანაშვილთან ერთად არის დაფიქსირებული. ისინი სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ.

1.	სახელი არის ა. ბ.	სახელი არის ა. ბ.	110.00
1.	სახელი არის ა. ბ.	სახელი არის ა. ბ.	110.00
1.	სახელი არის ა. ბ.	სახელი არის ა. ბ.	110.00
1.	სახელი არის ა. ბ.	სახელი არის ა. ბ.	110.00

კიდევ ერთ, 1893 წლის დოკუმენტში, რამდენიმე ფიროსმანაშვილი გვხვდება. ერთს სწორად უწერია გვარი, ოთხს კი დამახინჯებულად – პეროსმანაშვილი. ჩვენ არ ვიცით მათი სადაურობა. არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანი საინგილოდან ყოფილიყო და მხატვარს დაახლოებოდა. პირადად მე ამის დამადასტურებელი საბუთი არ მაქვს. საფიქრებელია, რომ რკინიგზაზე ამდენი მოგვარის მუშაობის ფაქტმა განაპირობა ნიკალას არჩევანი.

			Тем. час.	-	1чк	-	б.
1,,	Піросмаламівна Нестора	-	m.	-	1,,	-	б.
1,,	Піросмаламівна Нестора	-	m.	-	1,,	-	б.,
1,,	Піросмаламівна Присяжн.	-	m.	-	1,,	-	б.,
1,,	Піросмаламівна Спекан	-	m.	-	1,,	-	б.,
1,,	Піросмаламівна Альфона	-	m.	-	1,	.	б.

6. კობიაშვილის ვარაუდით, ნიკალა დაბადებული უნდა იყოს 1864-1866 წლებში. მან ასევე ყურადღება მიაქცია 1873 წლის ჩანაწერს – „ასლან ფიროსმანაშვილის ქვრივი“, რომელიც გადაშლილია და გვერდით უწერია „უმერლა“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 217] (სურ. №14). 6. კობიაშვილის ვერსია 1987 წლის 26 თებერვალს განხილული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სხდომაზე. მოგვაქტს ამონარიდი ოქმიდან №9 – „დაადგინეს: 6. კობიაშვილის არგუმენტაცია ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების თარიღთან დაკავშირებით დამაჯერებელი და სწორია და ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ მას სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს“ [თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის №9 ოქმიდან. 26 თებერვალი 1987 წელი. ნიგნში: ირინე აბესაძე, „ყველაფერი ფიროსმანზე“, თბ., 2013, გვ. 51-52]. ყურადსალებია, რომ 1991 წელს დაბეჭდილ საფოსტო მარკას აწერია: „დაბადების 125 წლისთავი ნიკო ფიროსმანაშვილი“ (სურ. №16). იგულისხმებოდა, რომ ფიროსმანი 1866 წელს დაიბადა. შემდეგ, ეს დადგენილი თარიღი დავინუებას მიეცა და ისევ დაიწყეს 1862 წლის დაკანონება, რაც სრულიად გაუმართლებელია. ეს თარიღი იყო მითითებული ერთლარიან კუპიურაზე. UNESCO-ს გენერალური კონფერენციის 36-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლის იუბილე შეტანილი იქნა იმ ლონისძიებათა ნუსხაში, რომლის აღნიშვნაშიც 2012-13 წწ. UNESCO მიღებდა მონაწილეობას. საინტერესოა, ვინ მიაწოდა იუნესკოს არასწორი ცნობა. იმ დროისთვის, უკვე გამოქვეყნებული მქონდა ბროშურა „გენეალოგიურ-ბიოგრაფიული ძიებანი 1. ფიროსმანი“, ასევე

რიგი წერილებისა ფორმასმანის შესახებ, სადაც ვამტკიცებდი, რომ მხატვარი დაიბადა დაახლოებით 1866 წელს, სოფელ შულავერში. აღსანიშნავია, რომ ჩემი დასკვნები განიხილეს ისტორიკოსებმა. ბროშურას აწერია: „რეკომენდირებულია დასაბეჭდად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2004 წლის 25 ივნისი, ოქმი №6)“ [მ. ხომერიკი, „გენეალოგიურ-ბიოგრაფიული ძიებანი 1, ფირმასმანი“, თბ., 2004].

ფირმასმანის 1862 წელს დაბადების ვერსიას აქტიურად უქმერდა მხარს ანზორ მაძლარაშვილი. ძნელი სათქმელია, ვისი დამსახურებით ხდება ის, რომ მოძველებულ ინფორმაციაზე დამყარებულმა მოსაზრებამ, უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის დასკვნა და ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება გადაწონა. ალბათ, ესეც ფირმასმანის მიმართ ზერელე დამოკიდებულების მაჩვენებელია!

№ Альбома по письму	Фамилия, имя, отчество, инициалы, по которым ведется учет	Название города, или селений, или кочевья, владение податныхъ лицъ, имена, отчества и прозвания податныхъ лицъ мужского пола.	Однако отъ земли	Объяснение проблемы со временем посвященное описанию.
6.	Михаил Иванов Николаевич		29	Был членом ко комитету описанию № 1732 1854.

№13. ამონარიდი ს. მირზაანის 1873 წლის კამერალური აღნერის წიგნიდან [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 280]. დოკუმენტი მოიძია გ. გოზალიშვილმა.


Объяснение убыли, могущей
последовать по перечислению
и другимъ случаямъ до про-
изводства съдѣйстваго каме-
рального описания.

Инициалы Николая Ивановича
Чеснокова по сию сделке,
по перечислению ее въ гар.
Миримск. № N. 327
1885.

№13°. [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 280]. გაგრძელება.

** 276. ~~Надежда Ивановна~~
~~Красильщикова~~ ~~не подала~~

№14. ამონარიდი ს. მირზაანის 1873 წლის კამერალური აღ-
ნერის ნიგნიდან [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 217]. დოკუმენტი მოიძია
მ. ჩორგოლაშვილმა. სიტყვა „умерла“ შეამჩნია ნ. კობიაშვილმა.



№15. ამონარიდი თბილისის 1866 წლის კამერალური აღნერის ნიგნიდან, რომელშიც შეტანილია სხვადასხვა წლების ჩანაწერები [სეა, ფ. 254, ან. 2. ს. 391]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.



№16. 1991 წლის საფოსტო მარკა, რომლის თანახმად, ფიროსმანი 1866 წელს არის დაბადებული.

I.3. მირზაანელ ასლან ფიროსმანაშვილს ნიკალა შულავერში შეეძინა

სილნალის მუზეუმში, ფიროსმანის შესახებ, ასეთ ინფორმაციას გავეცანი: „ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა 1862 წელს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – კახეთის სოფელ მირზაანში (ქიზიყი), გლეხის ოჯახში. მამა, ასლან ფიროსმანაშვილი, ადრე გარდაცვალა. დედას, თეკლე ტოკლიკიშვილს, სამი შვილი დარჩა: ორი ქალი და ვაჟი, რომელსაც სოფელში ნიკალას ეძახდნენ. დედის გარდაცვალების შემდეგ პატარა ნიკო კახეთის მემამულებმა, კალანტაროვებმა იშვილეს. მალე კალანტაროვები საცხოვრებლად თბილისში გადავიდნენ. ნიკომ თითქმის მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა“.

რატომ, რა მიზნით მახიჯდება ფაქტები? ქალანთაროვების ოჯახის ისტორია განხილული მაქვს ჩემს წიგნში [მ. ხომერიკი, „ფიროსმანზე და არა „მხოლოდ...“, თბ., 2017]. ისინი კახეთის მემამულები არ ყოფილან. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო უზუსტობა ბევრ რამეს ცვლის და ფიროსმანის დაბადების საკითხის კვლევას აფერხებს. ამ ვერსიით გამოდის, რომ ფიროსმანაშვილების ცხოვრებაში შულავერი საერთოდ არ ყოფილა. მაშინ, სად არის ფიროსმანის დედ-მამის გარდაცვალების ჩანაწერები. ან, თუ ფიროსმანი კახეთში დაიბადა, მაშინ, რატომ არ გვაქვს მისი დაბადების ჩანაწერი? მირზაანის საეკლესიო მეტრიკული წიგნები ხომ შემონახულია. გარდა ამისა, მართალია, პატარა ნიკალა ქალანთაროვებმა გაზარდეს, მაგრამ რომ ემვილებინათ, პირველ რიგში სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადაიყვანდნენ, გვარს გამოუცვლიდნენ, კარგ განათლებასაც მისცემდნენ, როგორც ეს შეძლებული ოჯახის შვილს შეეფერებოდა, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. ფიროსმანი ქალანთაროვებს არ უშვილებიათ და ჩვენ ნუ ვეცდებით მის გაშვილებას!

ახლა, დაწვრილებით უნდა განვიხილოთ, თუ როგორ აღმოჩნდნენ ქალანთაროვები ნიკალას ცხოვრებაში. ასლან ფიროსმანაშვილს 1860-იან წლებში, ოჯახთან ერთად, შულავერში ჩასვლა მოუხდა, სადაც ქალანთაროვებთან დაწყო მეზვრედ მუშაობა. გ. კაკაბაძე მოგვითხრობს, რომ ბორჩალოში ჯერ ნიკოს

უფროსი ძმა, გიორგი გარდაიცვალა 15 წლის ასაკში, შემდეგ კი, თავად ასლან ფიროსმანაშვილი, „რომელიც მუშობის დროს გაოფლიანდა, გაცივდა და ვეღარ უშველეს (კამერალური აღ-წერის ცნობით 1873 წელს ასლანი ცოცხალთა შორის აღარ იხსენიება). მალე თეკლეც ავად გახდა“. გ. კაკაბაძე ეხება რა ფიროსმანაშვილების ბორჩალოს მაზრაში გადასახლების მიზე-ზებს, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველი გლეხი საშო-ვარზე ოჯახთან ერთად არასოდეს მიდიოდა, გარდა ერთი შემ-თხვევისა – თუკი მისი მიწა საარსებო მინიმუმს აღარ იძლეოდა. ამიტომ, ოჯახის გადასახლებას შიმშილს უკავშირებს, რომელიც ქიზიყში 1872 წელს ჩამოვარდა: „ბედმა ქიზიყულებისაგან საპ-ოლოოდ იპრუნა პირი, 1872 წელს ჯერ გვალვამ გაახმო ნათესე-ბი, შემდეგ კი სეტყვამ დალენა და შიმშილობამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია“ [გ. კაკაბაძე, „ნიკო ფიროსმანი – დაკ-არგული უბრალოების ძიება“, თბ., 2012, გვ. 54-55]. ავტორის ვარაუდით, სწორედ ეს გახლდათ მთავარი მიზეზი, რის გამოც, ასლან ფიროსმანაშვილმა მიზანი მიატოვა და წვრილშვილთან ერთად ბორჩალოს მაზრის სოფელ შულავერს შეაფარა თავი. გ. კაკაბაძის ვერსიით გამოდის, თითქოს, ფიროსმანაშვილები 1872 წელს გადასახლდნენ შულავერში და ერთი წლის განმავ-ლობაში ოჯახის სამი წევრი გარდაიცვალა! ცხადია, ამ მოსაზ-რებას ვერ გავიზიარებ და შევეცდები ამის მიზეზიც ავხსნა. ჩემ მიერ შესწავლილი კამერალური აღწერის ნიგნების მინაწერები მოწმობენ, რომ ქიზიყულები 1870 წლამდე გადასახლდნენ ბორ-ჩალოს მაზრაში.

ასლანი და მისი ოჯახი მარტო არ ყოფილან. მათთან ერ-თად, მირზაანიდან და მეზობელი სოფლებიდან, მცირე ჯგუფმა დატოვა ქიზიყი. მათ შორის იყო მიხეილ ჯავახიშვილის მამა, რაზედაც წელი კობიაშვილმაც გაამახვილა ყურადღება: „ნიკო ფიროსმანაშვილის მამა – ასლანი და მიხეილ ჯავახიშვილის მამა – საბა დაახლოებით ერთ დროს გადასახლდნენ – XIX საუ-კუნის 60-70-იან წლებში. გადმოცემით, ნიკოს მამა 1870 წელს გარდაიცვალა, ხოლო ნიკოს დედა, თეკლე ტოკლიკიშვილი – 1873 წელს. ამის დამადასტურებელი საბუთი არსებობს. 1872 წელს კი მიხეილის მამას შულავერის მეზობელ სოფელ წერ-


აქვში შეეძინა პირველი შვილი. გამოდის, რომ მათ ერთსა და იმავე დროს მოუხდათ ყოფნა ბორჩალოს მაზრის სოფლებში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთი სოფლიდან გადასახლებულ ოჯახებს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ“ [ნ. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს“, თბ., 2004, გვ. 95]. საგულისხმო ფაქტია, რომ როდესაც 1922 წლიდან დაწყებული, გიორგი ლეონიძე ფიროსმანის შესახებ მისხალ-მისხალ აგროვებდა ცნობებს, მიხეილ ჯავახიშვილს ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ნ. კობიაშვილმა ძალიან სწორად დასვა საკითხი, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ფიროსმანსა და მიხეილ ჯავახიშვილს შორის არსებული კავშირების დადგენა ვერ მოახერხა. ჩემთვის კი, ეს უფრო მარტივი ამოცანა იყო, რადგან ერთი წლით ადრე გამოვაქვეყნე მიხეილ ჯავახიშვილის გვარის და ოჯახის ისტორიის ამსახველი ნარკვევი „ფესვები“ [მ. ხომერიკი, „სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციცაშვილის მიერ. ფესვები“ თბ., 2003]. ამ საკითხის გაშუქება ცოტა უფრო შორიდან უნდა დავიწყოთ. ქ. ჯავახიშვილი თავის მოგონებებში წერს: „მიხეილის მამა, საბა წარმოშობით ქიზიყელი იყო...სოფელ ზემო-მაჩხანის საეკლესიო მეტრიკული წიგნით დასტურდება, რომ საბას მშობლები იყვნენ: მამა – ადამ არსენის ძე ტოკლიკიშვილი, დედა – მელანია ივანეს ასული [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984, გვ. 14]. ამ ცნობაზე დაყრდნობით, მოვიძიე მეტრიკული ჩანაწერი: 1834 წლის 14 იანვარს „ზემო მახჩანშივე მცხოვრებელმა სახელმწიფო ყმამ ტოკლიკიშვილმა ადამამ არსენის ძემ უცოლომა იქორწინა მისივე სოფელში მცხოვრებელის სახელმწიფო ყმის ბოსტოლანაშვილ ნინიას ქალწულს ქალს მელანიაზე“ [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 213]. ქ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რომ საბას მამას, ადამას, ცოლი ადრე გარდაეცვალა. დედის სიკვდილის შემდეგ, ოჯახში, მამა-შვილს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ბოლოს, საბამ რამდენიმე მეგობართან ერთად, სოფლიდან გაქცევა გადაწყვიტა. მაჩხანიდან წამოსვლის შემდეგ, საბამ და მისმა მეგობრებმა ჯერ თბილისში სცადეს სამუშაოს შოვნა, მაგრამ დამხმარე არავინ ჰყავდათ. ამ დროს გაიგეს, რომ შულავერის მხარეში სამუშაო უფრო ადვილად იმოვებოდა და შულავერისაკენ გასწიეს.

პირველად საბა მოეწყო, სამი ნლის განმავლობაში ილია ბოსტოლანაშვილის ბალში მებაღედ მუშაობდა. ილია მდიდარი კაცი იყო. ოჯახთან ერთად ბაქოში ცხოვრობდა, სადაც ვაჭრობას მისდევდა. შულავერში საკუთარი სახლი და მამული ჰქონდა. აქ იშვიათად, უფრო ზაფხულობით მოდიოდა ხოლმე. ქ. ჯავახიშვილი წერს: „ასე რომ ბოსტოლანაშვილის მამულები საბას ხელში იმყოფებოდა“ [ქ. ჯავახიშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984 გვ. 19, 22]. ვაჭარი ასე ადვილად არ ენდობოდა საიდანლაც გადმოხვეწილ უცხო ახალგაზრდას, მაგრამ საბას დედაც ხომ ბოსტოლანაშვილი იყო და არ არის გამორიცხული, რომ ნათესავებიც ყოფილიყვნენ. ჩვენთვის მთავარია დავადგინოთ, თუ რომელ წელს ჩავიდა ქიზიყელების ჯგუფი შულავერში. როგორც ჩემ მიერ მოძიებული დოკუმენტიდან ჩანს, 1858 წელს საბა ჯერ კიდევ მაჩხაანშია. ის სოლომონ ბოსტოლანაშვილის ქორწილში თავმდები ყოფილა [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 1266, ფ. 316]. მას შემდეგ, რაც საბამ შულავერში სამი წელი ილია ბოსტოლანაშვილთან იმუშავა, როგორც რ. ჯავახიშვილი თავის ინტერვიუში მოგვითხრობს, სადახლოში გადავიდა და მელიქიშვილის მოურავი გახდა, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა. ეს ყველაფერი საბამ თავის დაოჯახებამდე მოასწორ. ქ. ჯავახიშვილი წერს, რომ ერთხელ, საბამ ვიღაცის ქორწილში ელენე ბურნაძე გაიცნო, ვისთანაც მალე იქორწინა. საარქივო დოკუმენტმა საშუალება მომცა დამედგინა ქორწილის თარიღი. ჯვრისწერის ჩანაწერს შულავერისა და წერაქვის მეზობელი სოფლის – ოფრეთის, 1872 წლის საეკლესიო მეტრიკულ წიგნში მივაკვლიე: „Церковский житель Савва Адамов сын Токлигадзе, православного исповедания, первым браком, საცოლე: „Цераквский житель Андрея Бурнадзева dochь, Елены православного исповедания, первым браком“ (ორთოგრაფია დაცულია) [სეა, ფ. 489, ან. 32. მარნეული, საქმე 1, მეტრიკული წიგნი №18] (სურ. №17). საბა ტოკლიკაშვილმა, გარკვეული მიზეზების გამო, გვარის გამოცვლა მოინდომა. პირველად, ტოკლიკაძის გვარი აიღო. ოფრეთის პეტრე-პავლეს ეკლესიის 1880 წლის მეტრიკულ წიგნში, მ. ჯავახიშვილის (მიხას) დაბადების ჩანაწერიც მოვიძიე. მშობლები: „Житель сел. Церакв

Сава Адамов законная его жена Еления Андреев оба провос. В. Испов“ [Съя, №. 489, аб. 32, март 1997г. №18]. Саадам аხლა უკვე მამის სახელი – ადამა გამოიყენა და ადამოვის გვარით მოგვევლინა. დოკუმენტი პირველად 2008 წელს გამოვაქვეყნები [მ. ხომერიკი, „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“, თბ., 2008, გვ. 16].

თუ ზემოთ მოყვანილ ცნობებს შევაჯამებთ, ადვილად მივხვდებით, რომ ქიზიყელების ჯგუფი საბას ჯვრისწერამდე, ანუ 1872 წლამდე გაცილებით ადრე ჩავიდა შულავერში. და აი, მიხეილ ჯავახიშვილის და ფიროსმანის (დედის მხრიდან) ნათესაობის დადგენამ, ბოლოს უმნიშვნელოვანეს ცნობამდე მიგვიყვანა. მწერლის უმცროსი ქალიშვილი, რ. ჯავახიშვილი თავის ინტერვიუში, ფიროსმანთან დაკავშირებით გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ უზუსტობებს შეიცავს, მაინც, ნიკალას დაბადებაზე მიგვანიშნებს: „როგორც ცნობილია, საბამ მიხეილის მამამ, 15-16 წლის ასაკში სოფელი მიატოვა, მამას გაექცა და ქალაქისკენ გამოსწია ხუთ მეგობართან ერთად. სრულიად უმწეოდ დარჩენილები, კითხვა-კითხვით სამუშოს ძებნაში თბილისიდან შულავერში აღმოჩნდნენ, სადაც ერთ-ერთი მეგობარი დაოჯახდა და იქვე დასახლდა. სწორედ ეს მეგობარი ყოფილა ნიკალას მამა, რომელიც, როგორც ირკვევა, საბას დეიდაშვილი იყო“ [მაკა ჯავახიშვილი, „როგორ აღმოჩნდა სოფელი სიონი მიხეილ ჯავახიშვილის მამის – საბა ადამაშვილის საკუთრებაში,“ უურნ. „თბილისელები“, N1, 2003 წ.]. პირველი უზუსტობა ის არის, რომ ნიკალას მამა – ასლან ფიროსმანაშვილი და საბა ადამას ძე ტოკლიკიშვილი (შემდგომში ტოკლიკაძე, ადამოვი, ადამაშვილი), დეიდაშვილები არ ყოფილან. ასლანის ცოლი, თეკლე ტოკლიკიშვილი კი საბა ადამის ძე ტოკლიკიშვილის მოგვარე იყო და შესაძლოა, ნათესავიც ყოფილიყო. მეორე უზუსტობა ის არის, რომ ნიკალას მამა, ასლანი, შულავერში არ დაოჯახებულა. მას და თეკლეს შულავერში ჩასვლამდე უკვე ჰყავდათ საერთო შვილები. არ არის გამორიცხული, რუსუდან ჯავახიშვილს მამისგან, მიხეილ ჯავახიშვილისგან, პქონოდა გაგონილი, რომ ნიკალა შულავერში დაიბადა, რაც მან ასლანის დაოჯახებად აღიქვა. მესამე უზუსტობა ის არის, რომ საბა

ტოკლიკიშვილს 16 წლის ასაკში არ დაუტოვებია მშობლიური სოფელი. საბა 1842 წელს იყო დაბადებული.



[სეა, ფ. 489, ან 6. ს. 458]. 16 წლის ის 1858 წელს იქნებოდა, როდესაც ჯერ კიდევ მაჩხაანში იმყოფებოდა [სეა. ფ. 489, ან. 6, ს. 1266, ფ. 316]. შულავერში კი, ქიზიყელების ჯგუფთან ერთად, 1863 წლის (ანუ, ფეფოს დაბადების) შემდეგ ჩავიდა, როდესაც 20 წელს გადაცილებული იყო. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი უნდა იყოს ოფრეთში ჩასახლებული გიორგი ივანიკას ძე ჯალიაშვილი, რომელზეც 1873 წლის კამერალურ აღნერაში მითითებულია: „გადმოვიდა სიღნალის მაზრის სოფელ ქიზიყიდან, 1865 წელს [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 242]. უფრო უტყუარ ცნობა-საც მივაგენი ზემო წერაქვის 1873 წლის კამერალურ აღნერაში: „გიორგი სოსიას ძე ტალიაშვილი, 46 წლის, გადმოვიდა სიღ-ნალის მაზრის სოფელ კარდანახიდან, 1865 წელს“ [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 242]. ეს ის გიორგი ტალიაშვილია, რომელსაც ქეთევან ჯავახიშვილი საბას მეგობრებს შორის ასახელებს [ქ. ჯავახიშ-ვილი, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1984, გვ. 30]. ისინი ქიზიყიდან ასლანის ოჯახთან ერთად ჩავ-იდნენ ბორჩალოს მაზრაში. ეს ფაქტი სრულიად აბათილებს გიორგი კაკაბაძის მოსაზრებას, თითქოსდა, ფიროსმანაშვილები 1872 წელს ჩავიდნენ შულავერში.

1926 წელს, ვანო ბუთლიაშვილმა გაგვაცნო ქალან-თაროვების ოჯახში ჩაწერილი მოგონებები, რომელთა თანახ-მად, ასლანი მირზაანიდან შულავერში გადასულა, ახვერდი ქალანთაროვთან მეზვრედ დაუწყია მუშაობა და ოჯახიც თან წაუყვანია: „ნიკო უმცროსი ვაჟიშვილი ყოფილა. უფროსს რქმე-ვია გიორგი და იგი 15 წლის გარდაცვლილა შულავერს“ [კ. ბუთ-

ლიაშვილი, „ნიკო ფიროსმანი“, უურნ. „დროშა“, 1926 წ., №5, გვ. 19]. ასლანის უფროსი ვაჟი, რომელსაც ქალანთაროვების ბუნდოვანი მოგონებების თანახმად, გიორგი ერქვა, შულავერში გარდაცვლილა. ქალანთაროვებს მასთან ისეთი სიახლოვე არ ექნებოდათ, როგორიც შემდგომში ნიკოსთან ჰქონდათ, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თავიანთი მოჯამაგირის ვაჟის სახელი და ასაკი ზუსტად არც ხსომებოდათ. ჩვენ უკვე გავეცანით მეტრიკულ ჩანაწერს, საიდანაც ჩანს, რომ ივანე ასლანის ძე ფიროსმანაშვილი 1847 წელს იყო დაბადებული. თუ იგი შულავერში ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა, ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მხატვრის დაბადების დროისთვის, ანუ დაახლოებით 1866 წლისთვის, ოჯახი შულავერში ცხოვრობდა. ჩვენს ხელთ არსებული ყველა ცნობის შეჯერების საფუძველზე, შეიძლება ერთადერთი სწორი დასკვნის გამოტანა: მირზაანელ ასლან ფიროსმანაშვილს და მის მეუღლეს, თეკლეს, სწორედ შულავერში შეეძინათ ნიკალა. ასლანი მაშინ დაახლოებით 60 წლის იქნებოდა, თეკლა კი, გაცილებით ახალგაზრდა. ვ. ბუთლიაშვილის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ დაქვრივებულ და ავადმყოფ თეკლეს ქალანთაროვები უვლიდნენ. მომავდავმა სწორედ მათ ჩააბარა პატარა ნიკო: „თქვენ გაბარებთ ჩემს შვილს ნიკოს და უპატრონეთო“ [ვ.ბუთლიაშვილი, „ნიკო ფიროსმანი“, უურნ. „დროშა“, 1926 წ., №5, გვ. 19]. მომავალი მხატვარი ახვერდი და ეფროსინე ქალანთაროვების ქალიშვილმა, ანა ბეგ-ოსიპოვამ, შულავერიდან თბილისში წაიყვანა, სადაც თავის ოჯახში აღზარდა.

მ. ჩორგოლაშვილი წერს: „1873 წლის კამერალურ აღწერაში (მირზაანის – მ. ხ.) ასლანს არ იხსენიებენ. არის ასლანის მეუღლე, მისი ქვრივი, რომელიც შემდეგ ამოუშლიათ იმის გამო, რომ არსებული წესით აღწერაში მხოლოდ მამაკაცები შეჰქონდათ“ [მ. ჩორგოლაშვილი, „ფიროსმანი ანუ სიკვდილით იწყება სიცოცხლე“, თბ., 2011, გვ. 14]. ასეთი წესის არსებობას ვერ დავადასტურებ, რადგან 1873 წლის აღწერის იმავე წიგნში, ვნახე შემთხვევები, როდესაც ქვრივი ქალი, ოთარაანთ ქვრივივით, საკუთარი სახელის გარეშე წერია ოჯახის უფროსად: „ქაიხოსრო ხოროშვილის ქვრივი“, „გონაშვილი ქაიხოსროს ქვრივი“. 6.

კობიაშვილი სწორად ხსნის ასლანის მეუღლის ამოშლის მიზეზს: ძირითადი ჩანაწერის ქვევით და ოდნავ მარჯვნივ, წითელი მელ-ნით, რუსულ ენაზე მიუწერიათ ერთი სიტყვა: „ვგონებ არ უნდა ვცდებოდე და სწორად ამოვიკითხე – უმერლა წერია გაკრული ხელით“ [6. კობიაშვილი, „ისევ ფიროსმანზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9-17 მაისი, 1996]. ამ მოსაზრების ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელია. მეც ზუსტად ასე ამოვიკითხე, რომ ასლან ფიროსმანაშვილის ქვრივი მომკვდარა. ქმართან შედარებით, უფრო ახალი გარდაცვლილი უნდა იყოს. ანუ, აღნიშნული დოკუმენტი [სეა, ფ. 254, ან. 3, ს. 217] (სურ. №14) ორივეს შესახებ გვაწვდის უტყუარ ცნობას.

როგორც ვთქვით, ასლანის გარდაცვალების შემდეგ, ავად-მყოფ თეკლეს ქალანთაროვები უვლიდნენ. მომაკვდავმა სწორედ მათ ჩააბარა პატარა ნიკო.

პარმენ მარგველაშვილმა გაგვაცნო დავით კაკაბაძის სტე-ნოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც ვ. ბუთლიაშვილის მიერ მოპოვებულ მასალებს ეხმიანება. ჩანაწერში ფიროსმანის გამზ-რდელის, ანა ქალანთაროვა-ბეგ-ოსიპოვას ქალიშვილის, მარი-ამ სერგის ასულ ბეგ-ოსიპოვას მონათხრობია გადმოცემული: როცა ფიროსმანაშვილები შულავერში მოხვდნენ, ნიკო 6 წლის იყო, ჰყავდა 13 წლის ძმა და 10 წლის და. მალე ნიკო შულავერი-დან თბილისში წაიყვანა ანა ახვერდის ასულმა ქალანთარო-ვამ, მთხრობელის დედამ და იმ ახვერდი და ეფროსინე ქალან-თაროვების ოჯახის ქალიშვილმა, სადაც ფიროსმანაშვილები ცხოვრობდნენ [ვ. მარგველაშვილი, ახალი მასალები ფიროსმანზე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 12 აპრილი, 1986]. მთხრო-ბელი შულავერში ყოფნისას 7 წლის ყოფილა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მას დასახელებული პირების ასაკი სწორად არ ხსომებოდა. 1847 წელს დაბადებული ივანე 13 წლის 1860 წელს იქნებოდა. 1863 წელს დაბადებული ფეფო 10 წლის 1873 იქნებოდა. 1866 წელს დაბადებული ნიკო კი 6 წლის იქნებოდა 1872 წელს. აქ აშკარა შეუსაბამობაა, რასაც ნათელს ხდის, თუნდაც, ივანეს დაბადების მონმობა. ფიროსმანაშვილები შულავერში ფეფოს დაბადებამდე ვერ მოხვდებოდნენ, იმ დროისთვის კი ივანე 13 წელზე გაცილებით უფროსი იქნებოდა. ამ მოგონებე-

ბიდან, ასევე ნათელი ხდება, რომ ფიროსმანაშვილებს ფეფეც წაყავანილი ჰყავდათ შულავერში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, ფეფო მირზანში დაბრუნდა, მაგრამ დღემდე არავინ დაინტერესებულა იმით, თუ ვინ გაზარდა დაობლებული ბავშვი. ფეფე ინტერვიუში აცხადებს, თითქოსდა, ასლანს სულ სამი შვილი ჰყავდა. შეუძლებელია, რომ მას თავისი უფროსი ნახევარდების არსებობა არ სცოდნოდა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, გარკვეული მოსაზრებების გამო, ამჯობინა მათი არსებობა არ გაემხილა. ცხადია, რომ ის თავისმა უფროსმა ნახევარდებმა გაზარდეს. აბა, 8-9 წლის გოგონა ქიზიყში მარტო ხომ ვერ გაიტანა თავს.

მარიამ სერგის ასულს თავისი ახალგაზრდობის დროინდელი ამბები უფრო კარგად ახსოვდა: „16 წლის ნიკომ დედას სთხოვა რაიმე სამუშაოზე დაეყენებინა ის, რომ დამოუკიდებლად ეცხოვრა. დედას კარგი ნაცნობი ჰყავდა – მილლერი, რომელსაც მიხაილოვის პროსპექტზე ჭიპოგრაფია ჰქონდა. იქ მიიღეს, მაგრამ დიდხანს ის იქ არ გაჩერებულა – ამბობდა იქ ცუდ სიტყვებს ხმარობენო. 20 წლის იყო, როცა დედის სახსრებით გახსნა რაით სავაჭრო პუშკინის ქუჩის ბოლოში. ის ხატავდა ნახატებს და ჰყიდდა. სავაჭრო მოებას არ იძლეოდა. 23 წლის ნიკოს დედამ რკინიგზაზე მოუქებნა სამუშაო – იქ მას ასწავლეს მემანქანეობა (შეიძლება რაიმე სხვა საქმე) და თვეში 80 მანეთს იღებდა, დაიქირავა ოთახი. დედას მოუტანა თავისი ფოტოსურათი. მე ეს სურათი უურნალ „დროშას“ მივყიდე, რკინიგზაზე ის 2 წელი მუშაობდა. ოთახს ქირაობდა მალაკნების ქუჩაზე. ხატავდა სურათებს და ლოთობდა. როცა ის ჩვენთან ცხოვრობდა ლვინოს ვერ იტანდა, ეზიზლებოდა. როცა სმა დაიწყო, დედასთან აღარ მოდიოდა. დედამ გაგზავნა ეკონომი შენგელია მასთან, მაგრამ ნიკომ უთხრა „მთვრალი მე არ დავბრუნდები“ [ვ. მარგველაშვილი, ახალი მასალები ფიროსმანზე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 12 აპრილი, 1986].

ხსენებულ ანასთან დაკავშირებით, უახლესი ისტორიის არქივში საინტერესო დოკუმენტები ინახება. 1920-იან წლებში ქალანთაროვებს საკუთარი სახლი ჩამორთმეული ჰქონდათ. ანა ქალანთაროვა-ბეგ-ოსიპოვა ითხოვდა იმ ოთახის დაბრუნებას,

რომელშიც ნიკო ფიროსმანაშვილი გაიზარდა და პენსიის დანიშვნას. ანას, როგორც ფიროსმანის გამზრდელს, მხარში ამოუდგა „ქართველ მხატვართა საზოგადოება“ და მისთვის პენსიის დანიშვნა მოითხოვა. ამ საკითხს ეხება მ. ჩორგოლაშვილი და გვამცნობს, რომ ნიკოს სიკვდილის შემდეგ, ანას სახელმწიფო პენსია დაუნიშნეს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე იღებდა. უფრო მეტიც. საქართველოს მხატვართა კავშირმა შუამდგოლობა აღძრა რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ანას კუთვნილი პენსია მის ქალიშვილს, შრომის უნარმოკლებულ მარიამ სერგოს ასულ ბეგ-ოსიპოვას დანიშვნოდა. ანალოგიური თხოვნის წერილი „რევმასმაც“ (რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია) მისწერა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს. თხოვნა დააკმაყოფილეს [მ. ჩორგოლაშვილი, „ფიროსმანი ანუ სიკვდილით იწყება სიცოცხლე“, თბ., 2011, გვ. 14]. ეს, რასაკვირველია, საინტერესო ინფორმაციაა, მაგრამ მ. ჩორგოლაშვილს ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისთვის, რომ ეს განცხადებები ნიკალას დაბადების თარიღის დადგენაში გვეხმარება! ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვან ცნობას ვხვდებით ანა ბეგ-ოსიპოვას განცხადებაში: „ჩემი დახმარება ნიშნავს დაფასებას დიდ მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის რომელიც მე ავღიარდე 4-20 წლამდე“ [უახლესი ისტ. არქივი, ფ. 293, ან. 1, ს. 431, ფ. 4] (სურ. №20). იგივე ინფორმაციაა გამეორებული ქართველ მხატვართა გამგეობის თავმჯდომარის შუამდგომლობაში. ქართველ მხატვართა გამგეობა ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობს, „რათა ანა ბეგ-ოსიფოვას მიეცეს უფასოდ ცხოვრების ნება იმ ბინაში, სადაც ის ზრდიდა ცნობილ ქართველ მხატვარს ნიკო ფიროსმანიშვილს 4-20 წლამდე“ [უახლესი ისტ. არქივი, ფ. 293, ან. 1, ს. 431, ფ. 2]. ეს ინფორმაცია სრულიად გამორიცხავს მ. ჩორგოლაშვილის მტკიცებას, თითქოსდა, ნიკალა 1851, ან 1853 წელს იყო დაბადებული. ვის ეცოდინებოდა ყველაზე უკეთ ნიკალას ასაკი, თუ არა მის გამზრდელს! ცხადია, ანამ უკეთ იცოდა ნიკალას ასაკი, ვიდრე თავისმა ქალიშვილმა, მარიამ სერგის ასულ ბეგ-ოსიპოვამ, რომელმაც დავით კაკაბაძეს მოგონებები ჩააწერინა.

ვფიქრობ, ანა ქალანთაროვა-ბეგ-ოსიპოვა ყველაზე უფრო სანდო მოწმეა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ანას ნიკალას დაბადების ზუსტი თარიღი არ სცოდნოდა, რადგან ქალანთაროვებმა მხოლოდ მაშინ ჩაიხედეს ფიროსმანაშვილების ოჯახის ცხოვრებაში, რაც უმნეო ნიკალა მათ ხელში აღმოჩნდა. იქამდე კი, არ დაინტერესებულან. როგორც ვნახეთ, მათ ასლანის უფროსი ვაჟის სახელიც არ იცოდნენ. თუ, თეკლე ტოკლიკიშვილმა 1873 წელს, სიკვდილის წინ ჩააბარა შვილი ქალანთაროვებს, რომელსაც იქამდე თავად ზრდიდა, გამოდის, რომ იმ დროისთვის მომავალი მხატვარი 4 წლის ყოფილა, ანუ 1869 წელს ყოფილა დაბადებული. თუ, ანა ბეგ-ოსიპოვა ნიკალას მამის გარდაცვალების დროიდან, ანუ 1870 წლიდან პატრონობდა, მაშინ გამოდის, რომ ის უფრო ადრე დაბადებულა. ჩვენც 1866 წელს ვთვლით მხატვრის დაბადების წლად.

ჩვენ გვაქვს სამი უტყუარი ფაქტი: შულავერში გარდა-იცვალნენ ივანე, ასლანი და თეკლე, მაგრამ სად არის მათი გარდაცვალების მეტრიკული ჩანაწერები? არადა, ეს ჩანაწერები და ნიკოს დაბადების მოწმობა ხომ ერთსა და იმავე ეკლესის მეტრიკულ წიგნებში უნდა ვეძებოთ, სახელდობრ, შულავერის ეკლესიის. ჩვენს საისტორიო არქივში შულევერის საეკლესიო მეტრიკული წიგნების ამაოდ ძიების შემდეგ, შევიტყვე, რომ ისინი თავის დროზე, სომხეთისთვის გადაუციათ. სომხეთის ცენტრალურ არქივში, შულავერის მხოლოდ სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო მეტრიკული წიგნები აღმოჩნდა, რომლებსაც რუსულად აწერიათ: „Село Кара-мурад онже Шулавер. Церковь св. Погос-Петрос“. სომეხი კოლეგების დახმარებით, ეს წიგნებიც გადავათვალიერე, მაგრამ საბედნიეროდ, ფიროსმანაშვილების გვარი არსად არ ყოფილა დაფიქსირებული, ისევე როგორც თბილისის შესაბამისი წლების სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების მეტრიკული წიგნებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სომეხ ქალანთაროვებს ნიკალა არ უშვილებიათ.

ვფიქრობ, შულავერში ეკლესის არარსებობა ხსნის იმ მიზეზს, რის გამოც, არ გვაქვს ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების, ხოლო მისი მშობლების და ძმის გარდაცვალების ჩანაწერები. ფიროსმანაშვილების მიუსაფარმა ოჯახმა ვერ

მოახერხა მეზობელი სოფლის, ოფრეთის, ეკლესიაში წასვლა, რის გამოც, მეტრიკულ წიგნებში შესაბამისი ჩანაწერები არ გაკეთებულა. შულავერის ეკლესის ძიების დროს, გავეცანი ისეთ საბუთებს, რომლებმაც გამოააშკარავეს ნიკალას აღმზ-რდელი ქალანთაროვების მიერ ჩადენილი დანაშაული. სწორედ ამ ოჯახს დაუზგრევია მეფე თეიმურაზ II-ის მიერ აშენებული ციხე-სიმაგრე და ეკლესია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული აღმოჩნდა მღვდელი სტეფანე ბაიდოშვილის 1900 წლით დათარიღებული წერილი „საეკლესიო საქმე ბორჩალოს მაზრაში“ (რუსულ ენაზე), რომელმაც ნათელი მოჰყინა ამ საკითხს. ხსენებული მღვდელი 1904 წელს ჟურნალ „მწყემსში“ აქვეყნებდა წერილებს. მისი ხელნაწერის შინაარსი ემთხვევა ჟურნალ „მოგზაურში“ 1901 წელს გამოქვეყნებულ წერილებს, რომელთა ავტორი ხელს აწერს ერთადერთი ინიციალით – „ბ.“ ერთგან ნახსენებია მღვდელი მ. ს. ბაიდოშვილი. როგორც ჩანს, ს. ბაიდოშვილი თავის თავზე მესამე პირში საუბრობს. ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული წერილი „ბორჩალოში მცხოვრები ქართველები“, შულავერის შესახებ იმავე ცნობებს შეიცავს, რომლებიც მოყვანილია ს. ბაიდოშვილის ზე-მოხსენებულ ხელნაწერში: „თბილისის აზნაურთა დეპუტატთა ყრილობის საქმეებიდან სჩანს, რომ ოდეს საქართველო რუსეთს შეუერთდა, საქართველოში გამოგზავნილ იქნა ვინმე ბ. კრილოვი. იგი სწერს შულავერში მცხოვრებს ყალანთარ ყალათაროვს, რომ მას დროებით მიეღო მმართველობა იმ საუფლისწულო მამულისა, რომელშიც სცხოვრობდა წინეთ შვილიშვილი ქართველთ მეფისა ალექსი. საქმეებიდან აღარ სჩანს ბ. კრილოვი რა იქნა, დროებაც არეული გახლდათ იმ ჟამად საქართველოში და მას აქეთია, რომ ეს უძვირფასესი მამული დღევანდლამდე ყალანთაროვებს დარჩათ. ბრძანებისამებრ სასულიერო მთავრობისა 1899 წელში გაგზავნილ ვიყავ ბორჩალოში ეკლესის აშენების საქმეზედ. აქ მიამბექს, რომ ამ ყალანთაროვებმა, მას შემდეგ, რაც ბ. კრილოვმა მათ მამული ჩააბარა, დაშალეს იქ არსებული ფერისცვალების ეკლესია სამეფო სასახლისა და ქვა მისი იხმარეს ახალი შენობების აგებაზედ. ამ კომისიაშ კი, რომელიც დაარსებული იყო საქართველოს მამულების გასაზომ-

დასაყოფად, თბილისის სუდ-პალატას 1867 წელში განუცხადეს, რომ მათ, ყალანთაროვებს, ეს მამული დაჩემებული აქვთ ძველ დროიდანვე...“ [„ბორჩალოში მცხოვრები ქართველები“, უურნალი „მოგზაური“, 1901წ., N6]. უნდა აღინიშნოს, რომ კრილოვი შეცდომით ახსენებს ალექსის. 1794 წელს ერეკლე II-მ შულავერი ალექსანდრე ბატონიშვილს უბობა საუფლისწულო მამულად [ვ. გურული, „რატომ არ იღებდა ალექსანდრე ბატონიშვილი მონაწილეობას კრწანისის ბრძოლაში“, უურნ. „თბილისელები“, 2011-05-31].

თავის ხელნაწერში ს. ბაიდოშვილი ამბობს, რომ შეერიბა ყველა საჭირო ცნობა და მოახსენა როგორც საგუბერნიო ხელმძღვანელობას, ისე საქართველოს ეგზარქოს ფლავიანეს. მისი ხელნაწერიდან ასევე ვიგებთ, რომ ქართველ მეფეთა კარის ეკლესია კი დაუნგრევიათ ქალანთაროვებს, მაგრამ სამრეკლო 1900 წელს ჯერ კიდევ მდგარა [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი ROS- 2432] (სურ. №19).

1897 წელს, ბორჩალოს მაზრის უფროსი ტფილისის გუბერნატორს უპატაკებდა, რომ შულავერში მცხოვრები მართლ-მადიდებლები წლობით ვერ ხდავდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას და ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სიკვდილის წინ მოკლებული იყვნენ ზიარების სამუალებას [სეა, ფ. 204, ან. 1, ს. 982, ფ. 2206]. არ არის გამორიცხული, რომ იგივე ხედრი რგებოდათ შულავერში გარდაცვლილ ფიროსმანაშვილებს.

ბორჩალოს მაზრის უფროსის 1899 წლის 15 თებერვლის პატაკში ნათქვამია, რომ ახალი ეკლესის ასამენებლად საკუკეთესო ადგილია ძმები გიორგი და ქალანთარ ქალანთაროვების კუთვნილი მინის ცენტრალური ნაწილი, სადაც ადრე იყო ქართველი მეფეების ციხესიმაგრე და მართლმადიდებლური ტაძარი. მოგვყავს ამონარიდი: „место бывшей крепости Грузинских царей и бывшего на этом же месте православного храма“ [სეა, ფ. 204, ან. 1, ს. 982, ფ. 24]. ხელნაწერში, რომელიც ხელნაწერთა ცენტრში ინახება, არის ასეთი დასკვნა: „დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეიძლება სავსებით დადასტურებული იქნას, რომ ზემოაღნერილი ნაკვეთი შეადგენდა ქართველი მეფეების და ეკლესიის საკუთრებას, რომელიც არსებობდა იმ ნაკვეთის

ნაწილში“ [ხეც, ფ. ROS -2432, ფ. 12^o.].

ახლა უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფიროს-მანის დაბადების დროისთვის, შულავერში მართლმადიდებლური ეკლესია აღარ არსებობდა. იგი სწორედ ნიკალას კეთილის-მყოფელი ქალანთაროვების წინაპრებმა დაანგრიეს. ამჯერად, აღარ დავიმოწმებ ამ საკითხის ირგვლივ სხვა სარქივო მასალას და არც ქალანთაროვების ისტორიას მოვყები, რაც გადმო-ცემული მაქვს ჩემს წიგნში „ფიროსმანზე და არა მხოლოდ...“, რომელიც 2017 და 2019 წლებში გამოიცა. მხოლოდ ქალან-თაროვების ოჯახის ქალბატონების ამსახველ ფოტოებს გაგაც-ნობთ ძველი გაზეთიდან (სურ. №21).

გადავწყვიტე მენახა ადგილი, სადაც ფიროსმანი დაიბადა, რისთვისაც შულავერში გავემგზავრე. ქალანთაროვების ყო-ფილი სახლი მაღლობზე დგას. აქ ბიბლიოთეკა და დირიქორი ალექსანდრე მელიქ-ფაშავევის სახლ-მუზეუმი დამხვდა. ვ. ბუთ-ლიაშვილის მოგონებებიდან ვიცით, რომ გიორგი ახვერდის ძე ქალანთაროვის ქალიშვილი – ეკატერინე, მელიქ-ფაშავზე იყო გათხოვილი. აქედან გამომდინარე, დირიქორი მელიქ-ფაშავი ეკატერინეს ვაჟია. სახლის ეზოში, რომელილაც დანგრეული შენობის ქვის სვეტები და თლილი ქვის სხვა ფრაგმენტები ეყ-არა (სურ. №22 და №23). მღვდელი ს. ბაიდოშვილის ცნობის თანახმად, 1900 წელს ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა ნახ-ევრად დანგრეული სამრეკლო [ხელნაწერთა ეროვნული ცენ-ტრი, ხელნაწერი ROS -2432]. აშკარაა, რომ ქალანთაროვებმა შემდგომში ისიც დაანგრიეს. მათ თავიანთი სახლის „გასალა-მაზებლად“ აივნისთვის ორი ქვის სვეტის მორგება უცდიათ. ამ მიზნით, მოაჯირზე, ხის ბორებს შორის ორი კვარცხლბეჭი დაუდგამთ, რაც აშკარად ქვის ბორებისათვის იყო გამზადებული და საერთოდ არ ეწერება შენობის არქიტექტურულ იერსახეში (სურ. №24). მღვდელი ბაიდოშვილი გვაუწყებს, რომ ქალან-თაროვებმა დაანგრიეს რა ქართველ მეფეთა კარის ეკლესია, ქვები თავისი საცხოვრებელი შენობის ასაგებად გამოიყენეს. ქალანთაროვების სახლის ბათქაშის ქვეშ ქვები არ ჩანდა, მა-გრამ სახლის უკანა მხარეს აღმოჩნდა შიშველი კედლის ნაწილი: სახლი აშენებული ყოფილა რუხი, მომწვანო და მოწითალო ქვე-

ბით, ზოლებად ქართული აგური ჰატანებული. იქვე, ფერდობის კიდეზე ჩანს უფრო მომცრო შენობის საძირკველი. გროვებად ჰყურია ისეთივე ქვები, როგორითაც ქალანთაროვების სახლია აშენებული. ვფიქრობ, ეს სწორედ იმ შენობა-ნაგებობების ნანგრევებია, რომლებიც ქალანთაროვებმა დაანგრიეს. ასე დადასტურდა მღვდელი ბაიდოშვილის ცნობები, რაც ჩვენი საკვლევი თემისთვის ფასდაუდებელ მასალას ნარმოადგენს. (სხვათამორის, შულავერში იღია ბოსტოლანაშვილის ორსართულიანი სახლიც მოვინახულე, რომელიც სრულიად გაპარტახებული დამხვდა).

საბოლოოდ, ჩემი დასკვნა ასეთია: **ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა 1866 წელს, დიდ შულავერში, ქალანთაროვების მამულში. მშობლები იყვნენ მირზაანელი ასლან ნიკოლოზის ძე ფიროსმანაშვილი და თეკლე ტოკლიკიშვილი. იზრდებოდა თბილისში, ქალანთაროვების ოჯახში. მშობლიურ სოფლად მირზაანი მიაჩნდა, სადაც სახლიც ააშენა. შულავერთან ალარაფერი აკავშირებდა.**

МЕТРИЧЕСКОИ КНИГИ НА 185					
Счетъ браковъ.	Мѣсяцъ и день.	Званіе, имя, отчество, фами- лія и вѣрюнсповѣданіе жениха, и которыемъ бракомъ.	Лѣта жениха.	Званіе, имя, отчество, фами- лія и вѣрюнсповѣданіе невѣ- сты, и которыемъ бракомъ.	Лѣта невѣ- сты.
1.	Генварь				
16.	Червакъ	Червакъский отшельникъ Савва Акинича сыновъ тожижадель, привлас чакного исполноделній, перевѣнъ бракомъ Savas Akiničos Soččadeli	16.	Червакъский отшельникъ Андрей Бургадзеса Dost, Епископъ привлас чакного исполноделній перевѣнъ бракомъ Savas Akiničos Soččadeli	19.

№17. ამონარიდი ს. ოფრეთის ეკლესიის 1872 წლის მეტრიკული წიგნიდან: მიხეილ ჯავახიშვილის მშობლების – საბა ადამის ძე ტოკლიკაძის (ტოკლიკიშვილის) და ელენე ანდროს ასული ბურნაძის ჯვრისწერის ჩანაწერი [სეა, ფ. 489, ან. 32. მარ-

ნეული, საქმე 1, მეტრიკული წიგნი №18]. დოკუმენტი მოიძია მ.
ხომერიკმა.

8	" 8	18	Maya	Мария сех Ильин сех Чернов Степан Чернова Татьяна Адамова зачинская Гаврилов коиниера до Михаил жена Екатерина Андреевна Григорий Иванов
№132 2.9	D. №16	1902		

№18. ამონარიდი ს. ოფრეთის ეკლესიის 1880 წლის მეტრიკული წიგნიდან: მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების ჩანაწერი [სეა, ფ. 489, ან. 32, მარნეულის სოფ. ოფრეთი 2]. დოკუმენტი მოიძია მ.
ხომერიკმა.

жане Каластарды, көмөрдің ол
 проспект комитеті, үйдікін илеккі
 жаңы салынып дұрыс оқынғанда
 жаңы жолы на бетони, категориескі
 отрядадар. 6-жылдардың көзінде
 иштеп тұнған оқынғаннан есін
 аны - дәни өзінде оқынғаннан
 дұрыс оқынғаннан. Негізделе
 стоянка маневрасынан дұрыс оқынғаннан
 избранынан жаңы жолы. Калас
 тардың оқынғаннан жаңы жолы
 избранынан оқынғаннан, есін
 аны - дәни өзінде оқынғаннан
 дұрыс оқынғаннан. Негізделе
 стоянка маневрасынан дұрыс оқынғаннан
 избранынан жаңы жолы и
 избранынан жаңы жолы, до вре-
 миң преисполнения Уразын жаңы
 Синекли туризму, шасти Краснодар
 временно концентрированной на
 Краснодар приказом своему указ
 доказывает Каластардың да
 насторожить выступление, принять
 временно управление над ^{Бывшее Министерство землемера и земледелия}
 имуществом Каластардың доказы-
 тельно управление многое пре-
 ини а ли постыннес (как говорят)
 разрушанных церквей, восстановить
 едик имущество здание а жаңы жолы

№19. Амонархиди Әлжидегелди Сүйеғаң жаңы қаидорлық һөл-
 баңғериді. 1900 წეл. [Хөлбаңғерта әртүрлі (Бендер, һөл-
 баңғері ROS- 2432]. 1900 1900

4
ქართული მარკა 1 ლარი 1922

1927

ერმანი

სსრ გერბი

განხილული მიზე ერმანი ლოუ ბრიტანული
სამინისტროს მინისტრი და მიმღებელი და
ერთი კინორინგი ფილმების მასშტაბით
უკიდურეს მდგრადი მას 84 წლის გამოცემა
ას უკიდურეს და და ლოუ ბრიტანული
გარემოების მას ერმანი ერმანი

ჩემი მარკა ნაშენებ რაოდ 1922 წლის მარტი
ას კინორინგის მიმღებელი 4-20 ცამაბერი

სსრ გერბი

1927-286

ანგლი

მარკა 1 ლარი
1927 წ.

№20. ფიროსმანის გამზრდელი ანა ბექ-ოსიპოვას განცხადება. 1928 წელი [უახლესი ისტ. არქივი, ფ. 293, ან. 1, ს. 431, ფ. 4]. მ. ჩორგოლაშვილს ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისთვის, რომ ეს განცხადება ნიკალას დაბადების თარიღის დადგენაში გვეხმარება.



1) ქლისაბერდ პურატაროვას
სულა. დირნისმანიშვილის პირ-
სთავის იანის სამარიანოს
სახელი. 2) ადა ქალანთარიშვილის ასული
ბერის გერებელი. (რომელიმც ეტრი
თავზე ას იანის სახელის მიხედვის
მიხედვის მიზანის სახით დაკავშირდა). 3) აბ ერუთა ქალანთაროვის მე-
მარიანოვის სახელი. რომელიც ეტრი
თავზე ას იანის სახელის მიხედვის
მიზანის სახით დაკავშირდა.

№21. ქალანთაროვების ოჯახის ქალბატონები. გაზეთიდან.



№22. დანგრეული სამრეკლოს თლილი ქვის ფრაგმენტები
ქალანთაროვების ყოფილი სახლის ეზოში. დიდი შულავერი.
ფოტო მ. ხომერიკის.



№23. დანგრეული სამრეცლოს სვეტები ქალანთაროვების ყოფილი სახლის ეზოში. დიდი შულავერი. ფოტო მ. ხომერიკის.



№24. ქალანთაროვების ყოფილი სახლი. დიდი შულავერი. ფოტო მ. ხომერიკის.

II თავი. მხატვრის გარდაცვალება და დაკრძლვა

II.1. ცნობები და მოგონებები

„ფიროსმანის საფლავის ნახვა ევა-
ლება ყოველ ჩვენთაგანს. რომელს
ერგება ბედნიერება ფიროსმანის ახლად
აღმოჩენისა?“

პაოლო იაშვილი

ნიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალების უშუალო მოწმე არ არსებობს. გიორგი ლეონიძის წყალობით, ჩვენამდე მოაღ-
ნია მხატვრის მეზობლის, არჩილ მაისურაძის მოგონებებმა. მან მომაკვდავი ნიკალა სახლის სარდაფში იპოვა. ა. მაისურაძე
იგონებდა: „ჩასულიყო სარდაფში, ნესტიანსა და ბნელ იატაკზე
დაწოლილიყო. ორი-სამი დღის შემდეგ ჩავედი და დიდ სიბნე-
ლეში წავაწყდი მას. კვერცხი მნარედ. მე ვერ ვიცანი და შევძა-
ხე: ვინ ხარ მეთქი! – მე ვარო და მაშინვე ხმაზე ვიცანი ნიკალაი. მან კი ვეღარ მიცნო. მხოლოდ მითხრა, ცუდად გავხდიო. მე მა-
შინვე ფაიტონი მოვიყვანე. რაკი მე არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა
განსვენებული ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და წაიყვანა
არამიანცის საავადმყოფოში. ნამდვილად აღარ ვიცი მართლა
იქ მიიყვანა, თუ მიხეილის საავადმყოფოში. ეს კია, რომ კაცი
დღენახვარში გათავდა... ჩემი აზრით, ნიკალაი უსათუოდ უნდა
იყოს დამარხული პეტრე-პავლეს ქართველთა სასაფლაოზე“ [გ.
ლეონიძე, „ფიროსმანის უკანასკნელი დღე“, გაზ. „ბახტრიონი“,
1922 წ., №8]. იგივე ამბავი გიორგი ლეონიძეს აღწერილი აქვს
1930 წელს. მოგვყავს არჩილ მაისურაძის 1922 წლის 4 სექტემ-
ბერს ნაამბობი: „მე მაშინვე ეტლი მოვიყვანე და რაკი თითონ არ
მეცალა, ეტლში ჩაუჯდა ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და
წაიყვანა მიხეილის თუ არამიანცის (არ ვიცი) საავადმყოფოში. ეს
კია, საწყალი დღე-ნახვარში გათავებილიყო.“ გ. ლეონიძე
სვამის კითხვას „რომელ წელს გარდაიცვალა ფიროსმანი? არ-
ჩილ მაისურაძემ დაბეჯითებით გადმომცა, რომ ეს ამბავი მოხდა

1918 წელს, ზედ აღდგომა დამეს. მისი სიტყვებით და მრავალთა დამოწმებით, ფიროსმანი დამარხულია უპატრონო მკვდართა შორის კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე” [გ. ლეონიძე, „ცხოვრება ფიროსმანისა“ ჟურნ. „მნათობი“ 1931 წ., №3, გვ. 218]. როგორც ვხედავთ, ამ მოგონებებში უტყუარი ის უნდა იყოს, რომ მომაკვდავი მხატვარი 1918 წლის აღდგომის წინა დამეს გადაიყვანეს საავადმყოფოში.

გაზეთ „ბახტრიონის“ 1922 წლის მე-8 ნომერში ვკითხულობთ: „რედაქციამ შეკითხვით მიჰმართა ყოფ. არამიანცის და მიხეილის საავადმყოფოს თუ რა რიცხვში და რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიკო ფიროსმანი“. როგორც ჩანს, დასახელებულმა საავადმყოფოებმა ვერ შეძლეს პასუხის გაცემა და ეს გასაგებიც არის: თუ საავადმყოფოში მიყვანილ ნიკალას თან არავინ შეჰყვა, ან შეჰყვა და მაშინვე გაეცალა იქაურობას, მომაკვდავი ისე იყო დაუძლურებული, რომ თავად ვერ ჩააწერ-ინებდა თავის ვინაობას.

ლადო გუდიაშვილი წერდა: „ნიკომ თავისი წუთისოფელი სადღაც დიდუბის მიგდებულ ადგილებში დალია, მაგრამ როდის მოკვდა, რა პირობებში, ვინ დამარხა ეს არავინ იცის. გადმოგვცემენ, რომ იგი კუკიის სასაფლაოზეა დაკრძლულიო, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის...“ [ლ. გუდიაშვილი, „ნიკო ფიროსმანი“, გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ., №11].

ეგნატე მენთეშაშვილი იგონებდა: „სიკვდილის წელს ვგონებ რომ ორმოცდაათს გადაცილებული იყო. სამი დღე უპატრონოდ გდებულიყო ნაგავში. როცა „სწრაფი დახმარების“ ეტლში ჩასვეს მან სთქვა „ხორველა მჭირსო“. დამარხული უნდა იყოს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. არავინ მის კუბოს არ გაჰყოლია. მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა და საავადმყოფოშივე დაიმარხა. ყველაზე უკეთესად და დაწვრილებით მისი ამბავი იცოდა განსვენებულმა ილია მგალობლიშვილმა [ე. მენთეშაშვილი, „ნიკო ფიროსმანი“. მასალები ბიოგრაფიისათვის“, გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ., №17].

1919 წელს, დავით კაკაბაძე წერდა: „ამბობენ ერთი წელი-წადია, რაც ფიროსმანი მიცვალა, მაგრამ სად ან როგორ არ ვიცით“ [დ. კაკაბაძე, ქართველ მხატვართა სურათების გამოფ-

ენა ტფილისში, 1919 წ., მაისი, უურნ., „შვიდი მნათობი“, 1919 წ. №2].

1938 წელს, ფიროსმანის გარდაცვალებიდან 20 წლის-თავისადმი მიძღვნილ წერილში, ვლადიმერ ქიქოძე ძირითადად მაისურაძის მონათხრობს იმეორებს, მაგრამ ფიროსმანის გარდაცვალების თარიღს გვაწვდის: „სიკვდილის წინ ავადმყოფი ფიროსმანაშვილი ჩასულა აშმორებულ, თუნუქის ნაჭრებით სავსე სარდაფუში, აქ სამი დღე გაუტარებია. სარდაფში შემთხვევით ჩასულ მაისურაძეს უნახავს ავადმყოფი ნიკო, ჩაუსვამს ეტლში და არამიანცის საავადმყოფოში გადაუყვანია. ორი დღის შემდეგ ფიროსმანაშვილი მომკვდარა საავადმყოფოში (1918 წლის 4 მაისს). ნიკოს გვამი მის მეგობრებს დაუსაფლავებიათ კუკიის სასაფლაოზე. ამის შესახებ ქართველ მხატვართა საზოგადოებას არაფერი სცოდნია. ამიტომ, სამწუხაროდ, დღე-საც გამოურკვეებელია, თუ სად მარხია იგი.“ [ვ. ქიქოძე, „ნიკო ფიროსმანაშვილი. გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო“, გაზ. „კომუნისტი“, 6 მაისი 1938 წ., №102].

1967 წელს გამოქვეყნდა ვასო ჩაჩანიძის მოგონებანი. ის დარწმუნებული იყო, რომ ბაქშვილიაში ფიროსმანის დაკრძალვის მოწმე და მონაწილე გახდა [ვ. ჩაჩანიძე, „მოგონებანი ნიკო ფიროსმანზე“, „მნათობი“ 1967 წ. №9]. მისი მოგონების სრულიად უარყოფა არ შემეძლო (სანამ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მის მიერ მითითებული ადგილი არ გაითხრებოდა), თუმცა, შეუსაბამობანი ადრეც აღვნიშნე [მ. ხომერიკი, „ფიროსმანზე და არა მხოლოდ“, თბ., 2017], რასაც ქვემოთ განვიხილავთ. მოგვიანებით, ნიკალას მეზობლების, ნესტორ და სოფიო შავგულიძეების შვილმა, ოთარ შავგულიძემ უურნალისტ ნ. კობიაშვილს თავისი მოგონებები ჩააწერინა. ის აღწერილი მოვლენების უშუალო მოწმე არ ყოფილა, მაგრამ თავისი მშობლების მონათხრობს იხსენებდა. როდესაც ნიკალა ცუდად გამხდარა, სოფო შავგულიძე გაქცეულა ქმართან რკინიგზის სადგურზე, სადაც ის მუშობდა. ოთარ შავგულიძის თქმით, სოფიო იხსენებდა, რომ ნესტორს „ეტლი რომ არ იყო, საავადმყოფოში გაუშვია ოთხთვალა, რომელიც ამ დროს მაღაკნების ბაზრიდან მოდიოდა. წაიყვანესო „არამიანცის“ საავადმყოფოში. ორი-სამი დღის

შემდეგ მივაკითხე და უკვე აღარ იყო, გარდაიცვალაო, მითხრეს და ამით დამთავრდა ყველაფერი“ [ნ. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს“, თბ., 2004, გვ. 62]. თუ ნიკალას საავადმყოფოში არავინ მიჰყვა, უფრო სწორად, მიიყვანეს და დატოვეს, ვის უნდა სცოდნოდა მისი სახელი? დღეს, „არამიანცის“ საავადმყოფოს წიგნი აღარ არსებობს, მაგრამ თავის დროზე საავადმყოფოებმა ხომ ვერ გასცეს პასუხი „ბახტრიონის“ რედაქციას, რადგან მათ ჩანაწერებში წიკო ფიროსმანაშვილი დაფიქსირებული არ ყოფილა. საინტერესოა, როგორ გასცეს მათ პასუხი შავგულიძებს? ჩანაწერების მიხედვით? გამორიცხულია! მათ შეეძლოთ შავგულიძები პროზექტურაში ჩაეყვანათ, უცნობი მიცვალებული ამოსაცნობად ეჩვენებინათ, მაგრამ მოგონებებში მსგავსი ინფორმაცია არ არის. და თანაც, ორ-სამ დღეში უპატრონო მიცვალებულებს არ კრძალავდნენ. თუ შავგულიძეებმა მართლა ორ-სამ დღეში შეინუხეს თავი და საავადმყოფოში მივიდნენ, ნიკალა ჯერ დაკრძალულიც არ იქნებოდა. ან, თუ მისი გარდაცვალება შეიტყვეს, ისიც უნდა ეკითხათ, თუ სად დაკრძალეს იგი და მეზობლებისთვის მაინც გაეგებინებინათ. ოთარ შავგულიძის მოგონებები სარწმუნოდ არ მიმაჩინა.

ფიროსმანის გარდაცვალების და დაკრძალვის 3 ძრითადი ვერსია დამკვიდრდა: ვასო ჩაჩანიძისეული, ნელი კობიაშვილი-სეული და ერეკლე ლუკაშვილისეული. ამას, 2003 წლიდან დაემატა ჩემი, ანუ მანანა ხომერიკისეული ვერსია.

II.2. ვასო ჩაჩანიძის ვერსია

ვასო ჩაჩანიძე მოგვითხრობს, რომ 1918 წელს, თბილისში „ისპანკით“ გარდაიცვალა მეტივე, მეტსახელად „ხუხია“. მისი დასაფლავება ვასოს მამის თაოსნობით და მეზობლების დამარებით უნდა მომხდარიყო. ხალხს ეშინოდა „ისპანკით“ გარდაცვალებულისა და ამიტომ არავინ ეკარებოდა ახლოს. იგი ჩაასვენეს კუბოში, დაუდეს ორთვლიან საზიდარზე და ორი მუშის დახმარებით მიასვენეს პეტრე-პავლეს სასაფლაოს გვერდით არსებულ უპატრონოთა სასაფლაოზე. ვასოს მისცეს ფული,

რათა მას გადაეხადა: მუშებისათვის, რომლებმაც გათხარეს საფლავი, აგრეთვე საზიდრის პატრონისათვის და მღვდლისათვის, რომელიც საფლავს აკურთხებდა. თან დაავალეს, რომ ორი ცალი ოცმანეთიანით (კერძნსკის ფული), დასაფლავების შემდეგ, წაეყვანა მუშები და შესანდობარი დაელევინებინა. როდესაც მღვდელი ალექსი სამადალაშვილი მიცვალებულს წესს უგებდა, ვასომ კარების მოპირდაპირე მხარეს ოთხთვალა საზიდარი შეამჩნია, რომლითაც საავადმყოფოდან მიცვალებულებს ასვენებდნენ. ამ დროს მასთან მოვიდა საზიდრის მეეტლე, მისი ძეველი ნაცნობი მიშა, ანუ „პაჭუა მიშა“, რომელიც მათი სახელოსნოს პირდაპირ, საღებავებით მოვაჭრე პაპოვთან 10 წლის განმავლობაში მუშაობდა. იმავად კი საავადმყოფოებში გარდაცვლილებს კრძალავდა. მიშას უთქვამს: „ვასო, იცი, საწყალი ნიკალა მომკვდარა და უპატრონოდ ვასაფლავებო“. ვასოს, როგორც თვითონ წერს, შეეცოდა საწყალი ადამიანი და მიშას სთხოვა, რომ თუ დამარხული არ ჰყავდა, ეჩვენებინა: „მე და მიშა მივედით მის საზიდართან. მან ერთერთ შეუღებავ კუბოს ახადა თავი და მაჩვენა ფიროსმანი. იგი ძალზე გამხდარიყო და ყვითელი ფერი ედო.“ ვასოს შეეცოდა და გადაწყვიტა ისიც „ენირვინებინა მღვდლისთვის“. მღვდელს მიცვალებულის ვინაობა უკითხავს. ვასომ უპასუხა: „საწყალი მხატვარია. მამაო, ნიკალა ჰქვიან, ქართველი კაცია, ქრისტიანია“. მღვდელი და დიაკვანი გაცყვნენ. ვ. ჩაჩანიძე მოგვითხრობს: „მივიყვანე ფიროსმანის კუბოსთან, დავანთე ნამწვი სანთლები და დაიწყო წირვა და საფლავის კურთხევა. მღვდელი ხელმეორედ შემეკითხა ფიროსმანის სახელს, რათა ლოცვაში მოეხსენებინა. „ნიკოლოზი, მამაო“, ვუპასუხე მე. მღვდელმა დაასრულა წირვა, სამჯერ მიაყარა მუჭით მიწა და გაემზადა წასასვლელად. მე მივეცი ფული მღვდელს და დიაკვანს და ორივენი გაემართნენ გალავნის კარებიდან ეკლესისაკენ. ამ ხნის განმავლობაში „პაჭუა მიშას“ და მის დამხმარეს სხვა მიცვალებულები უკვე ჩაესვენებინათ საფლავებში და მიწას აყრიდნენ. როდესაც დაამთავრეს მუშაობა, გადმოვიდნენ ფიროსმანის ჩასასვენებლად. მათ დაახურეს კუბოს თავი და თვით ჩაუშეეს საფლავში....როდესაც სახელოსნოში დავბრუნდი, ყველაფერი ვუამბე მამაჩემს და ივანე

აბაევს. მალე მთელმა რიყის ხელოსნებმა და მიკიტნებმა გაიგეს ნიკალას მწარე ბედი...ორიოდე კვირის შემდეგ, აღდგომის მეორე დღეს, მამაჩემმა და იასემ პურ-მარილითა და ღვინით სავსე ტიკით კალათა გაავსეს და დაუძახეს „პაჭუა მიშას“. მამაჩემი, მღებავი მიხაკა ღრუბელაძე, იასე ვარსიმაშვილი, ჩემი ძმა და-ვითი და მე გავემართეთ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. აქ დიდ-ძალ ხალხს მოყეარა თავი. მე და „პაჭუა მიშამ“ მივიყვანეთ სუსელა ფიროსმანის საფლავზე. ფიროსმანის შესანდობარი დაილია, ყველა ასხამდა ღვინოს ნიკალას საფლავს, რის გამოც ახლად დაყრილი მინა წითლდებოდა. დავუძახეთ მღვდელს და ვაწირვინეთ....“ [ვ. ჩაჩანიძე, „მოგონებანი ნიკო ფიროსმანზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1967, №9, გვ. 183].

რა შეიძლება ითქვას ამ მოგონების შესახებ? თითქოს, დამაჯერებელია, მაგრამ პირველ რიგში არ ემთხვევა თარიღი: ჩვენ ვიცით, რომ ფიროსმანი 1918 წლის აღდგომის წინა დღეს გა-დაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა, ხოლო ვასო ჩა-ჩანიძის მიერ აღწერილი დასაფლავება აღდგომამდე ორი კვირით ადრე იყო. ვ. ჩაჩანიძის მონათხრობის თანახმად, ავლაბარში არსებული წმინდა მოციქულთა პეტრე-პავლეს ეკლესიის სასა-ფლაოს კედლის გადაღმა, აღმოსავლეთ მხარეს, ე. წ. საჭიდაო გორის ძირში (იმ გორაზე იმართებოდა ავლაბრელ ფალავანთა ჭიდაობა) დაიწყეს უპატრონო მიცვალებულთა დასაფლავება. ალბათ, ასეთი პრაქტიკა მართლაც არსებობდა, მხოლოდ პე-ტრე-პავლეს ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში მათი დაფიქსირება არ ხდებოდა. ამ წიგნებში სასაფლაოს გალავნის გარეთ დასა-ფლავების არც ერთი ფაქტი არ არის აღნუსხული, განსხვავე-ბით მიხეილის საავადმყოფოს საეკლესიო მეტრიკული წიგნები-სგან, სადაც ზოგან მითითებულია „საავადმყოფოს სასაფლაოს გადაღმა“ (ვა ბოლების კლადბიშემ). მხოლოდ, როგორც წესი, აქ მარხავდნენ არა უპატრონო მიცვალებულებს, არამედ თვით-მკვლელებს.

პეტრე-პავლეს საეკლესიო მეტრიკულ წიგნებში უამრავი უცნობი მიცვალებულია გატარებული. მათ პეტრე-პავლეს ეკლ-ესიაში მოიხსენიებდნენ და ნავთლულის საზოგადო სასაფლაოზე მიასვენებდნენ (ეს ფაქტი ჩაჩანიძისთვის უცნობია). ისინი „არ-

ამიანცის“ საავადმყოფოში იყვნენ გარდაცვლილი, ან მათი გვამები ქუჩიდან იყო ამ საავადმყოფოში მიტანილი. ასეთივე ბედი ეწეოდა ნიკალას, თუ ის „არამიანცის“ საავადმყოფოში გარდაიცვალა. ვ. ჩაჩანიძე წერს, რომ ნიკალას „ყვითელი ფერი ედო“ და თან „ძალზე გამხდარიყო“, რაც ცოტა ძნელი დასაჯერებელია. იმის გათვალისწინებით, რომ უპატრონო მიცვალებულებს ხსენებული საავადმყოფოს პროზექტურაში დიდი ხნის განმავლობაში აჩერებდნენ – დასივება უფრო სავარაუდო იყო, ვიდრე გახდომა. დაბოლოს, მთავარი და უტყუარი ის არის, რომ 2015 წელს, თბილისის მერიამ უურნალისტ ნელი კობიაშვილის დაუინებული მოთხოვნით, გათხარა ძმები ჩაჩანიძეების მიერ მითითებული ადგილი, რომელიც ცარიელი აღმოჩნდა.

II.3. ნელი კობიაშვილის ვერსია

ნელი კობიაშვილისეული ვერსია, თავის მხრივ, პირველ ვერსიას ეყრდნობა, რომელსაც მერიის მიერ, ზემოხსენებული გათხრების ჩატარების შემდეგ, საფუძველი გამოეცალა. შეგვეძლო არც განგვეხილა, მაგრამ მასმედიის მეშვეობით, კვლავ გრძელდება მცდარი მოსაზრებების ტირაჟირება, რის გამოც, განმარტება აუცილებელია.

6. კობიაშვილი წერს: „პეტრე-პავლეს ეკლესიის მიცვალებულთა სააღრიცხვო წიგნში არის ასეთი ჩანაწერი: „1919 წელი 14 მარტი „უცნობი ნიკოლოზ“. ეს ჩანაწერი სარქივო მასალებზე მუშაობისას ადრეც ვნახე. იგი თავისითავად ბევრს არაფერს მოასწავებს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მოგონების (ვასილ ჩაჩანიძის – მ.ხ.) შემდეგ ამ ჩანაწერის უგულებელყოფა არ იქნებოდა სწორი. დავუკავშიროთ ეს ჩანაწერი ჩაჩანიძეების მოგონებას.

ადგილი შესაძლებელია, მღვდელს დაახსომდა მიცვალებულის სახელი, როდესაც წირვა აუგო და, ვინაიდან სხვა არაფერი მონაცემები არ გააჩნდა და, ბუნებრივია, არც აინტერესებდა, შეიტანა იგი როგორც „უცნობი ნიკოლოზ“. სახელი მაინც ახსოვდა და აღარ დაუკარგა მიცვალებულს. ჩაჩანიძის მოგონებაში

ნახსენებია მღვდელი ალექსი სამადალაშვილი. პეტრე-პავლეს საეკლესიო წიგნში გატარებულ ჩანაწერშიც ამავე გვარით არის ხელმონერილი. კიდევ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: ფიროსმანის გარდაცვალებას აკავშირებენ აღდგომასთან. აღდგომა ჩაჩანიძის მოგონებაში გვხვდება სხვა კონტექსტით. დასაფლავების შემდეგ, დაახლოებით ორი კვირის მერე, აღდგომის მეორე დღეს, ავედით სასაფლაოზე. 1919 წელს აღდგომა იყო 10 აპრილს, ესე იგი „უცნობი ნიკოლოზის“ დაკრძალვიდან – 14 მარტიდან, 3-4 კვირის შემდეგ. თუ არქივში ნანას დოკუმენტს, ძმები ჩაჩანიძეებისა და შავგულიძეების, ასევე ზემოთ მოყვანილ მოგონებებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიკო ფიროსმანი გარდაიცვალა „არამინცის“ საავადმყოფოში. დაკრძლულია პეტრე-პავლეს სასაფლაოს აღმოსავლეთი კედლის გარეთ, 1919 წლის 14 მარტს. მისთვის ქრისტიანული წესიც აუგიათ და მის საფლავზე შეუსვიათ მოსაგონარი“ [ნ. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს“ თბ., 2004, გვ. 40].

ვ. ჩაჩანიძის მოგონებების თანახმად, ფიროსმანი 1918 წელს გარდაცვალა, რაც ნელი კობიაშვილის ვერსიასთან წინააღმდეგობაში მოდის. როგორც ზემოთ განვმარტე, შავგულიძეების მონათხრობი სარწმუნოდ არ მიმაჩნია. რაც შეეხება ფიროსმანის გარდაცვალების თარიღის აღდგომასთან დაკავშირებას, ნ. კობიაშვილი თავადაც აღნიშნავს, რომ ჩაჩანიძეების ვერსიაში აღდგომა „სხვა კონტექსტით“ გვხვდება, ანუ თუ მაისურაძე აღდგომის წინა დღეს ასახელებდა, ჩაჩანიძეების მოგონებების თანახმად, ფიროსმანი აღდგომამდე ორი კვირით ადრე გარდაცვლილა. **აღდგომის თარიღს კი ნ. კობიაშვილი არასწორად ასახელებს:** 1919 წელს აღდგომა 10 აპრილს იყო (ნაცვლად 20 აპრილისა). **ის ასევე შეცდომით ასახელებდა 1918 წლის აღდგომის თარიღს:** „ამ შემთხვევაში უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ არც აღდგომა დღე, რომელიც ნახსენებია ფიროსმანის სიკვდილთან დაკავშირებით (ა. მაისურაძის მოგონება). 1918 წელს აღდგომა იყო 18 აპრილს“ [ნ. კობიაშვილი, „ისევ ფიროსმანზე“, გაზ. „კომუნისტი“, 1985 წ., 24 აგვისტო]. შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ როდესაც წლების განმავლობაში მკითხველს მცდარი ინფორმაცია მიეწოდებოდა, სხვა

მკვლევრებს გადამოწმება არ შეეძლოთ? მე 2003 წელს, ანუ, კვლევის დაწყებისთანავე დავადგინე, რომ 1918 წელს ალდგომა 5 მაისს იყო, 1919 წელს კი 20 აპრილს. დღეს ამ თარიღების გადამოწმება ადვილად შეიძლება, თუნდაც, ინტერნეტის მეშვეობით. 6. კობიაშვილი ცდილობდა რა დაემტკიცებინა, რომ ფიროსმანი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალული, თავის მთავარ არგუმენტს წამოსწევდა: „თუ ფიროსმანი „არამიანცის“ საავადმყოფოში გარდაიცვალა, ცხადია, მას შორს არავინ წაასვენებდა და იქვე, ქუჩის გადაღმა, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, უპატრონო მიცვალებულთათვის განკუთვნილ ადგილას (აღმოსავლეთი კედლის გარეთ) დამარხავდნენ“ [6. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს“, თბ., 2004, გვ. 62]. უნდა ითქვას, რომ ფიროსმანი 1918 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა, ვინმე „უცნობი ნიკოლოზი“ კი 1919 წლის 23 თებერვალს.

სასაფლაოს კედლის გარეთ დაკრძალვის შემთხვევები, თუ კი ასეთი რამ ხდებოდა, საეკლესიო წიგნში არ შეჰქონდათ. თავის საგაზითო წერილში 1985 წელს, ნელი კობიაშვილმა იმის დასამტკიცებლად, რომ უპატრონო მიცვალებულებს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მარხავდნენ, მოიყვანა მაგალითი პეტრე-პავლეს ეკლესიის 1918 წლის მეტრიკული წიგნიდან: „უცნობი“ გარდაიცვალა 14 აპრილს. დიაგნოზი – ტიფი. დამარხეს 2 მაისს“. ნელი კობიაშვილი: „ეს მაგალითი იმის დასტურადაც მომყავს, რომ არამიანცის საავადმყოფოში გარდაცვლილ „უცნობებს“ ძირითადად პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მარხავდნენ“ [6. კობიაშვილი, გაზ. „კომუნისტი“, 1985 წ., 24 აგვისტო]. ეს არის შეცდომა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არამიანცის საავადმყოფოში გარდაცვლილ უცნობებს რამდენიმე დღის განმავლობაში პროზექტურაში ინახავდნენ, პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოიხსენიებდნენ, შემდეგ კი ნავთლულის სასაფლაოზე კრძალავდნენ და არა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ამის მაგალითად, სწორედ 6. კობიაშვილის მიერ დასახელებული უცნობი (Неизвестный) მიცვალებული გამოდგება. მის შესახებ პეტრე-პავლეს ეკლესიის მეტრიკულ წიგნში გარკვევით წერია, რომ მას ამ ეკლესიის მღვდელმა აღექსი სამადალაშვილმა „აღუგო ანდერძი“, მაგრამ დაკრძალეს „ნავთლულის საზოგადო

სასაფლაოზედ“ [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 173, ფ. 120ა, 121]. კიდევ გასაგებად განვმარტავ: პეტრე-პავლეს ეკლესია და პეტრე-პავლეს სასაფლაო ერთი და იგივე არ არის. ვისაც ამ ეკლესიაში მოიხ-სენიებდნენ, ყველას იქვე არ კრძალავდნენ.

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ კონკრეტულ ჩანაწერს, რის საფუძველზეც, ნ. კობიაშვილი უცნობ ნიკოლოზს ფიროსმანად მიიჩნევდა. მეტრიკულ წიგნში ვკითხულობთ: „თვე და რიცხვი გარდაცვალებისა – 23 თებერვალი. დასაფლავებისა – 14 მარტი. წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი გარდაცვალებულთა – უცნობი ნიკოლოზ. წელი გარდაცვალებულთა – ? რისგან გარდაცვალა – ? ვინ ათქმევინა აღსარება და აზიარა. ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი – მღვდელმა ალექსი სამადალაშვილმა წ. მ. (წიგნის მკითხველ – მ. ხ.) ზურაბ ვალიშვილითურთ. ნავთლულის სასაფლაოზედ“ [სეა, ფ. 489, ან 7, ს. 174, ფ. 101, 102] (სურ. № 25).

ყველას უწერია გარდაცვალების მიზეზი, უცნობ ნიკოლოზს კი არა, რაც იმაზე მიგვითიერებს, რომ ის საავადმყოფოში არ გარდაცვლილა. ალბათ, მისი გვამი ქუჩიდან მოიტანეს, რადგან გარდაცვალების დღე მაინც იციან და შემდეგ პროზექტურაში ინახავდნენ. რაც მთავარია, ნათლად ჩანს, რომ ვინც არ უნდა ყოფილყო უცნობი ნიკოლოზი, ის ნავთლულში გადასვენეს! პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მისი ძვლების ძებნა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული: ნავთლულში დაკრძალული მიცვალებულის ძვლები პეტრე-პავლეს სასაფლაოზე როგორ უნდა აღმოჩენილიყო! მაინც კარგია, რომ მითითებილი ადგილი გაითხარა და საკამათოც აღარაფერი დარჩა. აქვე აღვნიშნავ, რომ 1919 წლის 14 მარტს, ნიკოლოზის გარდა, კიდევ სხვადასხვა დღეს გარდაცვლილი 59 მიცვალებული დაკრძალეს. პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელმა სამადალაშვილმა ყველა მათგანს აუგო ანდერძი, რის შემდეგაც, ისინი ნავთლულის სასაფლაოზე გადასვენეს, როგორც ეს ჩევეულებრივ ხდებოდა, როდესაც მიცვალებულის ჭირისუფალი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ადგილს ვერ ყიდულობდა.

კიდევ ერთ დეტალზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ვასო ჩაჩინიძის ვერსიიდან ვიცით, რომ მას „ხუხიას“,

იგივე ზაქარიას, დაკრძალვა ჰქონდა დავალებული და ფულიც ამისთვის გაატანეს. თუ ნიკოლოზი აღნიშნეს მეტრიკულ წიგნში, ზაქარია რატომ გამორჩათ? იმ 60 მიცვალებულში, რომლებიც ერთად გაასვენეს, ზაქარია არავის რქმევია. სანტერესოა, რა გვარი იყო ზაქარია. ვ. ჩაჩანიძე 1967 წელს, თავის მოგონებებში წერდა, რომ 1917 წელს უკვე ას წელს მიღწეული ზაქარია, მეტ-სახელად „ხუხია“ – იყო მისი დიდედის „სოფლის მცხოვრები და მისი ნაცნობი (დიდედა, სალომე იოსების ასული აზარიაშვილი სოფელ ლოუბნიდან იყო).“ ვასოს მამას ის მეეზოვედ მოუწყვია. [ვ. ჩაჩანიძე, „მოგონებანი ნიკო ფიროსმანზე“, „მნათობი“ 1967 წ. №9, გვ. 181]. მოგვიანებით დაწერილ განცხადებაში კი, ვასომ ის უკვე თავის ნათესავად გამოაცხადა და უფრო მეტი დამა-ჯერებლობისათვის, თავისი დიდედის გვარი – აზარიაშვილი მიაკუთვნა: „მამაჩემის ახლო ნათესავის მეეზოვე „ხუხიას“ (ზა-ქარია აზარიაშვილი) დასათლავების დღეს...“ [ნ. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს“, 2004, გვ. 57-58].

შეუსაბამობა იმდენად აშკარა იყო, რომ გადავწყვიტე გა-დამემონმებინა. სოფელ ლოუბანის 1873 წლის კამერალურ აღ-წერაში ზაქარიას, თავისი წლოვანების მიხედვით, ადვილად მი-ვაკვლიე: „სოლომონ გიორგის შვილი ბედიანაშვილი 52 წლის...

1.	4.	Симоновъ синъ Георгій	
Иако.	Бедианашвілі.		34.

სოლომონის ძმა ზაქარია 50 წლის. მისი ვაჟები: 14 წლის. გრიგოლ 18 წლის. ალექსი 10 წლის“.

Братъ Симоновъ	
Захарий —	50.

[სეა, ფ. 254, ან. 3, ს. №113].

თუ ზაქარია 1873 წელს 50 წლის იყო, 1917 წელს ის 95 წლის

იქნებოდა, ანუ, როგორც ვასილ ჩაჩანიძე წერს, 100 წელს მიღწეული. ახლა უფრო თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხუხია, იგივე ზაქარია ბედიანაშვილი, პეტრე-პავლეს ეკლესის მეტრიკულ წიგნში შეყვანილი არ არის. (არადა, სწორედ მისი პანაშვიდის გადახდისთვის გაატანეს უფროსებმა ფული ვ. ჩაჩანიძეს).

როგორც ვხედავთ, ნ. კობიაშვილის მიერ მიკვლეული „უცნობი ნიკოლოზის“ ფიროსმანთან იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, მაგრამ ნ. კობიაშვილს სხვა მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ და მისი მცდარი ვერსია გაიზიარეს.

გ. კაკაბაძე ფიროსმანის გარდაცვალების წლად 1919 წელს მიიჩნევს და სვამს კითხვას, თუ რის საფუძველზე მიიჩნია ფიროსმანი 1918 წლის ზაფხულში გარდაცვლილად მხატვართა საზოგადოებამ. ავტორს ეჭვი შეაქვს „ერთადერთი“ თვითმხილველის მოგონებში, რომელიც მოგვიანებით გოგლა ლეონიძემ ჩაიწერა: „არჩილ მაისურაძემ დაბეჯითებით გადმომცა, რომ ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომის ღამეს“. გ. კაკაბაძე იმ ფაქტს იშველიებს, რომ მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენება უძველესი დროიდანვე არ ითვლებოდა საკმარის მტკიცებულებად. ვფიქრობ, გასათვალისწინებელია, რომ არჩილ მაისურაძე ირიბი მოწმე კი არ არის, არამედ კაცი, რომელმაც პირადად იპოვა სარდაფში მომაკვდავი მხატვარი და ო. მგალობლიშვილის თანხლებით საავადმყოფოში გაამგზავრა. ამავე დროს, ის არც „ერთადერთი“ მოწმეა. 1938 წელს, მხატვარი ვლადიმერ ქიქოძე თავის წერილში უთითებდა, რომ ფიროსმანაშვილი მოკვდარა საავადმყოფოში „1918 წლის 4 მაისს“ [ვ. ქიქოძე, „ნიკო ფიროსმანაშვილი. გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო“, გაზ. „კომუნისტი“, 6 მაისი 1938 წ., №102]. აგრეთვე, იოსებ იმედაშვილის გამოუქვეყნებელ ბიოგრაფიული ლექსიკონში (რომელიც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა), ფიროსმანის გარდაცვალების თარიღად 1918 წლის 4 მაისია მითითებული, რაც სრულიად ემთხვევა ჩემ მიერ, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, დადგენილ თარიღს. რადგან აღდგომა 1918 წელს 5 მაისს იყო, გამოდის, რომ 4 მოწმე ერთსა და იმავეს ვიმეორებთ: ფიროსმანი 1918 წლის „ზედ აღდგომის ღამეს“ გარდა იცვალა!

გ. კაკაბაძე ასევე თვლის, რომ არჩილ მაისურაძე საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, როდესაც 1922 წელს ამბობს: „ოთხი წლის წინათ (ანუ 1919 წელს), როცა მე ამ სახლების მოურავი ვიყავი (მაღავნის ქ. N29), ნიკალა აქვე, აბაშიძის დუქანში ჰასტავდა სურათებს“ [გ. კაკაბაძე, „ნიკო ფიროსმანი – დაკარგული უბრალოების ძიება“, თბ., 2010]. საქმე ის არის, რომ მაისურაძე გარკვევით ამბობს სათქმელს, ხოლო ფრჩხილებში ჩასმული დაზუსტება – 1919 წელი, აშკარად მას არ ეკუთვნის და ლაფსუს წარმოადგენს. ამიტომაც, ბოლოდროინდელ გამოცემებში [„ნიკო ფიროსმანი. დიდი ქართველები.“ თბ., 2011, გვ. 53; ი. აბესაძე, „ყველაფერი ფიროსმანზე“ თბ., 2013, გვ. 45] ეს ლაფსუს ამოგდებულია და მხოლოდ ა. მაისურაძის სიტყვებია დამოწმებული: „ამ ოთხი წლის წინედ, როცა მე ამ სახლების მოურავი გახლდით...“. ასეთი მიდგომა მით უფრო გამართლებულია, რომ გოგლა ლეონიძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. მაისურაძის ნათქვამს გარკვევით გადმოგვცემს: „ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა დამეს“ [გ. ლეონიძე, „ცხოვრება ფიროსმანისა“ უურნ. „მნათობი“ 1931 წ., №3, გვ. 218].

გ. კაკაბაძეს თავისი ვერსიის გასამყარებლად კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს. აღნიშნავს რა, რომ „1918 წლის 15 ივლისს თბილისში ხოლერის ეპიდემიამ იფეთქა“, ასკვნის: „ფიროსმანი რომ 1918 წლის ადრეულ გაზაფხულზე გარდაცვლილიყო, იგი ვერანაირად ვერ იტყოდა, „ხორველა“ მჭირსო, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ დაავადებამ საქართველოში მხოლოდ 1918 წლის ივლისის თვიდან იფეთქა. პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზოში კი „ისპანკით“ გარდაცვლილ ადამიანებს ვერ დაკრძალავდნენ, რადგან ეს გრიპი 1918 წლის ოქტომბერში გამოჩნდა. შესაბამისად ფიროსმანი მომდევნო 1919 წლის გაზაფხულზე უნდა გარდაცვლილიყო“ [გ. კაკაბაძე, „ნიკო ფიროსმანი – დაკარგული უბრალოების ძიება“, თბ., 2010, გვ. 308].

ჯერ ერთი, ფიროსმანის ნათქვამი მისი ვარაუდი იყო და არა დიაგნოზი. მეორეც, საქართველოში საკმაოდ ხშირი იყო ხოლერის ეპიდემიები, მაგალითად 1907 [სეა, ფ. 489, ან. 7, საქმე №150], 1908 [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. №151] და 1910 [სეა, ფ. 489, ან. 7, საქმე №155, ფ. 84] წლებში. ადამიანს ნების-

მიერ დროს შეიძლებოდა ჰგონებოდა, რომ ხოლერა გადაედო. ნიშანდობლივია, რომ 1892 წელს მიღებულ იქნა დადგენილება ქოლერის ეპიდემიის ნინაალმდეგ ზომების მიღების თაობაზე [სეა, ფ. 192, ან. 9, ს. 189]. იგივე მეორდება 1894 [სეა, ფ. 192, ან. 9, ს. 195], 1907 [სეა, ფ. 192, ან. 9, ს. 223] და 1913 [სეა, 192, ან. 9, ს. 850] წლებში. როგორც საარქოვო მასალებიდან ჩანს, 1918 წლის 12 მარტს, ქალაქის სათათბირომ დაადგინა 10 000 მანეთის გამოყოფა გადამდებ სნეულებათა ნინაალმდებ საბრძოლველად [სეა, ფ. 192, ან. 4, ს. 129, ფ. 85].

თუ ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში, სათათბიროს შესაძლებლად მიაჩნდა ხოლერის გავრცელება, რატომ გამოვრიცხავთ, რომ იგივე აზრი ფიროსმანს იმავე წლის მაისში გასწინოდა? მეორეც ის, რომ როგორც წმ. ბარბარეს ეკლესიის მეტრიკული წიგნიდან ჩანს, 1918 წლის აპრილში უკვე იყო ხოლერის შემთხვევები [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1969]. მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის წიგნის მიხედვით, 1918 წელს ხოლერისგან პირველი მიცვალებული – 2 ივლისს არის გარდაცვლილი, ხოლო პეტრე-პავლეს ეკლესიის წიგნის მიხედვით – 1918 წლის 13 ივლისს. ამდენად, ეს არგუმენტიც არადამაჯერებელია.

გ. კაკაბაძე იმდენად დარწმუნებულია ნელი კობიაშვილის ვერსიის სისწორეში, რომ ფიროსმანის მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვალებას და კუკიის სასაფლაოზე დაკრძალვას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. მისთვის ყველაფერი ნათლია: „როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ „არამიანცის“ საავადმყოფოში ნიკალას ახლობლებმა მიაკითხეს, იგი ცოცხალი აღარ დაუხვდათ, მიყვანიდან დღე-ნახევარში გარდაცვლილიყო, 53 წლის ასაკში“ [გ. კაკაბაძე, „ნიკო ფიროსმანი – დაკარგული უბრალოების ძიება“, თბ., 2010, გვ. 313]. ახლობლებში, ალბათ, შავგულიძებს უნდა გულისხმობდეს. ამ საკითხზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რასაც აღარ გავიმეორებ, ხოლო გ. კაკაბაძის მოსაზრებებს ცალკე ვერსიად არ გამოვყოფ და ნელი კობიაშვილის ვერსიას მივაკუთვნებ.

მით უმეტეს, ცალკე ვერსიად არ გამოვყოფ მწერალ შორენალებანიძის მოწოდებულ ინფორმაციას. მან არა მხოლოდ გაითავისა ნ. კობიაშვილის მცდარი ვერსია, არამედ თავის მხრივ

განმარტებაც დაუმატა, რომ უცნობი ერთ დღეში დაკრძალეს, რადგან ის უპატრონო იყო: „მომდევნო, 14 მარტის დილას ტფილისის ლაზარეთში დაუდგენელი დიაგნოზით გარდაიცვალა უცნობი, სახელად ნიკოლოზი. ის ოთხი ფიცრისგან შეკრულ ღარიბულ კუბოში ჩაასვენეს, რომ დღის ბოლოს, უპატრონო მიცვალებულთათვის განკუთვნილი საზიდრით გაესტუმრებინათ სასაფლაოსკენ... 14 მარტის წვიმიან ღამეს „პაჭუა მიშას“ ოთხი კუბო უნდა ჩაეშვა საყდრის აღმოსავლეთ კედელთან გაჭრილ საერთო სამარხში...ერთ-ერთ ცხედარს ზეწარი გადახდოდა“ [შ. ლებანიძე, „ეს მე ვარ – ფიროსმანი“, თბ., გვ. 237]. და მან ნიკალა იცნობ! ნუთუ, ფიროსმანი ასეთ ზერელე კვლევას იმსახურებს! სად ამოიკითხა მწერალმა ის წესი, რომ უპატრონო მიცვალებულებს იმავე დღესვე კრძალავდნენ? და ეს მაშინ, როდესაც სინამდვილეში „არამიანცის“ საავადმყოფოში გვამებს ორი-სამი კვირის განმავლობაში ინახავდნენ ხოლმე. არ არის გამორიცხული, რომ პატრონის გამოჩენას ელოდებოდნენ. ავილოთ, თუნდაც 14 მარტს დაკრძალული ამ უცნობი ნიკოლოზის მაგალითი: ის 23 თებერვალს იყო გარდაცვლილი და არა დაკრძალვის დღეს, ანუ 14 მარტს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 174, ფ. 101, 102]. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საავადმყოფოებიდან გამოსვენებულ მიცვალებულებს დახურული კუბოთი კრძალავდნენ. ვასო ჩაჩანიძეც ხომ წერს, „პაჭუა“ მიშამ ერთ-ერთ შეულებავ კუბოს ახადა თავი და ფიროსმანი მაჩვენაო. შ. ლებანიძის მიერ აღნერილი ზეწრის გადახდის სცენა არარეალურია.

ფიროსმანის 1919 წელს „არამიანცის“ საავადმყოფოში გარდაცვალების ზემოხსენებულ ვერსიასთან დაკავშირებით, მინდა მკითხველს მოკლედ გავაცნო, თუ როგორ იდგა 1919 წელს „არამიანცის“ საავადმყოფოში მიცვალებულების აღრიცხვის საკითხი. საავადმყოფოს პროზექტურაში ინახებოდა წიგნი, რომელშიც აღირიცხებოდა ყველა გვამი და მითითებული იყო, თუ ვინ გაიღო დაკრძალვის ხარჯები. კანცელარია ორი სარეგისტრაციო წიგნს აწარმოებდა. ერთში საავადმყოფოში გარდაცვლილები შეჰქავდათ, მეორეში კი – ქალაქიდან მოტანილი გვამები. ორივე წიგნში მითითებული იყო, თუ ვის ხარჯზე მოხდა გარდაცვლილთა დასაფლავება [სეა, ფ. 192, ან. 10, ს. 35, ფ.

15]. სამწუხაროდ, არამიანცის საავადმყოფოს ზემოთ ჩამოთვლილი წიგნებიდან, ანუ სარეგისტრაციო უურნალებიდან, დღეს არქივში არც ერთი არ ინახება. აქედან გამომდინარე, როდესაც ზოგიერთი უურნალისტი, ფიროსმანთან დაკავშირებით, „არამიანცის“ საავადმყოფოს არარსებულ ჩანაწერებს, პერტე-პავლეს ეკლესიის ჩანაწერებში ურევს – ეს არის ზოგადად საკითხისადმი და კერძოდ, ფიროსმანისადმი ზერელე დამოკიდებულების კიდევ ერთი გამოხატულება.

1919 წლის 1 მარტი

ს რ ი ც ხ ე ბ ა გარდაცვა- ლობელთა	თ ვ ე და რიცხვი	რ ი ც ხ ე ბ ა ს ა მ ი ს ს ხ ე ლ ი ა და გვარი გარდაცვა-ტრულთა	შეკრი გარდაცვა- ლობელთა		რ ი ც ხ ე ბ ა გარდაცვა- ლობელთა
			ს რ ი ც ხ ე ბ ა გარდაცვა- ლობელთა	შეკრი გარდაცვა- ლობელთა	
286 ~	26. 11.	ა რ ქ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 32	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	ა რ ქ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 32
287 ~	27. 11.	კ ა მ ი ს ი რ ი ს 33	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	კ ა მ ი ს ი რ ი ს 33
288 ~	21. 11.	ი ვ ა რ ი ს 33	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	ი ვ ა რ ი ს 33
289 ~	22. 11.	კ ა მ ი ს ი რ ი ს 34	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	კ ა მ ი ს ი რ ი ს 34
290 ~	19. 11.	გ რ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 35	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	გ რ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 35
291 ~	20. 11.	ი რ ი რ ი ს 35	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	ი რ ი რ ი ს 35
292 ~	19. 11.	კ ა მ ი ს ი რ ი ს 36	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	კ ა მ ი ს ი რ ი ს 36
293 ~	19. 11.	ა რ ქ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 37	შ ე კ რ ი ც ხ ე ბ ა 130	რ ი ც ხ ე ბ ა 130	ა რ ქ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 37
~ 92	3. 11.	ა კ ა მ ი ს ი რ ი ს 38	?	?	ა კ ა მ ი ს ი რ ი ს 38
		ა რ ქ ე ბ ა მ ე ვ ი ნ	?	?	ა რ ქ ე ბ ა მ ე ვ ი ნ
294 ~	28. 11.	რ ი ც ხ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 39	?	მ ა მ ი ც ხ ე ბ ა მ ე ვ ი ნ	რ ი ც ხ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 39
295 ~	27. 11.	ი ვ ა რ ი ს 39	?	რ ი ც ხ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 39	ი ვ ა რ ი ს 39
296 ~	27. 11.	კ ა მ ი ს ი რ ი ს 40	?	რ ი ც ხ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 39	კ ა მ ი ს ი რ ი ს 40
297 ~	23. 11.	უ რ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 40	?	?	უ რ ე ბ ა მ ე ვ ი ნ 40
			?	?	

№ 25. ამონარიდი პეტრე-პავლეს ეკლესიის 1919 წლის მეტრიკული წიგნიდან. უცნობი ნიკოლოზ (№297) [სეა, ფ. 489, ან 7, ს. 174, ფ. 101]. დოკუმენტი მოიძია ნ. კობიაშვილმა.

5 0 7 0 2 0 0 8 0 8 0 6 0 0 0 0 0 0 0 0 0 0	
შინ ათველების აღსაჩება და ვინ ამორა	შინ აღსაჩება ამორა და საღ ამორ დასაფლავებელი
	<p>1987-წლის 22 მაისი გ. ქ. გუმბ. 37 მუნ. აგრა 6199 სახლი სასაფლაოზე.</p> <p style="text-align: right;">სასაფლაოზე</p>

№ 25°. დოკუმენტის [სეა, ფ. 489, ან 7, ს. 174, ფ. 102] მეორე გვერდი, სადაც წერია, რომ უცნობი ნიკოლოზი (და სხვები) და კრძალეს **ნავთლულის** და არა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ყურადღება მიაქცია მ. ხომერიკმა.

II. 4. ერეკლე ლუკაშვილის ვერსია.

1969 წელს, ერეკლე ლუკაშვილმა გამოაქვეყნა საგაზეთო წერილი, რომელიც ფიროსმანის გარდაცვალებას შეეხებოდა [И. Лукашвили, “Последний день Пиромани”, газ. “Вечерний Тбилиси”, 1969 г., 24 мая]. ამავე დროს, არქივში შემონახულია მისი ხელნაწერი. ავტორი წერს: „1918 წლის 7 აპრილს / ძვ. სტილით 25 მარტს. ე. ლ./ მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს გრძხობა დაკარგული უცნობი ვინაობის მამაკაცი, შესახედად 60 წლისა, ღამისაკი ვინძე. მომაკვდავი მიიყვანა ეტლით მილიციონერმა ივანე ჩანადირაძემ, რომელმაც განაცხადა, ეს კაცი გონება მიხდილი მოვიყვანე ანტონოვის ქუჩიდან, არც ვინაობა ვიცი ამისი, არც მისამართიო...სიმსივნე აქვს მთელი სხეულისა, კვითხულობთ შემდეგ იმ ჩანაწერში, – მაჯისცემა სუსტი. რამდენიმე საათის შემდეგ უგონოდ მყოფი უცნობი გარდაიცვალა. როგორც ჩანს, გვამის განკვეთის ოქმიდან, სიკვდილი გამოუწვევია ჭაჭების ანთებას და მისგან გამოწვეულ ფილტვების და გულ-ლვიძლის დაავადებას. აქ მოყვანილი ყველა ნიშნები შეესაბამება ფიროსმანის პირვენებას – თარილი (1918 წლის ძვ. სტილით მარტი), წლოვანება (შესახედად 60 წლისა), სიღარანტა და უპატრონობა“ [უახლესი ისტ. არქივი, ერეკლე ლუკაშვილის ფონდი N165, ან. 1, ს. №6, ფ. 2]. ე. ლუკაშვილი განმარტავს: „მიხეილის საავადმყოფოს 1918 წლის ნიგნში ყველა დანარჩენ ჩანაწერებში აღნიშნულია ყოველი ავადმყოფის ვინაობა და მისამართი. ფიროსმანის მეზობლის მეჩექმე არჩილ მაისურაძის სიტყვით მძიმე ავადმყოფი ნიკალა წაუყვანიათ საავადმყოფოში სწორედ იმ 1918 წლის მარტის თვეში“ [უახლესი ისტ. არქივი, ერეკლე ლუკაშვილის ფონდი N165, ან. 1, ს. 6, ფ. 6]. თავის საგაზეთო წერილში ე. ლუკაშვილი კვლავ იმეორებს, თითქოსდა, მიხეილის საავადმყოფოს 1918 წლის სარეგისტრაციო ნიგნში ყველა ჩანაწერი სახელობითი იყო, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. 1918 წელს მიხეილის საავადმყოფოში შესული პირების ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ, თვეების მიხედვით, რამდენიმე სარეგისტრაციო ქურნალი არსებობს. ასე მაგალითად, იანვარში – ორი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4064 და ს. 4065].

თებერვალშიც – ორი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4066 და ს. 4067]. მარტში – სამი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4068, ს. 4069 და ს. 4070]. აპრილში – ორი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4071 და ს. 4072]. მაისში – სამი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4073, ს. 4074, ს. 4075]. მეტს აღარ გავაგრძელებ. ამავე დროს, ე. ლუკაშვილი თავისი ფანტაზით ისეთ დეტალებს უმატებს, რომლებიც მის ვერსიას გაა-მყარებენ. ასე მაგალითად, თითოსდა, მაისურაძემ მარტის თვე დაასახელა. სინამდვილეში, მაისურაძეს მარტი კი არ უხსენებია, არამედ დააზუსტა: აღდგომის წინა ღამე იყო. ი. ლუკაშვილს ასევე შემოჰყავს ახალი პერსონაჟი – მილიციონერი და აღწერს ასეთ სცენას: არჩილ მაისურაძემ „მომაკვდავი ასწია, ეტლამდე მიათრია, მეეტლეს ფული გადაუხადა, მოიხმო მილიციონერი და უკვე გონებადაკარგული კაცის საავადმყოფოში მიყვანა სთხოვა. ასე იხსენებდა არჩილ მაისურაძე ფიროსმანის უკანასკნელ დღეს“ [И. Лукашвили, “Последний день Пирсмана”, газ. “Вечерний Тбилиси”, 1969 №., 24 მაისი].

დავიწყოთ იმით, რომ მაისურაძე ცალფეხა იყო და მომაკვდავ, დამძიმებულ ადამიანს სარდაფიდან მარტო ვერ ამოიყვანდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მაისურაძის მონათხრობში არავითარი მილიციონერი არ ფიგურირებს. ამ პერსონაჟის დამატება ი. ლუკაშვილს იმოტომ დასჭირდა, რომ მის მიერ მოძიებულ დოკუმენტში აღნიშნულია: „მოყვანილია მილიციელი ივანე ჩანადირაძის მიერ, ანტონოვის ქუჩიდან“. ნიკალა ანტონოვის ქუჩიდან კი არ მოხვდა საავადმყოფოში, არამედ მალაკნების ქუჩიდან, სადაც სამი დღე უპატრონოდ ეგდო სარდაფში. ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ა. მაისურაძის მოგონებები, რის თანახმად, მან მაშინვე ფაიტონი მოიყვანა და რაკი თავად არ ეცალა, ეტლში ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი ჩაჯდა და მომაკვდავი მხატვარი საავადმყოფოში წაიყვანა [გ. ლეონიძე, „ფიროსმანის უკანასკნელი დღე“, გაზ. „ბახტრიონი“, 1922 №., №8]. არჩილ მაისურაძეს ხომ დაბეჯითებით უთქვამს გიორგი ლეონიძისათვის, რომ „ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა ღამეს“ [გ. ლეონიძე, „ცხოვრება ფიროსმანისა“, ჟურნ. „მნათობი“ 1931 №., №3, გვ. 218]. როგორც ვხედავთ, ე. ლუკაშვილმა „აღდგომა ღამე“ მოხერხებულად შეცვალა მარტით, ხოლო ი. მგალობლიშ-

ვილი – მილიციონერით, ანუ ყველაფერი არქივში მოძიებულ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოიყვანა, რასაც კეთილსინდისიერ კვლევას ვერ ვუწოდებთ. ე. ლუკაშვილი ვერც იმას მიმხვდარა, რომ უცნობი მიცვალებულის ძებნა კუკის სასაფლაოს წიგნებში კი არ უნდა დაეწყო, არამედ მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში.

მის მიერ არასწორად წარმოებული ძიების შედეგებს დაეყრდნენ სხვა მკვლევრებიც. ასე, მაგალითად, ნ. კობიაშვილი, აშკარად, ე. ლუკაშვილის გავლენით, აცხადებს: „სხვა უცნობი ამ წლის გაზაფხულზე მიხეილის საავადმყოფოში არ გარდაცვლილა“ [ნ. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს“, თბ., 2004. გვ. 34]. ასევე, შეცდომაში იყო შეყვანილი ე. კუზნეცოვი, რომელიც ამტკიცებდა, რომ 1918 წლის 7 აპრილის ჩანაწერი არის „1918 წლის გაზაფხულზე გაკეთებული ერთადერთი უსახელო ჩანაწერი“ [Э. Кузнецов, „Пироцмани“, Ленинград, 1975 წ.].

ლუკაშვილის ვერსიას ირინა ლიკოვაც იზიარებს: 1918 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ნიკოს ქველმა მეგობარმა – მეჩე-ქმე არჩილ მაისურაძემ იპოვა ის მალაკნების ქუჩაზე N29 სახლის სარდაფში...საავადმყოფოს წიგნში ჩანაწერს: „60 წლის მამაკაცი, ღატაკი, წარმოშობა და აღმსარებლობა უცნობია და რადგან უცნობია, ქრისტიანულ სასაფლაოზე საბრალოსთვის ადგილი ვერ მოიძებნა, და დაკრძალეს წესის აგების გარეშე, უცნობია თუ სად... [<http://kymiry-xx-veka.narod.ru/pirosmany/pirosmany.htm>]. ცნობისათვის, ვიტყვი: სწორედ მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკულ წიგნში ვნახე ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ ე. ლუკაშვილის მიერ ფიროსმანად შეცდომით მიჩნეულ უცნობ მიცვალებულს, რომელიც 7 აპრილს გარდაიცვალა, დეკანოზმა ბარნაბოვმა 12 აპრილს, მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში აუგო წესი. ის საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1798, ფ. ფ. 35 და 35°]. ე. ლუკაშვილმა ვერც ამის შესახებ მოიძია საარქივო ჩანაწერები და საერთოდ სწორ გზას ასცდა:

1. ე. ლუკაშვილმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ მიხეილის საავადმყოფოს 1918 წელს ერთი წიგნი კი არ ჰქონდა, არამედ რამდენიმე, თვეების მიხედვით და თოთოში საკმაოდ

არიან უცნობი მიცვალებულები.

2. ე. ლუკაშვილისთვის უცნობი დარჩა საავადმყოფოს ეკლესიის არსებობა.


3. ე. ლუკაშვილმა, მონაგონი დეტალების ჩამატებით, დაა-მახინჯა ფაქტები, რამაც საბოლოო ჯამში, მასვე შეუშალა ხელი სიმართლის დადგენაში. შემდგომ, როგორც ჩანს, მან უკუაგდო ფიროსმანის კუკის სასაფლაოზე დაკრძალვის ვერსია, მიუხე-დავად იმისა, რომ მან ფართო აღიარება ჰპოვა და ვასო ჩა-ჩანიძის ვერსია უფრო სარწმუნოდ მიიჩნია.

რატომ დათმო ე. ლუკაშვილმა თავისი საკუთარი ვერსია? ვფიქრობ, პასუხს მივაგენი: აშკარად ჩანს, რომ მან გაიგო 1918 წლის ალდგომის თარიღი, რაც მის ვერსიას აბათილებდა. ალდ-გომა 5 მაისს იყო, მის მიერ მიკვლეული უცნობი კი 7 აპრილს გარდაიცვალა. ე. ლუკაშვილმა ეს არ გაამზილა და პეტრე-პავ-ლეს საეკლესიო წიგნში დაიწყო ხელჩასაკიდი ინფორმაციის ძებნა ახალი ვერსიის წამოსაწევად. მის ხელნაწერში ვკითხუ-ლობთ, რომ 1918 წელს მძვინვარებდა ეპიდემია, რომელსაც ხალხი ისპანეკას უწოდებდა. ამ ეპიდემიამ ისედაც გაჭირვებაში მყოფ მოსახლეობას მუსრი გაავლო, „1918 წლის „ალდგომის წინ“ ამ სენით გარდაიცვალა რიყეზე მცხოვრები მეეზოვე ვინმე ზაქარა, რომელიც ოდესალაც ფიროსმანს დაუხატავს“ [უახლესი ისტ. არქივი, ფ. 165, ან. 1, ს. №6, ფ. 9]. ცხადია, ეს ინფორმა-ციაც შევამოწმე. დავრწმუნდი, რომ ე. ლუკაშვილს ალდგომის სწორი თარიღი – 5 მაისი დაუდგენია და ამ თარიღის მიხედვით დაუწყია ძებნა. მის მიერ მეეზოვედ დასახელებული ზაქარია სწორედ ამ დღეს არის გარდაცვლილი. პეტრე-პავლეს ეკლე-სიის მეტრიკულ წიგნში გავეცანი შემდეგ ჩანაწერს: 1918 წლის 5 მაისს, სახადით გარდაცვილა 47 წლის ზაქარია ჯანჯალაშვი-ლი. 10 მაისს ის მღვდელ სამადალაშვილს პეტრე-პავლეს სასა-ფლაოზე დაუკრძალავს [სუა, ფ. 489, ან. 7, ს. 172] (სურ. № 26).

როგორც ჩანს, ლუკაშვილი იმედოვნებდა, რომ ამ ზაქარიას – ვ. ჩაჩანიძის მიერ ნახსენებ „ხუხიად“, იგივე მეეზოვე ზაქარი-ად გაასაღებდა და ფიროსმანის საფლავის საიდუმლოსაც ამოხ-სნიდა. ამ მიმართებით, მან პირველ ნაბიჯიც გადადგა: ზაქარია მეეზოვედ გამოაცხადა, თანაც რიყეზე მცხოვრებად, მიუხედა-

ვად იმისა, რომ მსგავს ინფორმაციას მეტრიკული ჩანაწერი არ იძლევა. ამით მიგვანიშნა, რომ ვასო ჩაჩანიძის მიერ ნახსენები ზაქარია, იგივე მეტოვე „ხუხია“ იგულისხმებოდა. მაგრამ „ხუხია“ ას წელს იყო მიღწეული, 5 მაისს გარდაცვლილი ზაქარია კი 47 წლის ყოფილა. არც გვარი ემთხვევა. აი, როგორ გამოგვადგა „ხუხიას“ გვარის დადგენა. ის ხომ ბეჭიანაშვილი აღმოჩნდა [სეა, ფ. 254, ან. 3, ს 113], თუმცა, ვ. ჩაჩანიძე მას აზარიაშვილად აცხადებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ჯანჯალაშვილი არ ყოფილა. საინტერესო ფაქტია: მეტრიკულ ჩანაწერს გვერდით მიწერილი აქვს შენიშვნა, რომ ამონაწერი გაკეთდა 1921 წელს (სურ. №26). ვფიქრობ, ამონაწერი სწორედ ფიროსმანის გარდაცვალების თარიღის ძიებასთან დაკავშირებით გაკეთდა. ძიება კი, ე. ლუკაშვილს 1920 წლიდან დაუწყია [უახლესი ისტ. არქივი, ფ. 165, ან. 1, ს. 6].

ე. ლუკაშვილმა ამდენ შეუსაბამობას ახსნა ველარ მოუძებნა, ახალ მწყობრ ვერსიად ვერ ჩამოაყალიბა, მაგრამ თავისი მიკვლეული ზაქარია – ფიროსმანს მაინც დაუკავშირა: ეს ის მეტოვეა, რომელიც ფიროსმანს ჰყავდა დახატულიო. ლუკაშვილმა ახალი ვერსიისათვის ნიადაგი შეამზადა, მაგრამ ველარ განავრცო. ამრიგად, აღმოჩენა ვერ შედგა. საბოლოოდ, მაინც ე. ლუკაშვილისეულ ვერსიად ჩაითვლება ფიროსმანის 1918 წლის 7 აპრილს, მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვალება, რაც საკმაოდ გახმაურდა და რასაც არ ვიზიარებ.



№ 26. ამონარიდი პეტრე-პავლეს ეკლესიის 1918 წლის მეტრიკული წიგნიდან. ი. ლუკაშვილი ვინმე ზაქარია ჯანჯალაშვილის – რიყეზე მცხოვრებ მეტოვედ გასაღებას ცდილობდა [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 172]. დოკუმენტი შეამონმა მ. ხომერიკმა.

II. 5. მანანა ხომერიკის ვერსია.

ახლა გაგაცნობთ ჩემს ვერსიას, რომელსაც 2003 წლიდან ვამტკიცებ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ა. მაისურაძის მოგონებებიდან ვიცით, რომ მხატვარი 1918 წლის აღდგომის წინა დამეს წაიყვანეს სავადმყოფოში. ამიტომ, აღდგომის თარიღის განსაზღვრა დიდ მნიშვნელობას იძენს. 2003 წელს, როდესაც ფიროს-მანის კვლევა დავიწყე, დავადგინე, რომ 1918 წელს აღდგომა 5 მაისს იყო [მ. ხომერიკი, „ფიროსმანი გარდაიცვალა 1918 წლის 4 მაისს, დაკრძალეს 9 მაისს“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წ., 9 მაისი]. ხოლო საარქივო მასალებით დავამტკიცე, რომ 1918 წლის 4 მაისს, აღდგომის წინა დღეს, მიხეილის საავადმყოფოში მიყვანილი აღმოჩნდა „უცნობი წოდების“ მამაკაცი, რომელიც იქამდე გარდაიცვალა, ვიდრე ექიმი გასინჯავდა: „ავადმყოფი მოსაცდელში იმყოფებოდა. როდესაც გასასინჯად გამგზავნეს, ის უკვე მკვდარი დამხვდა“ – წერს მორიგე ექიმი [სეა, ფ. 507, ან. 1, ს. 4073, ფ. 38] (სურ. №27). საავადმყოფოს წიგნის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ არ არის ცნობილი, თუ ვინ და საიდან მოიყვანა. მომაკვდავი თავისი ფეხით ხომ ვერ მივიღოდა. ცხადია, ვიღაცამ მიიყვანა, მაგრამ იმდენ ხანსაც არ დაიცადა, რომ ავადმყოფის სახელი ჩაეწერინებინა. როგორც ცნობილია, ფიროსმანი საავადმყოფოში მარტო არ წასულა. მას ეტლში ილია მგალობლიმვილი ჩაუსვეს, რომელმაც მერე, როგორც ჩანს, ვერაფერი ამბავი ვერ მოიტანა. რით ავხსნათ ასეთი უგულო დამოკიდებულება? ამ კითხვაზე ისევ და ისევ საარქივო დოკუმენტები გვცემენ პასუხს: 1918 წელს, მიხეილის საავადმყოფოში შემოსულ ავადმყოფებს ერთი თვის საფასურის გადახდა ევალებოდათ. მათი ოჯახის წევრებს, თუ ისინი თბილისში ცხოვრობდნენ, მკურნალობის ღირებულების გადადას აიძულებდნენ, რაც ჯერ პოლიციის დახმარებით ხდებოდა, შემდეგ კი პოლიცია მილიციამ შეცვალა. ყოველი ავადმყოფის გან თანხის ამოღების შესახებ ვრცელი მიმოწერა წარმოებდა, რითაც ძირითადად საქმისმნარმოებელი და კანცელარიის მწერალი იყვნენ დაკავებული. დგებოდა მთელი ტომები, მაგრამ შემოსული თანხები თითქმის უმნიშვნელო იყო [სეა, ფ. 192, ან.

4, ს. 129, ფ. 170]. თუ ნიკალას საავადმყოფოში დააწვენდნენ, ვის მოსთხოვდნენ საფასურის გადახდას, თუ არა მის მიმყვან პირს? აი, რისი შეეშინდა ი. მგალობლიშვილს, რომელმაც მომაკვდავი ფიროსმანი, როგორლაც, საავადმყოფოში შეიყვანა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. ალბათ, მოუვლელი და მომაკვდავი ნიკალა გაცილებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რის გამოც ექიმებს, რომლებმაც მისი გასინჯვა და დიაგნოზის დასმაც ვერ მოასწრეს – 70 წლის ჰერნებიათ. ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმი შედგენილია 7 მაისს, საიდანაც ჩანს, რომ მას დაავადებული ჰქონია გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმელები, ხოლო ორივე გაკვეთილი ფილტვიდან მოედინებოდა „ქაფიანი სითხე, დიდი რაოდენობით“ [სუა, ფ. 507, ან. 1, ს. 4073, ფ. 38°] (სურ. №28).

ოქმის მონაცემები ემთხვევა იმ ჩივილებს, რის გამოც, ფიროსმანმა 1893 წელს, სამსახურიდან განთავისუფლება მოითხოვა: „რკინიგზაზე ოთხ წელიწადს ვიმუშავე. აქ მივიღე ქრონიკული სურდო და გულ-მკერდის დაავადება. ზაფხულში გულ-მკერდის ტკივილი მჩაგრავს, ზამთარში კი სურდო. სურდო მატარებელში ძლიერი ორპირი ქარისგან მივიღე, ხოლო გულ-მკერდის დაავადება უჯარმის ჭაობთა მყრალი ჰაერისაგან“ [ლ. გაბუნია, ი. ჯავახიშვილი, „დიდი ცხოვრების მივიწყებული ფურცლები“, უურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №8, 1967 წ., გვ. 49-51]. ისიც საგულისხმოა, რომ განთავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე, ფიროსმანი იძულებული იყო ორი თვით შვებულება აეღო და აბასთუმანში წასულიყო სამკურნალოდ. როგორც ირკვევა, ის ტუბერკულოზით ყოფილა დაავადებული. ამდენად, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო საავადმყოფოში 4 მაისს მიყვანილი უცნობი, თუ არა ფიროსმანი. იმის გასარკვევად, იყო თუ არა თბილისში იმ დღეს სხვა უპატრონო მიცვალებული, თბილისის მართლმადიდებლური ეკლესიების 1918 წლის ჩანაწერების გადახედვა მომიხდა: უნდა ითქვას, რომ პეტრე-პავლეს და მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიების გარდა, უპატრონო მიცვალებულები სხვაგან არ გვხვდება, ყოველ შემთხვევაში, მაისის თვეში. ხოლო კონკრეტულად 4-5 მაისს თბილისში გარდაცვლილი უცნობისათვის წესი არ აუგიათ და შესაბამისად არც მეტრიკულ

წიგნებში შეუყვანიათ შემდეგ ეკლესიებში:

1. პეტრე-პავლეს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 171].
2. ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 85].
3. მთავარანგელოზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 236].
4. ანჩისხატის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 285].
5. წმ. თომას (კვირაცხოველის) ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 340].
6. ბერძნის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 455].
7. დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 529].
8. ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. №991].
9. ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. №1074].
10. კალოუბნის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1249].
11. ალექსანდრე ნეველის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1345].
12. კუკის წმ. ნიკოლოზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. №1432].
13. კუკის წმ. ნინოს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1520].
14. მიხეილ ტვერელის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1808].
15. მთაწმინდის მამადავითის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1873].
16. ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1917].
17. ივერიის ამიერკავკასიის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1918].
18. წმ. ბარბარეს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1969].
19. რკინიგზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2022].
20. წმ. გიორგის სახელობის კარის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2350].
21. სიონის ტაძარი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2405].
22. სამების ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2528].
23. თბილისის წმ. ფეოდოსიას ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2553].

24. ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2614].

ერთადერთი ეკლესია, რომელშიც 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილ უცნობს აუგეს წესი – არის მიხეილის საავადმყოფოს, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. №1798].

უკვე ნათლად ჩანს, რომ 1918 წლის აღდგომის წინა ღამეს, ანუ 4 მაისს, თბილისში ერთადერთი უპატრონო მიცვალებული იყო, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვლადიმერ ქიქოძეც და იოსებ იმედაშვილიც ფიროსმანის გარდაცვალების თარიღად 1918 წლის 4 მაისს მიიჩნევდნენ, რაც ემთხვევა ჩემ მიერ დადგენილ თარიღს. ამდენი დამთხვევა შემთხვევით არ ხდება!

ახლა, რაც შეეხება ფიროსმანის დაკრძალვას. მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წიგნში მივაკვლიე ჩანაწერს, რომლის თანახმად, 4 მაისს გარდაცვლილ უცნობს 9 მაისს აუგეს წესი და როგორც უპატრონო მიცვალებული, საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს (Ha болъничном) [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1798, ფ. 37ა, 38] (სურ. №29 და სურ. №29^ა). აქვე, გაცნობთ მიხეილის საავადმყოფოს, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ფოტოს (სურ. №30).

რუკებმა საშუალება მომცა ზუსტად განმესაზღვრა კუკიაზე მდებარე საავადმყოფოს სასაფლაოს ადგილმდებარეობა. ის ფაქტობრივად, კუკიის მართლმადიდებლური სასაფლაოს გაგრძელებას წარმოადგენს [სეა, ფ. 192, ან. 8, ს. 763 (სურ. №31)]. ეს კარგად ჩანს 1913 წლის თბილისის რუკაზე, მაგრამ ფიროსმანის მკვლევრებს კუკიაზე არებული სასაფლაოებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მათვის მხოლოდ კუკიის წმ. ნინოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმდებარე სასაფლაო იყო ცნობილი. წმ. ნინოს ეკლესიის ჩანაწერებში არც ნიკო ფიროსმანაშვილი იძებნება და არც ვინმე უცნობი. 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილი უცნობი, იგივე ფიროსმანი, 9 მაისს სწორედ საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს! ამაზე ზუსტი ადგილის ძიება უაზრობაა, რადგან თავის დროზე ისე დაკრძალეს, რომ

მისი ვინაობა არ იცოდნენ და არავითარი წარწერა არ გაუკეთებიათ. უსახელო საფლავებში წლების მერე, სხვა მიცვალებულებს კრძალავდნენ. დღეს, უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ინფორმაციით, რომ ფიროსმანი დაკრძალულია კუკიაზე, ნმ. ნინოს სასაფლაოს გაგრძელებაზე.

тифл. покон		Тифлисская Михайловская больница.	
№ по книге	785	Приемный	
Имя, отчество и фамилия.	Андрей Симон Николаевич		
Национальность			
Сословие или звание	Член партии		
Возраст	70		
Семейное положение	-		
Место происхождения	-		
Место жительства	-		
Срок пребывания в Тифлисе	Каждые сутки		
Родъ занятія	-		
Образование	-		
Инчестъи, положение	-		
День поступления	19.5.18		
Время выписки	19.5.18 4 ч. 45 мин 11 сек		
Больной	Маркович		
Мес. в час.	7	Температура	38
Пульс.	80	Дыхание	12
Течение болезни.		ЛІЧЕНИЕ 12	
		Внутреннее	Наружное
Болел начиная с определенного которого, будучи лежачим, был ощущен панический страх смерти, испытывая беспомощность даже при бодрости			
5.V.1918 Пройденое вскрытие: Родился			

№27. ამონარიდი მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო ნიგნილან. 1918 წლის 4 მაისი (ანუ, აღდგომის ნინა დღე) [სეა,

ფ. 507, ან. 1, ს. 4073, ფ. 38]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.

38		ფრინველ სახელის 19 წ 189.
<u>ნაიოსის ცენა:</u>		
შეკვეთის მიზანი გრძელი, თბილი-დაცვ. უბი და ციცვალი ხელი იქნას ასეთი სისახლის დასაცავის მიზანის დაცვა. ასეთი სისახლის დაცვის მიზანის სამართლის გამოყენების დაცვა. უბი და ციცვალი ხელი იქნას ასეთი სისახლის დაცვის მიზანის დაცვა. უბი და ციცვალი ხელი იქნას ასეთი სისახლის დაცვის მიზანის დაცვა.		
<u>უბის ფასი:</u>		
ასეთი სისახლის დაცვის მიზანის დაცვის სისახლის დაცვის მიზანის დაცვის სამართლის გამოყენების დაცვა. უბი და ციცვალი ხელი იქნას ასეთი სისახლის დაცვის მიზანის დაცვა. უბი და ციცვალი ხელი იქნას ასეთი სისახლის დაცვის მიზანის დაცვა.		
<u>გრანიტის ფასი:</u>		
მასთ რეალ მიზან მიუტოლი ჩატარების გა გრანიტი განკუთხების მიზანი. ცენტრული კუნძული მთას მიზან, მთის კუნძულის უბი და სისახლის დაცვის მიზანის დაცვა. უბი: კუნძული კუნძულის დაცვის მიზან მიზან მიზან უბი და, ჩვენ სამი კუნძული.		
<u>ვალიორენის:</u>		
ერთი დღე ცხრილი. დელმა ფურმა ესტრუმი ფურმა მ-ს ცხრილი, ჩვენ ვალიორენის სის უსაფრთხოების ფურმა ცხრილი და სამართლის გამო.		


№28. 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილი უცნობის გაკვეთის
ოქმი, გაკვეთეს 5 მაისს, ოქმი შედგენილია 7 მაისს [სეა, ფ. 507,
ან. 1, ს. 4073, ფ. 38]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიკმა.

320

მეცნიერობის წიგნი № 19 ქლისა					
მდრაქვა: გამოყენება: ლატინურა	მედ. და რატენი	შოდვის სიცელი, მიღის საძლია ტ დაზიანებულების გამოყენება	წელი გამოყენების დაზიანება	რაოდენობა გამოყენების	
140 - 140 - 140 - 140 - 140 -	15 3 8 3 15 3 63 11 3 64 1 3 65 4 8 66 7 9 80 4 9	მრყენ ვალიახო ჩუკაძე აბა ვამიძე — 30 მრკ. ბურაძ მრყენ ვალიახო ვალიახო — 50 მრკ. ბურაძ მრყენ ვალიახო მიხა — " 5 მრკ. ბურაძ მრკ. ბურაძ აგიანის მსა გადა მასალე მრკ. ბურაძ ჩამანის ქადა კო მოსალეთი მრკ. ბურაძ მუხან ჯავაგანი ჭავა ქადა მიხა ჩამირები — მრკ. ბურაძ თავისი ქად. ქარ. მრკ. ბურაძ	მრყენ ვალიახო ჩუკაძე აბა ვამიძე — 30 მრკ. ბურაძ მრყენ ვალიახო მიხა — " 5 მრკ. ბურაძ აგიანის მსა გადა მასალე მრკ. ბურაძ ჩამანის ქადა კო მოსალეთი მრკ. ბურაძ მუხან ჯავაგანი ჭავა ქადა მიხა ჩამირები — მრკ. ბურაძ თავისი ქად. ქარ.	15 3 15 3 63 11 3 64 1 3 65 4 8 66 7 9 80 4 9	— ას — დაგრადის — ცის — ცის — ანაფაზ — ანაფაზ — ანაფაზ — ცის — ცის

ამით კურარებულ არა აუკან დარღვეული მასალე
აღმიანის მრკ. ბურაძ

№29. ამონარიდი მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის
მეტრიკული წიგნიდან. 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილ უცნობ
მიცვალებულს (№150) 9 მაისს აუგეს წესი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.
1798, ფ. 37°]. დოკუმენტი მოიძია მ. ხომერიქმა.



№29. დოკუმენტის [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1798, ფ. 37^o, 38]
მეორე გვერდი, საიდანაც ჩანს, რომ უცნობი მიცვალებული საა-
ვადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს.



№30. მიხეილის საავადმყოფოს ეკლესია, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის, სადაც 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილ უცნობ მიცვალებულს, ანუ ფიროსმანს, 9 მაისს აუგესტესი.



№31. კუკიაზე არსებული სასაფლაოები. საავადმყოფოს სასაფლაო №6 [სეა, ფ. 192, ან. 8, ს. 763]. მოიძია მ. ხომერიკმა.



№32. 1913 წლის თბილისის რუკის ფრაგმენტი. კუკიაზე არსებული მართლმადიდებლური (276), კათოლიკური (277), საავადმყოფოს (278), მალაკნების (279) და ბაბისტების (მუსულმანური სექტის) სასაფლაოები.

ბოლოთქმა

2011 წელს, „პრიამ-ტაიმის“ პრეს კლუბში ჩავატარე პრეს-კონფერენცია, სადაც განვაცხადე, რომ ფიროსმანი 1918 წლის 4 მაისს, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა, ხოლო 9 მაისს ის კუკიაზე, საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს, როგორც უპატრონო მიცვალებული. მოვინანებით შევიტყვე, რომ ინტერ-ნეტგაზეთ „ახალი 7 დღეში“ გამოქვეყნებულა ჟურნალისტი ილია მარტყოფლიშვილის ვრცელი ინტერვიუ ანზორ მაძლარაშვილთან, სადაც მათ ჩემი და ნ. კობიაშვილის ვერსიები ერთმანეთში აურიეს. აქ ყველაფერს აღარ გავიმეორებ, რათა მკითხველი არ დავაძნიო.

ი. მარტყოფლიშვილს ა. მაძლარაშვილისთვის უკითხავს, თუ რომელი ვერსია აუფრო სარწმუნო. ამ უკანასკნელის არაკომპეტენტურობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა: „არა, მაისი ნამდვილად არ არის... კუკიის ჩანაწერებთან ეს ფაქტიც წინააღმდეგობაში მოდის. ნიკალა აღდგომის მეორე დღეს, 18 აპრილს გარდაიცვალა.“ ა. მაძლარაშვილმა წლების განმავლობაში ვერც თავად დაადგინა და ვერც ჩემი პუპლიკაციებიდან მიხვდა, რომ 1918 წელს, აღდგომა 5 მაისს იყო. გაუგებარია, რის საფუძველზე მიიჩნევს 18 აპრილს – აღდგომის მეორე დღედ? ისიც აღსანიშნავია, რომ ნიკალა „ზედ აღდგომის“ დამეს გარდაიცვალა და არა „აღდგომის მეორე დღეს“, როგორც ა. მაძლარაშვილი თავის ფანტაზიაზე დაყრდნობით აცხადებს. ასევე, საინტერესოა, კუკიის ჩანაწერებში რას გულისხმობს – კუკიის სასაფლაოს ჩანაწერებს, რაც არ არსებობს, თუ კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის ჩანაწერებს, სადაც უცნობი მიცვალებულები არ შეჰყავდათ? რა ნახა და სად ნახა?

ა. მაძლარაშვილი იმასაც აცხადებს, რომ კუკიის სასაფლაოს ვერსია არარეალურად ეჩვენება: „თანაც უცნობი მხატვარია მითითებული.“ სად ნახა ასეთი ჩანაწერი, სადაც „უცნობი მხატვარი“ წერია? ვფიქრობ, ამ ე. წ. მკვლევრის, ა. მაძლარაშვილის, პასუხები ერთადერთ მიზანს ემსახურება, რაც ფაქტებისა და დოკუმენტების განზრას დამაზინჯებაში მდგომარეობს. ინტერვიუში ის პეტრე-პავლეს სასაფლაოს ვერსიას უჭერს მხარს და

განმარტავს: „ცნობილია, რომ ვინმე მგალობლიშვილმა ნიკალა ავადმყოფობის დროს მიხაილოვის საავადმყოფოში ეტლით გა-დაიყვანა. რადგან პეტრე-პავლეს სასაფლაო იქვე ახლოს მდე-ბარეობს, რატომძაც მგონია, რომ მისი დაკრძალვა, სავარაუ-დოდ, იქვე მოხდებოდა. ეს ვერსია უფრო დამაჯერებლად მი-მაჩინია, მითუმეტეს, რომ უპატრონო მიცვალებული იყო“ [ილია მარტყოფლიშვილი, „ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორს ნიკალას საფლავის დადგენის იმედი არ აქვს“, „ახალი 7 დღე“, 28. 04. 2011].

ამ ინტერვიუს მიცემის შემდეგ, ა. მაძლარაშვილს საიდან-ლაც შეუტყვია, რომ პეტრე-პავლეს სასაფლაო „მიხაილოვის“ საავადმყოფოსთან იქვე ახლოს არ მდებარეობს. და აი, 2014 წლის ოქტომბერში, ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ მომზა-დებულ „უცნობ ისტორიებში“, რომელიც ფიროსმანს მიეძღვ-ნა, ა. მაძლარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფიროსმანი „მიხაილოვის საავადმყოფოში“ გარდაიცვალა და დაიკრძალა კუკიაზე, ან მიხეილის საავადმყოფოს ეზოში. თან განმარტა, რომ უპატრონო მიცვალებულებს საავადმყოფოს ეზოში მარხ-ავდნენ, ასეთი პრაქტიკა არსებობდა. სად წაიკითხა, სად გაიგო საავადმყოფოს ეზოში დაკრძალვის ასეთი სენსაციური პრაქტიკის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება ყოველგვარ სანიტა-რულ ნორმებს და საღ აზრს!

მხოლოდ ილია მარტყოფლიშვილი და ანზორ მაძლარაშვილი როდი მსჯელობენ უპასუხისმგებლოდ. რადიო თავისუფლების უურნალისტმა ჯიმშერ რეხვიაშვილმა, 2012 წლის 28 დეკემ-ბერს, მიამზადა სრულიად აღმაშვილოთებელი რადიოგადაცემა „დაკარგული ფიროსმანი“, სადაც კვლავ მოხდა ჩემი და ნ. კო-ბიაშვილის ვერსიების დამახინჯება და ერთმანეთში არევა. ჯ. რეხვიაშვილმა შეცდომით განაცხადა, რომ მხატვრის გარდაცვა-ლების თარიღად სახელდება 1918 წლის აპრილი და 1919 წლის მაისი! [<http://www.radiotavisupleba.ge/a/25771798.html>]. ნუთუ ასე ძნელია ორი თარიღის სწორად დამახსოვრება? მე ხომ 2003 წლიდან, ფიროსმანის გარდაცვალების თარიღად 1918 წლის 4 მაისს ვასახელებ. ჯ. რეხვიაშვილი ამბობს, რომ ხელოვნებათმ-ცოდნე ეკა კიკნაძის თქმით, ეროვნულ არქივში ინახება წმინდა

მიხეილის საავადმყოფოს (საავადმყოფო წმინდა მიხეილის კი არა, 1882 წლიდან დღიდი მთავრის, მიხეილის სახელს ატარებდა, ხოლო საავადმყოფოსთან არსებული ეკლესია წმ. მთავარანგელოზი მიქაელის სახელობის იყო – მ. ხ.) რეგისტრაციის ჟურნალი. შემდეგ, თავად ე. კიკნაძე ერთვება და ახდენს ჩემი საავტორო უფლებების უხეშ დარღვევას. აშკარად, იყენებს ჩემს ბროშურაში გამოქვეყნებულ მასალას და აცხადებს, რომ ზემოხსენებულ უურნალში გაკეთებული ჩანაწერი, მაღალი ალბათობით, ნათელს ჰქონდა ფიროსმანის როგორც გარდაცვალების თარიღს, ასევე გარდაცვალების მიზეზს: „აქ წერია 1918 წელი, 04.05, ანუ 4 მაისი. შემდეგ რუსულად წერია: ავადმყოფი. უცნობი. რომ აქვს ფილტვების შეშუპება და რომ არ არის გონიერ და არ შეუძლია თქვას საკუთარი გვარ-სახელი და ამიტომ გატარებულია როგორც: „мужчина неизвестного звания“. საკვირველია, რომ ე. კიკნაძე ასე ამახინჯებს ჩემ მიერ მიკვლეულ და შესწავლილ დოკუმენტს! ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ არ არის ცნობილი, თუ ვინ და საიდან მოიყვანა ეს ავადმყოფი და რომ ის იქამდე გარდაიცვალა, სანამ ექიმი გასასინჯად მოვიდოდა. ამიტომ, ფილტვების შეშუპებაზე დოკუმენტში არაფერია ნათქვამი. დიაგნოზი მხოლოდ გაკვეთის შემდეგ დადგინდა. ე. კიკნაძე განაგრძობს: „ჩვენ გვაქვს მოგონება მისი მეზობლისა, რომელიც ამბობს, რომ ზუსტად აღდგომის პერიოდში შეაკითხა ნიკალას კიბის ქვეშ, სადაც ის ცხოვრობდა (ნიკალა კიბის ქვეშ კი არ ნახეს, სადაც ის ცხოვრობდა, არამედ სარდაფიში, სადაც შემთხვევით ჩასულიყო და არა აღდგომის პერიოდში, არამედ აღდგომის წინა ღამეს – მ. ხ.) და ნახა, რომ იყო ძალიან ცუდად. ძლიერ ლაპარაკობდა, ჰქონდა მაღალი სიცხე და ამის გამო გამოიძახა სასწრაფო – ცხენებშებმული დროგი, რომელმაც წაიყვანა საავადმყოფოში, თუმცა ზუსტად არ იცოდა, რომელში. (იმ დღეს), გარკვეული დროის შემდეგ, როცა მკვლევარები დაინტერესდნენ და შეამოწმეს იმ დღეებში საავადმყოფოების მისაღებ უურნალებში გაკეთებული ჩანაწერები, მიხეილის საავადმყოფოში მიაკვლიერ ცნობას, რომელიც, მაღალი ალბათობით, გახლავთ ფიროსმანის გარდაცვალების ცნობა“. უფლება მაქვს დავსვა კითხვა: ვინ იყვნენ ის მკვლევრები, რომლებმაც

ფიროსმანის სიკვდილიდან გარკვეული დროის შემდეგ, ამ ცნობას მიაკვლიეს? გარკვეული დროის კი არა, 85 წლის შემდეგ, 2003 წელს, ხსენებულ ცნობას მე მივაკვლიე, რაც არაერთ პუბლიკაციაში მაქვს დაფიქსირებული! ჯ. რეხვიაშვილმა ეს ფაქტი არა თუ არ აღნიშნა, არამედ ჩემი როლი სრულიად დამახინჯებულად წარმოადგინა. თურმე, მე ვენინააღმდეგები 1918 წლის ვერსიას, რომელიც სინამდვილეში მე მეკუთვნის. აი, რას ამბობს იგი: „წმინდა მიხეილის ეკლესიის წიგნისა და კუკიის სასაფლაოს ჩანაწერების საფუძველზე (კუკიის სასაფლაოს ჩანაწერები არ არსებობს. კუკიის წმ. წიგნის ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში უპატრონო მიცვალებულები აღნიშნული არ არიან, ამიტომ ეს წიგნები მე არ დამისახელებია – მ.ხ.), ისტორიკოსი მანანა ხომერიკი ამტკიცებს, რომ მხატვარი არა 1918 წელს, არამედ 1919 წლის 4 მაისს, აღდგომის ღამეს, გარდაიცვალა და დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე.“ სინამდვილეში კი, მე 1918 წლის 4 მაისს ვასახელებ. აი, ასე უხეშად ირღვევა ჩემი საავტორო უფლებები.

ამის შემდეგ, უურნალისტი ნ. კობიაშვილი რადიო თავისუფლებას მოუყვა: „...საქართველოს საისტორიო არქივში ვნახე ასეთი ჩანაწერი პეტრე-პავლეს სასაფლაოს წიგნში (სასაფლაოს წიგნი არ არსებობს. შემონახულია პეტრე-პავლეს ეკლესიის მეტრიკული წიგნი – მ. ხ.) 14 აპრილით არის დათარიღებული უცნობი ნიკოლოზ. ამ სვეტის ბოლოს ჩანაწერს ხელს აწერს სწორედ მღვდელი ალექსი სამადალაშვილი“. 2014 წლის ოქტომბერში, ტელეკომპანია „მაქსტორს“ მიერ მომზადებულ „უცნობ ისტორიებში“, ნ. კობიაშვილმა სწორედ იგივე გაიმეორა, ანუ 14 აპრილი დაასახელა. ცნობისათვის, 1919 წლის 23 თებერვალს გარდაცვლილი „უცნობი ნიკოლოზი“ 1919 წლის 14 მარტს არის შეყვანილი პეტრე-პავლეს ეკლესიის წიგნში, ხოლო 1918 წლის 14 აპრილს დაფიქსირებულია ვინმე „უცნობი“ – ყოველგვარი სახელის გარეშე. და რაც მთავარია, ეს ორივე უცნობი ნავთლულის სასაფლაოზეა დაკრძალული, რის გამოც, მათ ვერ გავაიგივებთ იმ მიცვალებულთან, რომლის დაკრძალვასაც ძმები ჩაჩანიძეები პეტრე-პავლე სასაფლაოზე დაესწრნენ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. ასე აირია ერთმანეთში სხვადასხვა

საარქივო ჩანაწერების მონაცემები.

ახლა კი, მინდა საგანგებოდ შევჩერდე ფიროსმანის ცნობილი მკვლევრის, ერასტ კუზნეცოვის საქციელზე, რაც სამეცნიერო ეთიკის ნორმებს სცილდება. 1975 წელს დასტამბულ ნაშრომში „ფიროსმანი“, ის ერეკლე ლუკაშვილზე დაყრდნობით მოვცითხრობს, რომ ერთ საძამოს ფიროსმანაშვილი ჩავიდა თავის სარდაფში. ის მთვრალი იყო, მას გაუმასპინძლდნენ სადღესასწაულოდ. დაწვა იატაკზე და გონება დაკარგა. აღდგომა იყო („Была пасха“). შემდეგ, ე. კუზნეცოვი ყვება ფიროსმანის საავადმყოფოში წაყვანის ცნობილ ისტორიას და დასძენს, რომ მაისურაძემ არც კი გაიგო, თუ რომელ უახლოეს სავადმყოფოში წაიყვანეს – არამიანცის თუ მიხეილის. უფრო საფიქრებელია, რომ მიხეილის საავადმყოფოში, რადგან ის უფრო ახლოს იყოო. ე. კუზნეცოვი განმარტავს, რომ მიხეილის საავადმყოფოს წიგნში შემოინახა ჩანაწერი, რომელიც, შესაძლოა ფიროსმანს შეეხება: 1918 წლის 7 აპრილს საავადმყოფოს მისაღებში მიყვანილ იქნა უცნობი წოდების მამაკაცი, დატაკი, 60 წლის შესახედაობის. („7 апреля 1918 года доставлен в приемный покой мужчина неизвестного звания, бедняк, на вид лет 60....) მოყვანილია ივანე ჩანადირაძის მიერ ანტონოვის ქუჩიდან [Э. კუზნეცოვ, „Пироман“ Ленинград, 1975, გვ. 7]. ე. კუზნეცოვი უკრიტიკოდ იმეორებს ე. ლუკაშვილის მტკიცებას: „ეს არის 1918 წლის გაზაფხულის ერთადერთი უსახელო ჩანაწერი...“, რაც შორს არის სინამდვილისგან. აქვე მოჰყავს გასინჯვისა და გაკვეთის მონაცემები და ბოლოს გვამცნობს, რომ გვამი დაკრძალეს კუკის წმ. ნინოს სასაფლაოზე, უსახლკაროთათვის და უგვაროთათვის გამოყოფილ მოშორებულ კუთხეში. დაკრძალვის შესახებ ჩანაწერი არ არსებობს და არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო, ვინაიდან არავინ იცოდა, რა სარჩმუნოების იყო მიცვალებული და მისთვის წესი არ აუგიათო. ე. კუზნეცოვი: „მრავალი წლის შემდეგ, უკვე ჩვენს დროში, მოიძებნა კაცი, რომელმაც თავს იდო დაკრძლვის ადგილის ჩვენება. საფლავი გახსნეს. მაგრამ ყველაფერი სამწუხარო ფარსი გამოდგა: ჩონჩხი ქალის იყო“ [Э. კუზნეცოვ, „Пироман“ Ленинград, 1975,

გვ. 7]. ე. კუზნეცოვი უთითებს ერეკლე ლუკაშვილის საგაზეთო პუბლიკაციას „И. Лукашвили. Последний день Пиромани. – „Вечерний Тбилиси“, 1969, 24 мая.“ ფიროსმანის შესახებ იგივე ნაშრომი ე. კუზნეცოვმა 2012 წელსაც გამოსცა, სადაც იგივე ამბავი უკვე სხვა რედაქციით მიაწოდა მკითხველს, ჩემი კვლევის შედეგები მითვისა და უხეშად დაარღვია ჩემი საავტორო უფლებები. თუ ნინა ვერსიაში მოქმედება ხდებოდა 1918 წლის 7 აპრილს, როდესაც ე. კუზნეცოვის აზრით „აღდგომა იყო“, ახლა უკვე აღდგომა მაისში ყოფილა! აი, როგორ შეცვალა ე. კუზნეცოვმა თავისი ადრინდელი ინფორმაცია: „აღდგომის ნინა დღე დამდგარა“ („Пришел канун пасхи.“), ნიკალა საავადმყოფოში 1918 წლის 4 მაისს ნაუყვანიათო. ე. კუზნეცოვს ჩემი ნაშრომიდან ფარულად, ჩემი ნაშრომის დასახელების გარეშე, მოაქვს მონაცემები: „მიხეილის საავადმყოფოს სარეგისტრაციო წიგნში, 1918 წლის 4 მაისის რიცხვით, ჩანერილია უცნობი მამაკაცი, 70 წლის შესახედაობის. ის მოყვანილი იყო მისალებში და გარდაიცვალა მორიგე ექიმის გამოჩენამდე.“ ასევე, გამეორებულია მეორე დღეს ჩატარებული გაკვეთის მონაცემები და გარდაცვალების მიზეზი – ტუბერკულოზი. და რაც მთავარია, დასახელებულია მისი დაკრძლვის ზუსტი თარიღი, რასაც მივაკვლიერ მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის მეტრიკულ წიგნში, რომელიც ჩემამდე სხვა მკვლევრებს არ გადაუთვალიერებიათ, რადგან მხოლოდ კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის და პეტრეპავლეს ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში ეძებდნენ ფიროსმანის გარდაცვალების ჩანაწერს. ე. კუზნეცოვი წერს: „შესაძლოა, ის დაკრძალეს 9 მაისს უახლოეს კუკიის სასაფლაოზე, სპეციალურ ადგილზე, რომელიც გამოყოფილი იყო მიხეილის საავადმყოფოდან შემოსული უსახლკაროებისთვის და უგვაროთათვის“ [Э. Кузнецов, „Пиромани. Биография“. Санкт-Петербург, 2012, გვ. 9]. ე. კუზნეცოვმა არა მხოლოდ არ აღნიშნა, თუ საიდან შეიტყო ეს ყოველივე, არამედ ჩემს მიგნებას ხაზიც გადაუსვა: „მრავალი წლის შემდეგ, მოიძებნა კაცი, რომელმაც თავს იდო დაკრძალვის ადგილის ჩვენება. საფლავი გახსნეს. მავრამ ყველაფერი სამწუხარო ფარსი აღმოჩნდა: ჩონჩხი ქალის იყო“

[Э. Кузнецов, „Пироманы. Биография“, Санкт-Петербург, 2012, гл. 1]. Е. кუზნეცовს სურს მკითხველი დაარწმუნოს, თითქოს-და, ეს ვერსია უკვე გადამოწმებული ყოფილა და ფარსი გამომ-დგარა! სინამდვილეში, აქ აღრეულია სხვადასხვა ფაქტები, სახ-ელდობრ: როდესაც მე ფიროსმანის გარდაცვალების ჩემი ვერ-სია წამოვაყენე, კუკიაზე უკვე დიდი ხნის წინ იყო გათხრილი საფლავი, რომელზეც მე არ მიმითითებია. საფლავის გათხრის დროს, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის მეტრიკული წიგნი ჯერ არავის ჰქონია წანახი და მისი ჩანაწერი გათვალისწინებ-ული არ ყოფილა. მე ვამტკიცებდი და ვამტკიცებ, რომ საა-ვადმყოფოს სასაფლაოს გათხრა სრული უაზრობაა. უპატრონო მიცვალებულებს იქ თავის დროზე ისე მარხავდნენ, რომ მათი სახელი და გვარი არ იცოდნენ. წლები გადიოდა და ამ უსახ-ელო საფლავებში სხვა მიცვალებულებს კრძალავდნენ. განა, რე-ალურია და ქრისტიანულია ათასობით მიცვალებულის ძვლების ამოყრა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ცნობისმოყვარება დავიკ-მაყოფილოთ? ვფიქრობ, გათხრების გარეშე უნდა შევაჯამოთ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები და საბოლოოდ დავადგი-ნოთ, რომ ფიროსმანი 1918 წლის 4 მაისს მიხეილის საავადმყო-ფოში გარდაიცვალა, ხოლო 9 მაისს საავადმყოფოს წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში აუგეს წესი და საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს. ჩემი ვერსიის საფუძველზე არავი-თარი საფლავი არ გათხრილა და არ გაითხრება. ფარსი კი, ბ-ნი კუზნეცოვის საქციელზე უფრო ითქმის.


საბედნიეროდ, მდგომარეობა არც ისე უიმედოა. ფიროსმა-ნის გარდაცვალების შესახებ, ჩემი ვერსიის გაცნობის შემდეგ, 2014 წელს შექმნილი კომისიის წევრი, წმ. მიქაელ მთავარანგე-ლოზის ტაძრის წინამდლვარი, დეკანოზი ალექსანდრე გალდავა, ყოველ წელს, ტაძრის ეზოში ატარებს ფიროსმანობას (№33 და 34). შეიძლება ითქვას, რომ ნიკალას ოცნებამ ფრთები შეისხა. გავიხსენოთ მისი სიტყვები: „ჰოდა, რა გვინდა, ძმებო, იცით? უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასთვის იყოს ახლოს. ავაშენოთ დიდი სახ-ლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამო-

ვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე!“ აქ, სწორედ იმ ტაძრის ეზოში, სადაც ფიროსმანს 1918 წლის 9 მაისს წესი აუგეს, იკრიბებიან მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები და საუბრობენ ისეთ თემებზე, როგორზეც დიდი მხატვარი ოცნებობდა. ტაძარში კი, მისი სულის

საოხად პან-
აშვიდები
ტარდება.
ამიერიდან,
ფიროსმა-
ნის სახელი
წმ. მიქაელ
მთავარანგე-
ლოზის ტა-
ძარს სამუ-
დამოდ დაუ-
კავშირდა.



№33. ფიროსმანობა 2016.



მოსაწვევი
ბარათი.
ფიროსმანობა
2023.

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
ტელ: 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com



ISBN 978-9941-34-306-3



9 789941 343063